ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 8—31.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში — ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 17 ნოემბერი 1927წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 260 (2005)

დღიური

- საფრანგეთის მემაღაროები გაფიცვისათვის ემზადებიან.
- ფრანგ რეფორმისტების დეკლარაცია.
- ამხ. მარტისა და სხვა ფრანგ კომუნისტების საქმე პარიზის სააპელაციო სასამართლოში.
- პენლევე ლონდონში.
- მატარებლის კატასტროფა ჩეხო-სლოვაკიაში.
- მოსკოვში გაიხსნა პროლეტარულ მწერლების საერთაშორისო კონფერენცია.
- გერმანიის მუშათა დელეგაცია გაემგზავრა ბერლინში.

პარტიის ხმა

საქართველოს კომუნისტური პარტიის მეხუთე ყრილობამ უკვე სთქვა თავისი სიტყვა ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ. მან ცეკას პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი სრულიად სწორათ სცნო და ჩატარებული მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლათ აღიარა. ასეთი დადგენილება მიღებულ იქნა ყრილობის ერთსულოვანი მოთხოვნილებით და ხანგრძლივი ოვაციებით. არც ერთი თითი არ აწეულა ყრილობის ამგვარ მტკიცე გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

თქმა არ უნდა, პარტიის ზოგიერთ გადაგვარებულ წევრებს, რომელნიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და განსაკუთრებით უკანასკნელ თვეებში შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ პარტიის წინააღმდეგ. ყრილობის ეს ერთსულოვანი დადგენილება არ ეჭაშნიკებათ, მაგრამ ამით დადგენილებას არაფერი დააკლდება. ყრილობის გადაწყვეტილებას მით უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა, რაც უფრო ლახვარს სცემს ის ტროცკისტულ ოპოზიციას. მეხუთე ყრილობის ეს დადგენილება კი სასტიკი და გადამწყვეტი განაჩენია ადგილობრივი ოპოზიციისათვის.

ორი წლის განმავლობაში პარტიას არაჩვეულებრივ პირობებში უხდებოდა მუშაობა. მთელ რიგ ობიექტიურათ აუცილებელ დაბრკოლებათა გარდა, ჩვენ წინ გვეღობებოდა შინაპარტიული დაბრკოლებანი. მათ ქმნიდა ოპოზიცია თავისი დეზორგანიზატორული გამოსვლებით. ოპოზიციამ უკუაგდო პარტიის ინტერესები. ის შეიპყრო ფრაქციულ ტროცკისტულ სენმა. ოპოზიცია მიუტევებელ გამთიშავ მუშაობას აწარმოებდა პარტიის შიგნით და ამავე დროს მოურიდებლათ, უსირცხვილოთ აზვიადებდა ყველა იმ დაბრკოლებებს, რომელთაც თვითვე უწყობდა ხელს თავისი დეზორგანიზატორული მუშაობით.

პარტიამ სახელოვნად შეასრულა თავისი ამოცანები. მიუხედავად შინაურ უთანხმოებისა, მიუხედავად მთელ რიგ სამეურნეო და საერთო ხასიათის პოლიტიკურ გართულებათა, ჩვენ დღეს შეგვიძლია ჯამი გაუკეთოთ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს სოციალისტური აღმშენებლობის ყველა დარგში და ვიამაყოთ ამ მიღწევებით. პარტიის ავტორიტეტი მშრომელ მასებში ორი წლის განმავლობაში, მიუხედავად ოპოზიციის ყოველგვარ ცდისა, რომ სახელი გაეტეხა პარტიისათვის, მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამის საუკეთესო მაჩვენებელია საბჭოთა საზოგადოებრივობის შეუჩერებელი და გამალებული ნაბიჯით ზრდა.

ყრილობამ არა მარტო შეაფასა წარსული მუშაობა, არამედ მან დასახა პარტიის მომავალი მუშაობის მთავარი გზები სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განვითარება-გაღრმავებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია პარტიის ნჯღრევისა და მისი მთლიანობის ძირის გამოთხრის მეტს არაფერს აკეთებდა, პარტიამ შესძლო თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულება და მტკიცე ნაბიჯით განაგრძობს სვლას ლენინური გზით.

ცეკას მუშაობის ერთსულოვანი მოწონებით საქართველოს კომპარტიის მეხუთე ყრილობამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ პარტია ფოლადის კედელივით აღმართულია ლენინიზმის სადარაჯოზე, რომ ტროცკისტულ სამოსში გახვეული ნაციონალისტური ძველი უკლონიზმი უმალ ტვინს მიანთხევს ამ კედელს, სანამ მის გარღვევას შესძლებს.

კმარა ამდენი მოთმინება.. პარტიამ არაჩვეულებრივი სულგრძელობა გამოიჩინა თავზე ხელაღებულ ფრაქციონერთა მიმართ, მაგრამ უკანასკნელებმა პარტიის ამ არაჩვეულებრივ მოთმინებას, ბოლშევიკური დისციპლინის არაჩვეულებრივი დარღვევით უპასუხეს.

პარტიას მობეზრდა დისკუსია. მან მეტად დიდი და ძვირფასი დრო მოანდომა შინაპარტიულ ბრძოლას. დროა ასეთ დანაშაულს პროლეტარიატისა და რევოლიუციის წინაშე ბოლო მოეღოს. ეს შეგნება მტკიცეთაა გამჯდარი პარტიულ მასებში. ყველა ადგილობრივი ორგანიზაციები, რაიონული და საქალაქო კონფერენციები გადაჭრით მოითხოვენ გაუსწორებელ ფრაქციონერთა ლენინური პარტიიდან დაუყონებლივ გაძევებას და პარტიულ მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნას. პარტიული მასის ეს სრულიად ბუნებრივი სულისკვეთება დაადასტურა თავის დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის მეხუთე ყრილობამ.

პარტიამ შესძლო შინაპარტიულ უთანხმოების პირობებში სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებით ხელმძღვანელობა, ის უფრო წარმატებით გაუძღვება წინ ოქტომბრის რევოლიუციის საქმეს ოპოზიციის ხორცმეტებისაგან განთავისუფლებული. ვისაც ლენინური რეჟიმი არ მოსწონს, ვისაც სულს უხუთავს ბოლშევიკური პარტიის დისციპლინა, ვინც ვერ ამჩნევს ან, უკეთ, არ ამჩნევს შინაპარტიულ დემოკრატიის უდაო ზრდას და საბოლოოთ გადავარდნილია ტროცკიზმის ჭაობში, მათ, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი ჩვენ ვეტყვით: გზა მშვიდობისა, განთავისუფლდით თავი „აუტანელ“ პარტიულ რეჟიმისაგან და გაანთავისუფლეთ პარტიაც თქვენი გამხრწნელი მუშაობისაგან.

პარტია კი კვლავ მტკიცეთ ივლის წინ ბოლშევიკური, ლენინური გზით და ვინც მას გზაზე გადაეღობება, თავს დაატყდება პროლეტარიატის დიქტატურის რისხვა.

ცილისმწამებლებს

(ს. თალაკვაძის წერილის გამო)

„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

ამხანაგები, ალბად წაიკითხავდენ ს. თალაკვაძის წერილს, რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „კომუნისტის“ გუშინდელ ნომერში (№ 259), სათაურით: „პარტიის მძიმე წლები“ („საით მივყევართ“?). ჩვენი პარტია ამ ბოლო დროს დაეჩვია ტროცკის, ზინოვიევის და სხვა გამთიშველთა მეხებით, სიცრუით, იხსინუაციით და ცილისწამებით გატენილ წერილების და განცხადებების თხზვას და გამოქვეყნებას მის წინააღმდეგ. ამას უწოდებს ტროცკისტული ოპოზიცია შინაპარტიულ ბრძოლას.

ჩვენ პარტიას აქამდის ყავდა და ყავს დაუძინებელი მტრები **ბურჟუაზიის** და **მეორე ინტერნაციონალის** ბანაკთა სახით. ჯერ ბურჟუაზიული და შემდეგ მენშევიკური პარტიები შეუწყვეტლად ებრძვიან ჩვენ პარტიას, და იმათი ბრძოლის მეთოდი იყო და არის თითქმის განსაკუთრებით **სიცრუე და ცილისწამება.** მართალია, ნათქვამია, სიცრუეს და ცილისწამებას მოკლე ფეხები აბიაო, მაგრამ ბრძოლა ამ სიცრუისა და ცილისწამების წინააღმდეგ ადვილი საქმე არაა, მეტადრე მაშინ, როცა ამ კამპანიას მიღებული აქვს სისტემატიური ხასიათი.

ლენინის პარტია წარმატებით იგერიებდა და იგერიებს დღესაც ბურჟუაზიულ და მენშევიკურ პარტიების იერიშებს. ახლა კი ჩვენ ვხედავთ, რომ ამ უკანასკნელ დროს ბურჟუაზიას და მენშევიკებს ჩვენი პარტიის გახრწნის და დაშლის მიზნით გვერდში ამოუდგა **ტროცკისტული ოპოზიცია,** რომელმაც ცილისწამების საქმეში ბევრად გადააჭარბა, როგორც ბურჟუაზიულ, ისე მენშევიკურ პარტიებს. აქ ყოველივე საზღვარი უკვე გადალახულია.

ბოლშევიკური პარტია უკვე გადაგვარდა, ან გადაგვარების გზაზეა შემდგარი, პარტიამ უღალატა მუშათა კლასს და ღარიბ გლეხებს და მხარს უჭერს ბურჟუაზიას და კულაკებს, პარტიის ხელები გასვრილია შანხაის მუშების სისხლით და სხვა და სხვა. არასოდეს ბურჟუაზიულ იდეოლოგებს, არც ერთ მენშევიკს არ წამოუყენებია ჩვენი პარტიის წინააღმდეგ ისეთი ბრალდებები, რომელთაც აყენებენ ჩვენ წინააღმდეგ ტროცკისტული ოპოზიციის ბელადები. განსხვავება აქ კიდევ იმაშია, რომ ბურჟუაზიულ და მენშევიკურ პარტიებს იერიშები პარტიის წინააღმდეგ **გარედან** მოაქვთ, ოპოზიციონური ვაჟბატონები კი **შიგნიდან ეწევიან** ამ ყოვლად სამარცხვინო და ყოვლად უნამუსო კამპანიას.

რა აზრი აქვს ს. თალაკვაძის ზევით დასახელებულ წერილს, ან რას შეიცავს ის არსებითად? ავტორს მოუწადინებია კიდევ ერთხელ გადმოენთხია პარტიის წინააღმდეგ ყოველივე ის ოპოზიციონური სიბინძურე და ცილისწამება, რასაც ეს „ქებული“ ოპოზიცია ასე უხვად ავრცელებს დღეს პარტიის წინააღმდეგ ლეგალურად თუ არალეგალურად. პარტიაში შექმნილია აუტანელი რეჟიმი, პარტია ცხოვრობს დახშულ ჰაერში, პარტიას უმალავენ იმ კატასტროფას, რომელიც მას აუცილებლად მოელისო... აი მოუსმინეთ ამ ვაჟბატონს, აბა რას ბოდავს:

„ჩვენი პარტიის დღევანდელმა ხელმძღვანელებმა კი ისიც კი არა სთქვეს, რომ **პარტიას მძიმე წელი დაუდგა,** ისიც კი ერთხელ არ წამოცდენ პრესაში, რომ **პარტია კრიზისს განიცდის.** ეს ხელმძღვანელი ამხანაგები არ „სთვლიან“ **კრიზისად** იმას, რომ ლენინის სიცოცხლეში პარტიის **მთავარი ხელმძღვანელები,** რაღაც „სასწაულით“ პარტიის აპარატში გაბატონებულებმა დღეს ჩამოაშორეს ხელმძღვანელობას; ეს ხელმძღვანელი ამხანაგები მძიმე წლად არ „სთვლის“ იმას, რომ ძველი მოუსვენარი მებრძოლები, ბოლშევიზმის საფუძვლის ჩამყრელი მუშები, ლენინის უშუალო და განუყრელი მოწაფეები პარტიიდან იდევნებიან; პარტიიდან იდევნებიან შემთხვევით პარტიაზე შემოტმასნებულ ყოფილ (?) მენშევიკ-ესერ-კადეტ-ფედერალისტ - დაშნაკის **თითების** შემწეობით“.

„ლენინის პარტიის მთავარი ხელმძღვანელებიო“! აბა რისთვის არ ასახელებს, სახელდობრ, ვინ არიან ეს **„ხელმძღვანელები“.** შეიძლება ასეთია ტროცკი, რომელიც ასეთი არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება, რადვანაც იგი ყოველთვის ლენინს და მის პარტიას ებრძოდა. შეიძლება ასეთებია ზინოვიევი და კამენევი, რომელთაც „საქმენი საგმირონი“ დღეს უკვე ყველამ კარგად უწყის, რომლებიც ოქტომბრის რევოლიუციის წინა დღით პარტიას გამოეთიშენ და ბოლშევიკური პარტიის მოწინააღმდეგე გაზეთში გაილაშქრეს პარტიის წინააღმდეგ აჯანყების საკითხში, რისთვისაც იმათი გარიცხვა პარტიიდან მოითხოვა არა სხვა ვინმემ, არამედ თვით **ლენინმა.** რისთვის არ ასახელებს თალაკვაძე ამ ნაქებ „ხელმძღვანელებს“? მაგრამ ამის გაბედულება მას არ აქვს, მას შეუძლია მხოლოდ ცილისწამება და ცრუობა. მაგრამ ამ ვაჟბატონის სიცრუე და ცილისცამება სცილდება ყოველივე საზღვარს, როცა იგი გაიძახის: „ბოლშევიზმის საფუძვლის ჩამყრელი მუშები, ლენინის უშუალო და განუყრელი მოწაფეები პარტიიდან იდევნებიან **შემთხვევით პარტიაზე შემოტმასნებულ ყოფილ მენშევიკ-ესერ - კადეტ - ფედერალისტ-დაშნაკის თითების შემწეობითო“!** ესაა უდიდესი ცილისწამება პარტიის წინააღმდეგ. ეს ვაჟბატონები მართლაც რომ სრულიად დაუსჯელად გათამამდენ ცილისწამებაში პარტიის წინააღმდეგ. იმათი სიტყვით, ჩვენი პარტია ყოფილ მენშევიკ-ესერ-კადეტ - ფედერალისტ - დაშნაკებიდან შესდგება. დაუშვათ ერთი წუთით, რომ ეს მართალია. ვთქვათ, რომ ჩვენი პარტია შესდგება ყოფილ მენშევიკებიდან, ყოფილ ესერებიდან, ყოფილ ფედერალისტებიდან, და სხვ. მაგრამ ვინღა არიან დღევანდელი ოპოზიციონერები? ისინი არიან დღეს **ნამდვილი,** და **არა ყოფილი** მენშევიკები და კადეტები. რა შეგვიძლიან ჩვენ ვთქვათ იმის წინააღმდეგ, რომ ჩვენ პარტიაში შემოვიდენ და გაითქვიფენ ზოგიერთი ყოფილი მენშევიკები, სოც.-ფედერალისტები და ესერები, რომლებმაც დაგმეს წინანდელი თავის პარტიული მოღვაწეობა და სავსებით შეითვისეს ლენინიზმი. აშკარაა, ეს ჩვენ უნდა გვახარებდეს. სავალალო და სამწუხაროა არა ეს, არამედ ის, რომ ზოგიერთი ბოლშევიკები, რომლებიც დღეს ტროცკის ოპოზიციაში მოექცენ, ისე გადაგვარდენ, ისე დაეცენ, რომ იმეორებენ ლენინის პარტიის და ლენინური ცეკას წინააღმდეგ იმას, რასაც ამბობენ ბურჟუაზიული და მენშევიკური პარტიები და მათი ლიდერები დანები, ჟორდანიები, კაუტსკები და მსგავსნი მათნი. ეს ვაჟბატონები მივიდენ იქამდის, რომ ყოველ იმათ სიტყვას, ყოველ იმათ გამოსვლას, ყოველ იმათ ცილისწამებას პარტიის წინააღმდეგ კვერს ურტყამენ სწორედ ნამდვილი მენშევიკები და კონტრ-რევოლიუციონერები.

აი, რაშია ამ ვაჟბატონების უბედურება და ტრაგედია. ეს ვაჟბატონები ახლა გამომდგარან და ყვირიან: „პარტია მიყვანილია ხიფათთან“, „პარტიის მდგომარეობა სახიფათოა, ის მეტად სახიფათო რიყეზედ შედგა“, პარტია ჩიხშია მიყვანილი და სხვ. და სხვ.

ნურას უკაცრავათ, ოპოზიციონერებო! ეს სწორედ თქვენ მოექეცით ჩიხში, საიდანაც თქვენთვის, როგორც ჩანს, გამოსავალი მხოლოდ ერთია,— **ეს პარტიის გარეშე დარჩენა.** ამიტომ არა პარტიის მდგომარეობაა სახიფათო, არამედ თქვენი, ოპოზიციონერების. რაც შეეხება პარტიას. ის არასოდეს არ ყოფდა უარს იმას, რომ მის წინაშე, სანამ საბჭოთა კავშირი გარშემორტყმულია მტრებით, ბურჟუაზიული სახელმწიფოებით, მუდამ იქნება სიძნელე და გაჭირვება, რომ მისი გზა არა ია-ვარდით არის ფენილი, არამედ ნარეკლით.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ის ყოველგვარ სიძნელეს გადალახავს და თავის მიზანს მიაღწევს. თქვენ გადაუდექით ამ გზას, თქვენ შეგაშინა ამ გზამ, და მით თქვენ უღალატეთ ლენინიზმს და მოექეცით მენშევიზმის ჭაობში.

დღეს თქვენი იმედი აქვთ ჟორდანია-რამიშვილებს, რადგანაც ყველა სხვა იმედები იმათ გაუცრუვდათ. დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ოპოზიცია ლაპარაკობს **არა ინტერნაციონალისტური ენით, არამედ წმინდა მენშევიკური ენით, შოვინისტური და ნაციონალისტური ენით.** ის ჩამოშორდა ლენინიზმს, ჩამოშორდა ბოლშევიზმს.

რა უნდა უყოს პარტიამ ამ გზააბნეულ და უფსკრულში გადაჩეხილ ხალხს? შეიძლება თუ არა ამ ხალხის უკან, პარტიისაკენ გამობრუნება, უფსკრულიდან ამოყვანა? ჩვენ ვამბობთ უმთავრესად ოპოზიციის ლიდერებზე. პარტიამ დაკარგა ამის იმედი. ის უკანასკნელ დრომდე იმედოვნებდა, რომ ეს შეიძლებოდა. მაგრამ ახლა პარტია დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელია. ამას ამტკიცებს ისეთი წერილების გამოქვეყნება, როგორიც არის ზემო დასახელებული წერილი ს. თალაკვაძისა. ეს წერილი აშკარად ლაღადებს, რომ მისი ავტორი პარტიის წევრი აღარაა, იგი პარტიის მტერია, იგი ლაპარაკობს როგორც პარტიის შეურიგებელი მტერი.

დეე, ამიერიდან იცოდეს ყველამ, რომ პარტიის რყევას შიგნიდან ჩვენ არავის ვაპატიებთ.

ფ. მახარაძე.

ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის გარშემო

ინგლისის ვაჭარ-მრეწველები მოითხოვენ საბჭ. კავშირთან ვაჭრობის შემზღუდველ პირობების მოსპობას

ჯოინსონ ხიქსის პასუხი ვაჭარ-მრეწველთა მოთხოვნილებაზე.—„დეილი ჰერალდი“ ხიქსის პასუხის შესახებ

ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი საჭიროთ აღიარებს მეგობრული ურთიერთობის დამყარებას საბჭ. კავშირთან

„მუქარა თუ სისულელე“

ჯოინსონ ხიქსი და ინგლის-საბჭოთა ვაჭრობა

ლონდონი, 15 ნოემბ. ბრატფორდის სავაჭრო პალატა ბეჭდავს თავის წარმომადგენლების საუბარს შინაგან საქმეთა მინისტრ **ჯოინსონ ხიკსთან** საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შესახებ. **პალატის წარმომადგენლებმა მიუთითეს ხიკს რომ ის დაბრკოლებები, რომლებსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ქმნის სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის მათი ინგლისში დარჩენის საკითხში ხელს უშლიან სავაჭრო გარიგებებს.**

ხიკსმა განაცხადა, რომ ამიერიდან **შინაგან საქმეთა სამინისტრო საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ნებას დართავს დარჩენ ინგლისში ექვსი თვის განმავლობაში. მათ უფლება ეძლევათ აგრეთვე ალძრან შუამდგომლობა ამ ვადის განგრძობის შესახებ.**

ეს განცხადება შემდეგ ხიკსმა დაადასტურა ბრატფორდის სავაჭრო პალატისათვის გაგზავნილ წერილში. აქ ხიკსი ყურადღებას აქცევს პალატის წარმომადგენელთა განცხადებას იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობას უკანასკნელ დროს არავითარი დაკვეთები არ მიუცია ინგლისში.

„ეს, — სწერს ხიკსი, — მე ძლიერ მაწუხებს. თქვენ იცით, რომ არკოსის რუსი წარმომადგენლები ინგლისში დაშვებული არიან სავაჭრო მიზნებისათვის. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვაჭრობა ფაქტიურად აღარ სწარმოებს, შეუძლებელი ხდება მათი ინგლისში დარჩენის გამართლება. თუ სავაჭრო საქმეები ასეთ სავე მდგომარეობაში დარჩა დიდი ხნის განმავლობაში, ვშიშობ, რომ საჭირო შეიქნება მთელი საკითხის გადათვალიერება“.

„დეილი ჰერალდ“ ამის შესახებ მოწინავეში კითხულობს: „რა არის ეს?—მუქარა თუ სისულელე?“. (ადს)

ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრის განცხადება

რეველი, 15 ნოემბ. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, ახალმა გარეშე საქმეთა მინისტრმა გელატმა აღნიშნა, რომ განაგრძობს აქელის საგარეო პოლიტიკას, „რომელიც მისაღებია, როგორც მთავრობის პარტიებისათვის, ისე ოპოზიციისთვის“.

„არ არის სავსებით სწორი მტკიცება, —განაცხადა გელატმა, — რომ ესტონეთი აწარმოებს მეგობრულ პოლიტიკას მხოლოდ პოლონეთისა და ინგლისის მიმართ, ვინაიდან არსებობს სხვა სახელმწიფოებიც, რომლებთანაც ესტონეთი მეგობრულ ურთიერთობაშია, მაგალითად, **საბჭოთა კავშირი, რომელთანაც ესტონეთმა დაიწყო საგარანტიო მოლაპარაკება. ჩვენი სურვილია, რომ ეს მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდეს.** ლატვიის მიმართ, ესტონეთის მთავრობა მოხარული იქნება, თუ ლატვია - საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება გააუმჯობესებს ლატვიის ეკონომიურ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირთან. მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ეს ხელშეკრულება წარმოადგენს დაბრკოლებას ლატვია - ესტონეთის საბაჟო უნიის განხორციელებისათვის, ესტონეთის მთავრობა საჭიროდ სთვლის მიაქციოს ამ გარემოებას ლატვიის ყურადღება“. (ადს).

საფრანგეთის მემაღაროეთა ბრძოლა

ემზადებიან გაფიცვისათვის

პარიზი, 15 ნოემბ. „იუმანიტე“-ს ცნობით, ლავაჟის მემაღაროეთა გადაწყვეტილებას, რომ სამუშაო ხელფასის შემცირებასა და სამუშაო დროის გაგრძელებას უპასუხონ გაფიცვით, **ენტუზიაზმით შეხვდენ საფრანგეთის ქვანახშირის რაიონებში.**

„ქვანახშირის მრეწველთა კომიტეტის მიზანს შეადგენდა დაემარცხებია მემაღაროენი ჯერ უფრო წვრილ რაიონებში და შემდეგ კი შეტევა დაეწყო უფრო მსხვილ ცენტრებზე. ეს მანევრი დამარცხებულია — სწერს გაზეთი. კრეზის ქვანახშირის რაიონის მემაღაროენი შეებრძოლებიან მწარმოებლებს გაფიცვით. სხვა რაიონები მზად არიან მხარი დაუჭირონ მათ, და გამოვიდენ მემაღაროეთა უნიტარულ კავშირის პირველ მოწოდებისთანავე“ (ადს).

მარტის და სხვა კომუნისტების საქმე

პარიზი, 15 ნოემბ. 15 ნოემბერს პარიზის სააპელიაციო პალატაში გაირჩა **მარტის, დიუკლოს** და სხვა კომუნისტების საქმე, რომელთაც მისჯილი აქვთ 43 წლის ციხე.

დიუკლომ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ კომუნისტური პროპაგანდა ჯარში მიზნად ისახავს განუმარტოს ჯარისკაცებს მათი სოლიდარობა მუშებთან და ის, რომ ისინი მოვალენი არიან მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებაში და დაიცვან თავისი კლასობრივი ინტერესები.

მარტიმ განაცხადა: „პარიზის გამასწორებელმა ტრიბუნალმა ჩვენი გასამართლებით, მიუხედავათ დეპუტატთა პალატის დადგენილებისა, თავისი თავი სახალხო ნებისყოფაზე უფრო მაღლა დააყენა. **მუშები და გლეხები დარწმუნდებიან, რომ დემოკრატიული ლაყბობა მხოლოდ საფარია კაპიტალის დიქტატურისათვის“.**

გენერალურ პროკურორმა, რომელიც მხარს უჭერდა ბრალდებას, განაცხადა, რომ კომუნისტები ანგრევენ საფრანგეთს და ცდილობენ ბურჟუაზიის განადგურებას, რომ თითონ დაიკავონ მისი ადგილი.

პროკურორის სიტყვის გამო მარტიმ განაცხადა: „ჩვენ არასოდეს არ დავიცავთ ბანკირ ფინალისა და გომბერგის სამშობლოს“.

განაჩენი გამოტანილ იქნება ერთი კვირის შემდეგ (ადს).

ფრანგ რეფორმისტების „დეკლარაცია“

პარიზი, 15 ნოემბ. შრომის საყოველთაო რეფორმისტულმა კონფედერაციამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელიც შეიცავს „მუშათა კლასის პირველ ხარისხოვან მოთხოვნილებებს“. დეკლარაცია აღნიშნავს, რომ აუცილებელია ღრმა ცვლილებანი საფრანგეთის ეკონომიურ სტრუქტურაში და შეუძლებელია ნაწილობრივი ღონისძიებებით დაკმაყოფილება ამ დარგში. შრომის საყოველთაო ფედერაცია მოითხოვს კოლექტიურ ხელშეკრულებათა სისტემის გაფართოებას, წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესების უფლების მინიჭებას პროფკავშირებისათვის, კონტროლის დაწესებას კარტელებზე, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშათა სამომხმარებლო ორგანიზაციებმა, კონტროლის დაწესებას ფინანსიურ დაწესებულებებზე, დახმარების აღმოჩენას იმ მუშებისათვის, რომელთაც დროებით დაჰკარგეს სამუშაო, საზოგადოებრივ სამუშაოთა მოწყობას, პროფესიონალური კვალიფიკაციის სკოლების მოწყობას და სხვ (ადს).

მაქს ჰელცის საქმე

ბერლინი, 15 ნოემბ. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ის ცნობით, მოხდა მაქს ჰელცის საქმის გამოძიება იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად წარმოადგენდა სიმართლეს მუშა ფრიხეს ჩვენებები. ფრიხემ განაცხადა, რომ მემამულე გისი მოკლა მან. ამ მკვლელობას კი მიაწერდენ ჰელცს. მის საქმეზე განაჩენი გამოტანილია დღეს. ჰელცის საქმის გამოძიებამ გამოარკვია ისეთი გარემოება, რომელიც შეუძლებლად ხდის ჰელცის პროცესის გადასინჯვას სასამართლოს წესით.

გაზეთი დასძენს, რომ ჰელცის განთავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ პარტიების წესით, რაც შედის სრულიად გერმანიის ხელისუფლების კომპეტენციაში (ადს).

„კანონის მოთხოვნილება“

თეირანი, 15 ნოემბერი. სპარსეთის მეჯლისში დღის წესრიგში დასმულ საკითხების გარშემო მსჯელობის დაწყების წინ გამოვიდა ასტრაბადის დეპუტატი მოტაზედი, რომელშიც „კანონის მოთხოვნილების“ თანახმად ამტკიცებდა, რომ საჭიროა მეჯლისმა სარატიფიკაციოთ წარედგინოს ნოტები საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ, რომელთა გაცვლა-გამოცვლა მოხდა საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის მთავრობების რწმუნებულებს შორის საგარანტიო ხელშეკრულების ხელმოწერის დროს (ამ ნოტებს კი არ ესაჭიროება მეჯლისის რატიფიკაცია, რამდენადაც ისინი შეეხებიან სპარსეთსა და საბჭოთა კავშირის შორის საქონლის ბრუნვის მოწესრიგების ტექნიკურ საკითხს).

ფინანსთა მინისტრმა არ უპასუხა მოტაზედს. მან განაცხადა, რომ თუ უკანასკნელი თავის წინადადებას შემოიტანს შეკითხვის სახით, მიიღებს მთავრობისაგან სათანადო განმარტებას.

უცხოეთის კოოპერატიულ დელეგატების თათბირი

მოსკოვი, 16 ნოემბერი. გაიმართა თათბირი ყველა უცხოეთ კოოპერატიულ დელეგაციების, რომლებიც ჩამოვიდენ მოსკოვში ოქტომბრის დღესასწაულებში მონაწილეობის მისაღებად. თათბირმა მოისმინა „ცენტროსოიუზის“ თავმჯდომარის ლიუბიმოვის მოხსენება საერთაშორისო კოოპერატიულ მუშაობის შესახებ საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსში.

თათბირმა მიიღო რეზოლიუცია საერთაშორისო კოოპერატიულ მუშაობის საკითხზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ კოოპერატიული ალიანსი—არის ყველაზე ნაკლებ მოქმედი ორგანიზაცია, ყველა კოოპერატიულ გაერთიანებებიდან კოოპერატიულ დელეგაციებს საჭიროდ მიაჩნიათ ყველა ზომების მიღება საერთაშორისო კოოპერატიულ მოძრაობის აქტივობის გასაძლიერებლად საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსში (ადს).

პენლევე ლონდონში

ლონდონი, 15 ნოემბ. ლონდონში ჩამოვიდა პენლევე, რომელიც წაიკითხავს მთელ რიგ სამეცნიერო ლექციებს (ადს).

ბერზინის დაპატიმრება

რიგა, 15 ნოემბ. დაპატიმრებულია ბერზინი, რომელიც, გაზეთების სიტყვით, იყო საბჭოთა ლატვიის მიწადმოქმედების სახალხო კომისრად (ადს).

აფეთქება პიტსბურგში

ბერლინი, 15 ნოემბ. პიტსბურგიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობებით, აფეთქების დროს მოკლულია 40 კაცი, მძიმედ დაჭრილია 100 და მსუბუქად—400. უთავშესაფაროდ დარჩა 5.000 კაცი. ფიქრობენ, რომ ნანგრევებს ქვეშ კიდევ არის დაღუპულთა გვამები. ქალაქის მთელი უბანი დანგრეულია. ალაგ-ალაგ გრძელდება ხანძრები.

1928 წლის ოლიმპიადა

პარიზი, 15 ნოემბ. საფრანგეთის სენატმა 277 ხმით ერთის წინააღმდეგ გადასდო 2 მილიონი ფრანკი საფრანგეთის მონაწილეობისათვის 1928 წლის ოლიმპიადაში. (ადს).

მაღაროს ჩამონგრევა

ბერლინი, 15 ნოემბ. ტოკიოდან მიღებული ცნობებით მიწისძვრის გამო კუნძულ იეზოზე (იაპონია) ჩამოინგრა ქვანახშირის მაღარო. ცოცხლად დაიმარხა 42 მემაღაროე, რომელთაგან გადარჩენილია მხოლოდ 14. (ადს).

მატარებლების დაჯახება

პრაღა, 15 ნოემბ. ბრიუნის ახლოს ერთმანეთს დაეჯახა ჩქარი და საქონლის მატარებლები. დაჭრილია 10 კაცი, აქედან 3 მძიმედ (ადს).

გერმანელ მუშ. დელეგაციის გამგზავრება

ლენინგრადი, 16 ნოემბერი. გერმანიის მუშათა მესამე დელეგაცია, რომელიც იღებდა მონაწილეობას საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესზე, რიცხვით 74 კაცი, ლენინგრადით გაემგზავრა გერმანიაში (ადს).

კაპაბლანკა—ალიოხინი

ბუენოს - აირესი, 15 ნოემბ. კაპაბლანკა - ალიოხინის მე-29 პარტია მე-70 სვლის შემდეგ დამთავრდა კაპაბლანკას გამარჯვებით (ადს).

უკანასკნელი ცნობები

საფრანგეთ - საბჭოთა მოლაპარაკება

პარიზი, 15 ნოემბ. პარლამენტის გარეშე საქმეთა კომისიის სხდომაზე ბრიანმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება რუსეთის ვალების საკითხის ირგვლივ დოვგალევსკისთან გაგრძელდება იმავე პირობებში, როგორიც რაკოვსკისთან (ადს).

ლოკაუტი გერმანიაში

ბერლინი, 16 ნოემბ. ლოკაუტი სიგარის ფაბრიკებში გატარებულია მთელ გერმანიაში და ეხება 110.000 მუშას 1.350 წარმოებაში. (ადს).

„აუცილებელი უხერხულობა“

ლონდონი, 16 ნოემბერი. პონსონბიმ (მუშათა პარტია) თემთა პალატაში მისცა შეკითხვა: ვინაიდან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან საერთაშორისო დამოკიდებულებაში იწვევს უხერხულობას, აქვს თუ არა განზრახვა მთავრობას უარი განაცხადოს უცხოეთის სახელმწიფოსათვის უნდობლობის გამოცხადებას ასეთ მეთოდზე.

ჩემბერლენმა განაცხადა: რომ დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა, რასაკვირველია, ქმნის უხერხულობებს, მაგრამ არსებობს მდგომარეობა, როცა ეს უხერხულობანი აუცილებელია. პონსონბი შეეკითხა: განა მით უფრო აუცილებელი არ არის დიპლომატიური წარმომადგენლობის ყოლა, როცა ურთიერთობა ორი ქვეყნის შორის გამწვავებულია? ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ეს სავსებით არის დამოკიდებული იმისაგან, თუ როგორ მიზნებს ისახავს ეს დიპლომატიური წარმომადგენლობა. (ადს).

„რეფორმები“ არ სურთ

ლონდონი, 16 ნოემბ. მასიურმა მიტინგმა კალკუტაში საპროტესტო რეზოლიუცია მიიღო იმის წინააღმდეგ, რომ მეფის კომისია დაინიშნა კონსტიტუციონური რეფორმების გატარების გამოსაკვლევად ინდოეთში (ადს).

ფანოლი მოსკოვში

რომი, 16 ნოემბ. „ტრიბუნა“ აქვეყნებს თავისი მოსკოველი კორესპონდენტის ცნობას საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესის შესახებ და დიდ ყურადღებას აქცევს ალბანეთის ყოფილი პრემიერის ყოფნას საბჭოთა კავშირში და მის განცხადებებს (ადს).

საპასუხო დარბაზობა

ვენა, 15 ნოემბერი. ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„საკავშირო კანცლერი ზეიპილი ეწვია ვენაში მყოფ შტრეზემანსა და მარქს. ზეიპელმა გამართა ვახშამი გერმანელ სტუმრების საპატივცემლოდ“. (ადს).

ოქტომბრის დღესასწაული ბომბეიში

კაბული, 15 ოქტომბერი. გაზეთ „ინდუსტან ტაიმსი“-ის ცნობით 7 ნოემბერს ბომბეიში გაიმართა ინდოეთის მუშურ-გლეხური პარტიის მიერ მოწყობილი მასიური დემონსტრაცია ოქტომბრის ათი წლის თავის აღსანიშნავად. დემონსტრაცია დამთავრდა მიტინგით, რომელზედაც გამოვიდენ მუშურ-გლეხური პარტიის წარმომადგენელნი და კომუნისტები. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ესალმებიან საბჭოთა კავშირს, „რომელიც ათი წლის განმავლობაში იგერიებს საერთაშორისო იმპერიალიზმის შეტევას“. (ადს).

„როტე ფანე“ ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ

ბერლინი, 16 ნოემბერი. „როტე ფანე“ ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის გამო სწერს: „რევოლიუციის ინტერესები მოითხოვდა, რომ ოპოზიციას სწორედ ასე მოქცეოდენ, ვინაიდან მისი მოქმედება უკანასკნელ ხანებში დაუშვებელი იყო. თუ ეხლა ტროცკი და ზინოვიევი შეეცდებიან ახალი პარტიის შექმნას, მუშები მას არ გაჰყვებიან. პარტიიდან გარიცხვის შემდეგ ისინი სავსებით გაირიყებიან. თუ ისინი კვლავ განაგრძობენ ბრძოლას პროლეტარული დიქტატურისა და საბჭოთა სახელმწიფოს კანონების წინააღმდეგ, მაშინ საბჭოთა სახელმწიფო მიიღებს აუცილებელ თავდაცვითი ზომებს, როგორც ეს პარტიამ ჩაიდინა. გერმანიის კომპარტია, ისევე როგორც კომინტერნის სხვა სექციები, ენერგიულად განუმარტავენ მუშათა კლასს ოპოზიციის მიმართ მიღებული ზომების აუცილებლობას და გაათკეცებული ენერგიით იბრძოლებენ მასების დარაზმვისათვის ბოლშევიზმის მიერ ნაჩვენები გზით. (ადს).

უცხოეთის ახალგაზრდობის დელეგაციების კონფერენცია

მოსკოვი, 16 ნოემბერი. დასრულდა უცხოეთის ახალგაზრდობის დელეგაციების კონფერენცია. მოხსენების გამო ომის საშიშროების შესახებ კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ურთდება საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესის მოწოდება იმპერიალისტურ თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება მუშათა სახელმწიფოს. (ადს).

ფეიქართა საერთაშორისო კონფერენცია

მოსკოვი, 16 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ფეიქართა კავშირის ცეკასთან შესდგა ინგლისის, გერმანიის, ჩეხო-სლოვაკიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ესტონეთის; ჩინეთის და ავსტრიის ფეიქართა საერთაშორისო კონფერენცია.

კონფერენციამ გადასწყვიტა გააძლიეროს კამპანია ფეიქართა მთლიანი ფრონტის შესაქმნელად და დაამყაროს ინფორმაციის რეგულიარული გაცვლა-გამოცვლა პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტის საშუალებით. (ადს).

ურბანსის და კომპ. მორიგი მარცხი

ბერლინი, 16 ნოემბერი. გუშინ ურბანსის ჯგუფმა ბერლინში მოიწვია მიტინგი, მაგრამ შემდეგ შეეცადენ გადაედოთ იგი, ვინაიდან შეკრებილთა უმრავლესობა არ ეკუთვნოდა ამ ჯგუფს. მიტინგი მაინც გაიხსნა კომპარტიის წევრთა ხელმძღვანელობით და მთელი რიგი ორატორების გამოსვლის შემდეგ, ხმების უდიდესი უმრავლესობით მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მიტინგზე შეკრებილნი სავსებით უჭერენ მხარს გერმანიის კომპარტიის ცეკას პოლიტიკას, სასტიკად გმობენ ურბანსის ჯგუფის ანტიბოლშევიკურ გალაშქრებას საკავშირო კომპარტიის (ბ) კომინტერნის წინააღმდეგ. ხმების ასეთივე უმრავლესობით იქნა უარყოფილი ურბანსის ჯგუფის დეკლარაცია. (ადს).

ზინოვიევსკი - ძერჟინსკი

ზინოვიევსკი, 16 ნოემბ. საოლქო პარტკონფერენციამ ერთხმად დაადგინა, სთხოვოს ცეკას მხარი დაუჭიროს შუამდგომლობას ქალაქ ზინოვიევსკის სახელწოდების ძერჟინსკის სახელით შეცვლის შესახებ (ადს).

ახალი წევრების მიღება გერმანიის კომპარტიაში

ბერლინი, 16 ნოემბ. მიღებულია პირველი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდა გერმანიის კომპარტიაში ახალი წევრების მიღების კამპანია ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავთან დაკავშირებით. არასრული ცნობების მიხედვით, გერმანიის 18 ოლქში კომუნისტურ პარტიაში მიღებულ იქნა 4,368 ახალი წევრი (ადს).

საფრანგეთის კომპარტია ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ

პარიზი, 16 ნოემბ. საკავშირო კომპარტიიდან (ბ) ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის გამო „ლიუმანიტე“ სწერს შემდეგს: „საფრანგეთის კომპარტია ერთსულოვნად იწონებს იმ უკიდურეს ზომებს, რომელნიც ტროცკისა და ზინოვიევის წინააღმდეგ იქნა მიღებული მათი ყოვლად დაუშვებელი საქციელის გამო. ტროცკისტულმა ოპოზიციამ განიცადა რა იდეოლოგიური მარცხი საკავშირო კომპარტიისა (ბ) და კომუნისტური ინტერნაციონალის წინაშე დადგა ყოვლად დაუშვებელი ფრაქციული ბრძოლის გზაზე, რითაც თავისი თავი დააყენა პარტიის გარეშე. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ძმური მოვალეობაა დაუჭიროს მხარი საკავშირო კომპარტიის (ბ) ახალ ნეო-მენშევიკური ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც სცდილობს კომინტერნის მთლიანობის დარღვევას (ადს).

„რუდე პრავო“ ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის გამო

პრაღა, 16 ნოემბ. ჩეხო - სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ორგანო „რუდე პრავო“, აქვეყნებს რა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ცნობას საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის დადგენილების შესახებ, სწერს: „ტროცკისა და ზინოვიევის მოქმედება იმდენად ანტიპარტიულია, რომ მათი ყოფნა პარტიაში დაუშვებელია“ (ადს).

პროლეტ. მწერლების საერთაშორისო კონფერენცია

მოსკოვი, 16 ნოემბერი. 15 ნოემბერს ამხ. ლუნაჩარსკის თავმჯდომარეობით გაიხსნა პროლეტარულ და რევოლიუციონურ მწერლების საერთაშორისო კონფერენცია, რომელზედაც წარმოდგენილია მწერლები საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, გერმანიის, ჩეხო-სლოვაკიის, ამერიკის, შვეციის, ნორვეგიის, უნგრეთის და სხ. ქვეყნების. საბჭოთა ლიტერატურის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ლუნაჩარსკიმ. ვეისკოფმა** (ჩეხო-სლოვაკიიდან) გააკეთა მოხსენება ინტერნაციონალურ პროლეტარული და რევოლიუციონური ლიტერატურის მდგომარეობის შესახებ (ადს).

რას ამბობს მტერი

ოპოზიციის ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ და მისი გადასვლა დეზორგანიზატორულ „მუშაობიდან“ პარტიის —ანტისაბჭოთა გამოსვლებზე, თანაგრძნობის გამოძახილს პოულობს მთელი სოფლის ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ კონტრ - რევოლიუციის რიგებში.

რუსეთის მენშევიკები უკვე დიდი ხანია თანაგრძნობით და ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ოპოზიციის ბრძოლას ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. თანამედროვე „შტრეიკბრეხერების“ თვითეული ახალი გამთიშველი ნაბიჯი, მათი თვითეული ახალი გამოსვლა ლენინიზმის წინააღმდეგ, რაც მათ აახლოვებს სოციალ-დემოკრატიზმთან, პოულობს მენშევიკების მხრით თანაგრძნობას და მოწოდებას უფრო გაბედულ ანტი-საბჭოთა მოქმედებისაკენ.

უკეთებენ რა „ჯამს“ პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალიზმის ათი წლის ბრძოლას, მენშევიკები, რა თქმა უნდა, სიამოვნებას გამოსთქვამენ იმ „ბალანსების“ გამო, რომლებიც გამოიყვანეს ოპოზიციის ლიდერებმა პროლეტარიატის დიქტატურის ათი წლის თავისათვის.

მენშევიკ აბრამოვიჩს მოჰყავს ციტატები კამენევისა და ტროცკის ლიკვიდატორულ განცხადებებიდან საბჭოთა ხელისუფლების „გადაგვარებისა“ და სხვ. შესახებ და სიამოვნებით აღნიშნავს (იხ. მისი წერილი „ორი რევოლიუცია და ერთი დიქტატურა“ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ ჟურნალ „დერ კამპფ“-ის 1927 წლის ნოემბრის ნომერში): „აქ არსებითად გამოთქმულია მარტოვის ის აზრი, რომ რუსეთის რევოლიუციის ნაყოფით ისარგებლეს არა მუშებმა, რუსეთში ჰომხდარ ძალდატანებითი გადატრიალებიდან ნამდვილად გამარჯვებულად აღმოჩნდენ არა მუშები, არამედ ქალაქისა და სოფლის ის წვრილბურჟუაზიული მასები, რომლებმაც თავისი ბეჭედი დაასვეს ქვეყნის სახეს“.

აბრამოვიჩი თავისკენ ეწიკება ოპოზიციას და ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლის თავზე უხსნის კამენევსა და ტროცკის, რომ ისინი ლაპარაკობენ მარტოვის ენით, და არა ლენინის ენით.

ამავე აზრს ასურათებს ფ. დანი საფრანგეთის სოციალისტების ორგანო „პოპიულერ“-ის 1927 წლ. 7 ნოემბრის ნომერში, წერილში: „ბოლშევიკური დიქტატურის ათი წლის თავი“: „ბოლშევიკურმა დიქტატურამ უკვე ამოსწურა თავი, როგორც რევოლიუციონურმა ფაქტორმა. ის იქცევა ბოლშევიკური „აპარატის“ დიქტატურად, რომელიც სულ უფრო და უფრო თავისუფლდება კავშირიდან რომელიმე კლასთან, წინააღმდეგობაში ვარდება ყველა კლასების ინტერესებთან და ადგია დაშლის გზას“.

„ამის აშკარად დამამტკიცებლად“ დანს მიაჩნია ოპოზიციის აჯანყება პარტიის წინააღმდეგ.

ავსტრიის სოციალ - დემოკრატიის ამას წინად დამთავრებულ უკანასკნელ ყრილობაზე ბაუერმა და ელენბოგენმა გამოსთქვეს თავის თანაგრძნობა დიქტატურის „მსხვერპლ“ ტროცკისადმი.

რუმინეთის სოციალ - დემოკრატიის ორგანოში „სოციალიზმისაკენ“ რადაჩეანუ „ჯამს“ უკეთებს დიქტატურის ათ წლის და სწერს:

„რუსეთის ეხლანდელი რეჟიმი დამარცხდა სოციალიზაციის გატარების ცდაში და ამის მაგიერ მან დაამყარა სახელმწიფო კაპიტალიზმი, რუსეთის პროლეტარიატის მდგომარეობა კი არ გაუმჯობესებია.

რუსეთის პროლეტარიატი ამჟამად მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს და საზოგადოებრივ თავისუფლებას. მმართველი ჯგუფის დიქტატურა ახლა სდევნის აგრეთვე ტროცკის და ზინოვიევს“.

არაფერი არ შეიძლება იყოს უფრო „რევოლიუციონური“ ვიდრე ავსტრიის სოციალ - დემოკრატიის სურვილები: „ანტი - მარქსისტულ სექტანტურ ბოლშევიზმის რაც შეიძლება სწრაფი ლიკვიდაცია“.

სოციალ - დემოკრატიას ტროცკის „არასექტანტური ბოლშევიზმი“ („ევროპიული?“) ურჩევნია ლენინის „სექტანტურ“ ბოლშევიზმს. ტროცკიმ მათ გაუსწრო. ჯერ კიდევ დიდი ხნის წინად ლენინის წინააღმდეგ ბრძოლაში ის სარგებლობდა იმავე ტერმინოლოგიით, როგორც რადაჩეანუ, ის იბრძოდა ბოლშევიზმის „სექტანტობისა“ და „აზიურობის“ წინააღმდეგ „ევროპიულ მარქსიზმისათვის“. ახლა მხოლოდ გაგრძელებაა და არა დასაწყისი ამ ბრძოლის.

ტროცკის „ევროპიული მარქსიზმი“ მოიწონა „პოსლედნიე ნოვოსტი“-საც კი, რომლის ფურცლებზე (6 ნოემბრის ნომერში) მოთავსებულია ამონაწერები „83“-ის დეკლარაციიდან და ტროცკისა და ვუიოვიჩის განცხადებიდან შემდეგი „შესავლით“:

„ქვემოდ ჩვენ ვბეჭდავთ ორ ნაწყვეტს ბოლშევიკურ „ოპოზიციონურ“ ლიტერატურიდან. ისინი სწორედ გამოდგებიან „იუბილესათვის“. საბჭოთა რუსეთში ამ ნაწყვეტების დაბეჭდვაც კი არ შეიძლება.

ეს ლიტერატურა იქ იბეჭდება საიდუმლო სტამბებში, როგორც ძველი რეჟიმის დროს, მას უთვალთვალებენ და სპობენ ისევე, როგორც ძველი რეჟიმის დროს.

ამგვარად ჩვენ ვანხორციელებთ „პრესის თავისუფლებას“ ტროცკისათვის. ჩვენ მადლობას არ ველით, მაგრამ თვითონ გამოვსთქვამთ კმაყოფილებას, რომ ბოლშევიკური „ოპოზიცია“ შესდგა არალეგალური პრესის გზაზე. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მას მოჰყვება შემდგომი ნაბიჯები.“

მილიუკოვი არ ელის მადლობას ოპოზიციისაგან, იგი საკმაოდ „თავდაპალია“. იგი თანახმა არის უმადლობოდაც დაბეჭდოს თავისი გაზეთის ფურცლებზე ოპოზიციონური დოკუმენტები, რომელნიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არიან მიმართული. იგი კმაყოფილია ოპოზიციონერებით ამ „არალეგალური პრესის სტადიაზე“ გადასვლის გამოც, მაგრამ იმედოვნებს, „რომ მას (ამ სტადიას) მოჰყვება კიდევ შემდგომი სტადიები. მილიუკოვი აქ ანტი-საბჭოთა დემონსტრაციებს ხომ არ გულისხმობს?

ასე თუ ისე, იგი ესალმება ოპოზიციას და ბოლშევიზმის კრიტიკაში იდეურად ეჭყარება მას.

მილიუკოვთან შეხმატკბილებულ აზრებს გამოსთქვამს „დეილი ტელეგრაფი“ პარტიის შიგნით მომხდარი უკანასკნელი ამბების შესახებ და ბრძნულად დასკვნის:

„ოპოზიციის განცხადებანი ამტკიცებს იმას, რასაც ამბობდენ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მისი არაბოლშევიკი კრიტიკოსებიო“.

ასეთია მტრის ხმა.

მოსკოვი, 16 ნოემბერი.

საბჭოთა კავ. მუშ. და გლ. ინსპექციის მუშაობის გეგმა

მოსკოვი, 16 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის მუშ. და გლ. ინსპექციამ მიიღო 1927—28 წლის მუშაობის გეგმა. გეგმით გათვალისწინებულია საბჭოა სამეურნეო მმართველობის, ბიუჯეტის და ტრანსპორტის შესწავლის შემოწმება. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული დირექტივის შესრულებას ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირებისა და აპარატის გამარტივების საქმეში. დიდი ადგილი უჭირავს კაპიტალურ მშენებლობის, წარმოების რაციონალიზაციის და უმაღლეს საბჭოთა სამეურნეო ორგანოების უფლება-მოვალეობას. ცალკე მუხლით არის აღნიშნული იმის გამორკვევა თუ როგორ იწყებენ შრომის რაციონალიზაციის ჩატარების გამო განთავისუფლებულ სამუშაო ძალას. გამოკვლეულ იქნება ლითონის მრეწველობის ორი ფაბრიკა, ორი საფეიქრო ქარხანა, ორი ქარხანა უკრაინაში და ნავთის მრეწველობა. (ადს).

სარკინიგზო აღმ. გეგმა

მოსკოვი, 16 ნოემბერი. გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატმა შეადგინა რკინისგზის აღმშენებლობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა. აღმშენებლობის უმეტესი ნაწილი არის იმ ხაზებზე, რომელიც დაწყებული იყო ომის დროს. ყველა ამ ხაზების დასრულება განზრახულია უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში.

კავშირის [illegible] დაწყებულ თურქესტან-ციმბირის მაგისტრალს გარდა, გათვალისწინებულია პეტრო-პავლოვს-კოჩეტოვის ხაზის გაგრძელება აკმოლინსკამდე და შუა აზიაში თერმეზ-დიუშამბეს ხაზის აგება (ადს).

გლეხთა დელეგატების კონფერენცია

მოსკოვი, 16 ნოემბ. უცხოელ გლეხთა დელეგაციების კონფერენციაზე, რომელიც შესდგა 15 ნოემბერს, მონაწილეობა მიიღო 45 დელეგატმა, მათ შორის გლეხთა კავშირების მემარცხენე მიმდინარეობის, აგრარული და სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებმა და უპარტიოებმა.

კონფერენციამ მოისმინა ამხ. დომბალის მოხსენება საერთაშორისო გლეხთა მოძრაობის მუშაობისა და ამოცანების შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს იტალიის, პოლონეთის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. მიღებულ რეზოლიუციებში უცხოელი გლეხების დელეგაციები აღფრთოვანებით აღნიშნავდენ, რომ გლეხობას ბევრი რამ მისცა ოქტომბრის რევოლიუციამ და აცხადებენ, რომ მზად არიან დაიცვან საბჭოთა კავშირი შემოტევისაგან იმპერიალისტური ქვეყნების მხრივ. (ადს).

საკავშ. ცაკის დადგენილება

შალიაპინის შესახებ

მოსკოვი, 16 ნოემბერი. საკავშირო ცაკმა დაადგინა — ჩამოერთვას შალიაპინს სახლით და მამულით სარგებლობის უფლება ვლადიმირის გუბერნიაში (ადს).

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის (ბ) მეხუთე ყრილობა

მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და საკონტროლო კომისიის მუშაობა

ამხ. ა. დოლიძის მოხსენება

16 ნოემბრის დილის სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. სილია თოდრია. დღის წესრიგში დგას საკითხი მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ამხ. ანდრო დოლიძეს, რომელსაც კრება ხანგრძლივი ტაშით ეგებება.

ამხანაგებო, თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ საკ. კომისიის და მ.-გ. ინსპექციის ფუნქციებს და იმ დავალებებს, რომელსაც ის ასრულებს, ჩვენ უთუოდ უნდა ვსთქვათ, რომ ამ ფუნქციის მიხედვით, ამ დავალების მიხედვით, მისი მოხსენების უმთავრეს მომენტს უნდა წარმოადგენდეს იმ ნაკლულოვანების, დეფექტების და შეცდომების გამოაშკარავება და გამომჟღავნება, რომლებიც უსათუოდ არსებობს ჩვენი სახელმწიფო აპარატის მუშაობაში.

ამასთანავე აღნიშნულ უნდა იქნეს, რომ, როდესაც მუშათა და გლეხთა ინსპექცია და ც. ს. კომისია უთითებს ამა თუ იმ ნაკლზე, ამჟღავნებს მას პრესაში, ეს არავისთვის არ უნდა იყოს მიღებული პირად შეურაცყოფად. ეს არ მიეკუთვნება პირადულ ანგარიშს.

მე მახსოვს ცეკასა და ც. ს. კომისიის წარსულ გაერთიანებულ პლენუმზე ამხ. სერგო ორჯონიკიძემ, რომელმაც დიდი ხანი არ არის რაც მუშაობა დაიწყო საკ. კომისიაში და მ.-გ. ინსპექციაში, სთქვა, რომ „ძალიან მძიმე და არა სასიამოვნო ყოფილა მ.-გ. ინსპექციაში და საკ. კომისიაში მუშაობა“.

რატომ? სწორედ იმიტომ, რომ, რაც არ უნდა გავაკეთოთ ჩვენ, და რაც არ უნდა ვთქვათ ზოგიერთ დაწესებულებისა და მათი ხელმძღვანელების შესახებ ყველაფერს პირადული ინტერესებით ხსნიან. რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ამასვე ადგილი აქვს ჩვენშიც. რისთვის დამჭირდა ამის თქმა? იმისთვის, რომ ჩვენ მოვალეობას უნდა შეადგენდეს თვით კრიტიკა და ამიტომ, როდესაც ჩვენ აქ გამოვამჟღავნებთ რაიმეს, ეს არავისთვის არ უნდა დარჩეს საწყენად. ჩვენ, მუშებმა არ უნდა დავივიწყოთ დეფექტები, უნდა გამოვამჟღავნოთ ისინი, რათა ის შეცდომები, რომლებიც ჩვენ გვაქვს აღმოვფხვრათ. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ყოველივე ეს ნაკლი, არ უნდა დაუფაროთ იგი მუშათა კლასს და გაერთიანებული ძალით გამოვასწოროთ იგი.

არც ერთი ხელისუფლება არ ეკიდება ისე კრიტიკულად თავის მოღვაწეობას და არ ამჟღავნებს თავის შეცდომებს, როგორც კომუნისტური ხელისუფლება. ჩვენ თითონ ვამჟღავნებთ ჩვენს შეცდომებს და დეფექტებს, და შემდეგ ვიბრძვით მათ წინააღმდეგ.

არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ის პირობები, რომლებშიაც მუშაობა უხდებოდა საანგარიშო პერიოდში მუშათა და გლეხთა ინსპექციას. ბევრი რამე გვიშლიდა ჩვენ ხელს და ეს გავლენას ახდენდა ჩვენი მუშაობის ნაყოფიერებაზე.

საანგარიშო პერიოდში ჩვენ დავძლიეთ კვალიფიციურ ძალების ნაკლებობა, კვალიფიციურ მუშაკების შერჩევა კი დამოკიდებულია მათ მატერიალურ უზრუნველყოფაზე. ბევრს ესმის ამ საკითხის მნიშვნელობა და ამიტომ დიდხანს აღარ შევჩერდები ამაზე, თუმცა უნდა ითქვას, რომ კიდევ ბევრი რამეს გაკეთება დაგვჭირდება ამ დარგში. მუშაკების ნაკლებობა გარკვეულ გავლენას ახდენდა ჩვენი მუშაობის ნაყოფიერებაზე.

ჩვენი საგეგმო და გეგმის გარეშე მუშაობის დროზე შესრულება მოითხოვდა, ჩვენგან ძლიერ სწრაფ მოქმედებას. ესეც, რა თქმა უნდა თავის დაღს დააჩენდა საერთოდ ჩვენი მუშაობის ნაყოფიერებას. ამხანაგებო, თვით ინსპექციის და საკონტროლო კომისიის მუშაობაში არის ბევრი ნაკლი, შეცდომები, გულახდილად უნდა ითქვას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევსძელით ისეთი სამაგალითო და საჩვენებელი დაწესებულების შექმნა, როგორც ეს ესმოდა ჩვენ დაუვიწყარ ბელადს. თუ ჩვენ ჯერ კიდევ მოგვიხდება ამ დაწესებულებაზე ლაპარაკი, როგორც ისეთ ორგანოზე, რომელსაც სჭირია გაუმჯობესება, ეს რა თქმა უნდა საერთო მიზეზების ბრალია. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს პარტიის დახმარებით.

აი, აქ არის საჭირო, რომ პარტიამ ზურგი გაუმაგროს საკონტროლო ორგანოებს, რომ მისი დადგენილებები უკლებლივ ტარდებოდეს ცხოვრებაში, მიუხედავად ყველა იმ ნაკლისა, მიუხედავად ყველა იმ დაბრკოლებებისა, რომლებიც არსებობენ და მე ვფიქრობ, იარსებებენ კიდეც, ვინაიდან არ შეიძლება სრული 100 პროც. ყველა დაბრკოლების თავიდან აცილება. მიუხედავად ყველა ამისა, მე-4 ყრილობის შემდეგ საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შესძლო თავის მუშაობის განმტკიცება. უმთავრესი ამოცანა ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში, იყო ბრძოლა მომჭირნეობისათვის და ბრძოლა ბიუროკრატიული გადახრის წინააღმდეგ.

არ შეიძლება ითქვას, რომ ეს დიდი მნიშვნელობის ამოცანა სავსებით შესრულებულია. ბრძოლა მომჭირნეობისათვის და ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ რჩება ახალ გეგმაშიაც და ეს კვლავ დარჩება ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მომავალში. ამ ამოცანის განხორციელების მიზნით საანგარიშო წლის განმავლობაში, ჩვენ განუწყვეტლივ ვაწარმოებდით გამოკვლევებსა და რევიზიას. სულ ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მოვახდინეთ 264 სხვადასხვა სახის გამოკვლევა და რევიზია.

ინსპექციის გამოკვლევანი

ამხანაგებო, მეოთხე ყრილობის შემდეგ თითქმის ორი წელიწადი გავიდა, ჩვენ ყრილობის წინაშე არ წავმდგარვართ ჩვენი ანგარიშით. მართალია, როგორც გითხარით, ჩვენ დამოუკიდებლად არ ვმუშაობდით. ამიტომ ნება მომეცით მუშგლეხინის მიერ მოხდენილი რევიზიები და დავასახელებ რამოდენიმეს — ტყვიბულის მაღაროების გამოკვლევას, საქართველოს საბინაო მშენებლობის, ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხნის, საქართველოში უმუშევრობის და კერძო კაპიტალის მუშაობის შესახებ.

ტყიბულის ქვანახშირის გამოკვლევა სწარმოებდა, მაღაროებში მუშაობის რაციონალიზაციის მიზნით. აღმოჩნდა შემდეგი: ელექტროგანათების ცუდათ დაყენება, რასაც მუშებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაღაროების ვენტილიაცია და ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლა ცუდათ არის დაყენებული. მუშების ბინის საკითხი ვერ იყო მოგვარებული და კიდევ სხვა. აღნიშნული ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხნის გამოკვლევის შედეგად მიღებულ იქნა ღონისძიებანი. ჩვენ მოვახდინეთ შემდეგ, ამხანაგებო საქართველოს საბინაო მშენებლობის გამოკვლევა და ისევ მიღებული იქნა მთელი რიგი ზომები.

შესწავლილი იქნა აგრეთვე საქართველოს მრეწველობაში კერძო კაპიტალის მონაწილეობა. გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ საქართველოში კერძო კაპიტალის მონაწილეობა, მისი როლი მრეწველობაში, სრულიად უმნიშვნელოა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჭიათურის კომცესიას. რაც შეეხება წვრილ წარმოებას, აქ კერძო კაპიტალი რასაკვირველია არის. მაგალითად, გამოკვლევამ ცხადყო, რომ 206 ცენზიან დაწესებულებიდან, სადაც მუშაობს 13,067 კაცი, კერძო კაპიტალის ხელშია მხოლოდ 13 წარმოება 232 მუშით.

თავის დროზე ჩვენ საჭირო მასალა მივეცით ხელისუფლებას, პარტიას და იმ ორგანოებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ საკითხში და რომელთაც ევალებოდათ სათანადო ღონისძიებათა მიღება.

ეხლა, ამხანაგებო, ნება მიბოძეთ შევეხო ნაწილობრივ ჩვენს გამოკვლევებს სოფლის მეურნეობაში. საანგარიშო წლის განმავლობაში ჩვენ მოვახდინეთ შემდეგი გამოკვლევა: მიწადმოწყობის, საქონლის ჭირთან ბრძოლის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, სოფლად მოჯამაგირეთა მდგომარეობის, მიწის ყიდვა-გაყიდვის, სასოფლო-სამეურნეო კრედიტების, საგზაო ბეგარის, ადგილობრივი საბჭოების და სხვ. საკითხთა გამოკვლევანი.

თქვენც კარგათ იცით, ამხანაგებო, რომ მიწადმოწყობის სასწრაფოდ გატარებას ცხოვრებაში უშლიდა ხელს ის გარემოება, რომ მიწადმოწყობის მწარმოებელ ორგანოებს არა ყავთ მომზადებული მუშაკები, ამ საქმის მცოდნეთა სათანადო კადრი, არ გააჩნიათ საჭირო ფინანსიური საშუალებანი. ეს თავის დროზე აღნიშნული იქნა საკონტროლო ორგანოების მიერ. მიწად-მოწყობას პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს. ამის შესახებ ლაპარაკია საკავშირო ცაკის მანიფესტში და გადადებულია სათანადო თანხა ამ მუშაობის დასაჩქარებლად. ჩვენმა გამოკვლევამ აღნიშნა მიწად-მოწყობის საქმის ცუდი მდგომარეობა და მიაქცია სათანადო ორგანოების ყურადღება აქეთკენ.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, აქაც მრავალი ნაკლი აღმოჩნდა დაბეგვრა სწორად არ სწარმოებდა.

არ იყო სათანადოთ შესწავლილი დაბეგვრის ობიექტები, ამასთანავე ფართო მასები არ ღებულობდნენ მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერაში, ძირითადი საგადასახადო აპარატს არ ყავდა საჭირო ძალები, დაბეგვრა ამის გამო ბევრგან უკანონოთ სწარმოებდა. უკანონოდ დაბეგვრა იწვევდა უკმაყოფილებას და საჩივრებს, რომელთაც ყოველთვის არ ექცეოდა სათანადო ყურადღება, მაგ. საჩივრები დაგვიანებით ირჩეოდა. ჩვენს მიერ გამორკვეულ იქნა აგრეთვე მოჯამაგირეობის მდგომარეობა. გამოკვლევით გამოირკვა, რომ სოფლად არ არის საკმარისად შრომის ინსპექტორები, არ არის შრომის ბირჟაც, მოჯამაგირეებზე, როგორც საჭიროა ისე, არ ვრცელდება შრომის კანონები, არ სწარმოებს მოჯამაგირეთა აღრიცხვა, მოჯამაგირეებს არა აქვთ საექიმო დახმარება.

მოჯამაგირეებს და მეპატრონეებს შორის სანახევროდ ხელშეკრულება არ აღმოჩნდა. დამქირავებელთა მიერ მოჯამაგირეობა იყვლიფება. მოჯამაგირეებს ისე ამუშავებენ, როგორც სურთ, არ სწარმოებს კულტურული მუშაობა. აი ყველა ეს იყო აღნიშნული და მითითებული.

სოფლად ჩვენ მივაქციეთ ყურადღება გრძელვადიანი სესხის, მიზნობრივ სესხის გაცემას იარაღების შესაძენად და სპეციალური ფონდის შექმნას, რომლის აზრი მანამდე დამახინჯებული იყო, საპაიო გადასახადი საკრედიტო ამხანაგობათა, რომელიც მეტად დიდი იყო, ჩვენ შევამსუბუქეთ. აი ასეთი დახმარება აღმოუჩინეთ ჩვენ გლეხობას. პარტიამ ამის შესახებ მიიღო შესაფერისი ზომები.

ეხლა მე შევეხები სასამართლოების გამოკვლევას. აქაც აღმოჩნდა ნაკლი. სასამართლოში საშუალოდ ირიცხებოდა 580 საქმე გაურჩევლად. საქმის გარჩევის ასეთი გაჭიანურება დაუშვებელია. ყოველ საგამომძიებლო უბანში საშუალოდ იყო 60-მდე საქმე. უწყებები სანახევროდ ჩაუბარებელია. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე საქმე 17-ჯერ გადადებულა სასამართლოს. ამ მოვლენის წინააღმდეგ საბრძოლველად, მთელი რიგი ზომებისა იყო გამომუშავებული როგორც საქართველოს, ისე ა.-კ. მ. გ. ინსპექციის მიერ. მაგრამ ამ ღონისძიებათა გატარება ვერ შესძლეს იმ ორგანოებმა, რომელთაც ეს ევალებათ. ჩვენ მიერ გამომუშავებულ ღონისძიებათა გატარებას ელობებოდა ობიექტიური პირობები. დეფექტები აღმოვაჩინეთ, ჩვენ აგრეთვე საგზაო ბეგარის საქმეში. მაგალითად, ბეგარისგან არ უნდა ყოფილიყო განთავისუფლებული ისეთი პირები, რომელნიც 6 თვით მოშორებულნი არიან სოფელზე, მაგრამ კავშირი არ გაუწყვეტიათ მასთან. ამიტომ გამოკვლევის შედეგათ ადგილობრივ ნადადება მიეცათ, რომ ასეთი ელემენტი არ გაენთავისუფლებიათ საგზაო ბეგარისაგან. საგზაო ბეგარაზე უნდა გაეწვიათ ისინიც, ვისაც ერთ ულელზე მეტი ხარ-კამეჩი ყავს. მაგალითად, კახეთში ხშირად ყავთ ერთ ულელზე მეტი, მაგრამ დეკრეტში აღნიშნული იყო, რომ ევალებათ მხოლოდ ერთი ულელის გამოყვანა. ამით სარგებლობდა სოფლის კულაკური ელემენტი. ახალი დეკრეტით საგზაო მშენებლობისათვის სოფლად ევალებათ არა მარტო ერთი ულელის გამოყვანა, არამედ ყველა მუშასაქონლის, რომელიც მათა ყავთ. შინაგან საქმეთა კომისარიატმა ვერ გადაგზავნა ეს დეკრეტი თავის დროზე ცხოვრებაში გასატარებლად, მაგრამ გზატკეცილის სამმართველოს სრულიად არაფერი გაუკეთებია ამ დარგში.

შემდეგ შესწავლილი იქნა ადგილობრივი ორგანოების მუშაობა.

აი მოკლედ, რაც შეეხება მუშაობას სოფლად საანგარიშო წლის განმავლობაში. ეხლა, ამხანაგებო, ნება მიბოძეთ გადავიდე იმ ნაკლზე და დეფექტებზე, რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ სხვადასხვა დაწესებულებებში. როდესაც ჩვენ ვებრძვით ყოველივე ჩვენს ნაკლსა და დეფექტებს, იქნება ეს უყაირათობა, დაუდევრობა თუ სხვა რამ ასეთი, რა თქმა უნდა ჩვენ ამას უკავშირებთ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, ვინაიდან ყოველგვარი ნაკლი, გაბერილი აპარატის არსებობა, დაუდევრობა, უყაირათობა ნაყოფია ზოგიერთი ჩვენი დაწესებულების ბიუროკრატიული გადაგვარებისა.

საანგარიშო წლის განმავლობაში ჩვენ მოვახდინეთ, მაგალითად, მეტეხის ხიდის აშენების საქმის გამოკვლევა და გამოირკვა, რომ ამ ხიდის აშენებისათვის პირველად შედგენილი იყო ხარჯთ-აღრიცხვა 68.000 მანეთის რაოდენობით. დაიხარჯა კი 400.000 მანეთზე მეტი. აღმოჩნდა, რომ ამ ხიდის აშენებას ყოლია მრავალი ოპეკუნი.

იქ ადგილი ქონდა დიდ ხარჯებს. ამას ყურადღება მიაქციეს მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ გამოვაკვლიეთ. (ხმა: რამდენია ზედმეტი დახარჯული). სულ ეს ხიდი დაჯდა 413.000 მანეთი, როდესაც შეიძლებოდა გაცილებით ნაკლები დამჯდარიყო. შემდეგ ჩვენ შევისწავლეთ სპეც-განაკვეთების საკითხი—კერძოთ კინომრეწველობაში. ამას წინად წარუდგინეთ კიდეც სახკომსაბჭოს გეგმა სპეც-განაკვეთების შემცირების შესახებ.

ეს საკითხი წამოიჭრა მაშინ, როდესაც პერესტიანი იყო დირექტორათ. და ეს ყველაფერი თავის დროზე პრესაშიც იყო გამოქვეყნებული.

შემდეგ, ამხანაგებო, ბორჯომის საკასრე ქარხნის შესახებ. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ იქაც ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორც დანარჩენებში. სპეცებს იქ დიდი ჯამაგირი ჰქონდა, ადგილი ქონდა საქმის გაჭიანურებას. ეს მდგომარეობა ახლა რასაკვირველია გამოსწორებულია. დათხოვნილია ბევრი სპეცი, რომლებიც გადამეტებულ ჯამაგირს იღებდენ, სხვებს ჯამაგირი დაკლებული აქვთ თანახმათ ჩვენი დადგენილებისა.

იგივე აღმოჩნდა საბამბო კომიტეტის გამოკვლევის დროს.

რა თქმა უნდა აქაც მიღებულ იქნა შესაფერი ღონისძიება.

შემდეგ ჩვენ საანგარიშო წლის განმავლობაში გამოვიკვლიეთ აგრეთვე ფოთის ჭაობების ამოშრობის საკითხი ეს ეხება წყალთა სამმართველოს, აქაც მრავალი ბოროტმოქმედება აღმოჩნდა. მუშაობას აქ აწარმოებდა ინჟინერი კუზნეცოვი.

პასუხისგებაში იქნენ მიცემული სხვა დასხვა პირები. ეს ხდებოდა იმ დროს, როცა იქ ჯერ კიდევ არ მუშაობდა ამხ. ბახტაძე.

ცეკავშირის რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ თანამშრომლებზე ირიცხება ავანსის სახით 24.000 მანეთი, მასთან გამოირკვა, რომ ზოგიერთ თანამშრომლებს წინდაწინ წაუღია ერთი წლის შრომის ხელფასი.

ასეთივე მდგომარეობაა სახალხო მამულების ტრესტში.

მიწსახკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგემ, რომელმაც დაჰყო მოსკოვში ყრილობაზე 45 დღე, წარმოადგინა ანგარიში, რომელშიაც შედის შემდეგი ხარჯები: დღიურები (მეთორმეტედი ხელფასისა დღ.)—749 მ. საექიმო ხარჯები—360 მან., სასტუმრო—155 მან. და ეტლის ხარჯები 255 მან., სულ 2.419 მანეთი. (ხმა ადგილიდან: რა უქნიათ მერე?), პასუხისგებაში არიან მიცემული.

ასეთივე მუშაობა ჩავატარეთ მთელ რიგ სხვა დაწესებულებებში.

აი, ამხანაგებო, ის ნაკლი, ის დაუდევრობა და უყაირათობა, რომელიც ჩვენ საანგარიშო წლის განმავლობაში გამოვაჩინეთ. შეიძლება კიდევ მრავალია ასეთი ფაქტები, მაგრამ მე მოგახსენეთ მხოლოდ იმ დეფექტებზე, რომელთა აღმოჩენა ჩვენ შევძელით. რა თქმა უნდა დღეს ეს მდგომარეობა შეცვლილია, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ვითომდა ყოველივე უკვე რიგზეა და მსგავს ფაქტებს არა აქვთ ადგილი.

ჩვენ გვაქვს მხოლოთ ერთგვარი გარდატეხა, გვაქვს ერთგვარი მიღწევები და საქმე ამგვარად მხოლოდ ნაწილობრივაა გამოსწორებული.

ჩვენ უნდა განვაგრძოთ ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. სახელმწიფო აპარატში სავსებით უნდა აღმოიფხვრას ბიუროკრატიზმის ყოველგვარი ნაშთი, უყაირათობა, უხეში მოქმედება, გულგრილობა, გაფლანგვა. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ ჩვენ სახელმწიფო აპარატში არ გვყავს სათანადო მუშაკები. ჩვენი მუშაობის მიზანს შეადგენს ამ ძველი, დახავსებული წყობილების ნაშთის მოსპობა. ბიუროკრატიზმს ხელს უწყობს აგრეთვე გაბერილი შტატები, რომელიც იწვევს ზედმეტ ხარჯებს.

ჩვენმა ბრძოლამ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ჩვენ მოგვცა დადებითი ნაბიჯი.

როგორია ჩვენი მიღწევები ამ მხრივ? ავიღოთ მაგალითად მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელების საკითხი. ლოზუნგი მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ, როგორც ვიცით წამოყენებულია პარტიის მიერ. ჩვენ ხელთ გვაქვს ციფრები იმის შესახებ თუ რა დიდი ნაყოფიერი შედეგი მოყვა ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გატარებას.

რას ლაპარაკობს ეს ციფრები? პირველ ყოვლისა, ამ ციფრებიდან ირკვევა, რომ ჩვენ დაზოგვილი გვაქვს სულ 1.916.561 მ. დავასახელებთ იმ დაწესებულებებს, რომლებმაც მოახდინა ეს დაზოგვა ჩვენი პირველი დირექტივის თანახმად. მაგალითად ჩვენი რევიზიის შემდეგ სახკინმრეწველობაში დაზოგვილი აღმოჩნდა 38.785 მანეთი. ცეკავშირმა გაატარა დაზოგვა 168.400 მანეთის რაოდენობით, იგივე თბილისის აღმასკომში და სხვ.

შემდეგი დაზოგვა ამხანაგებო, გარდა იმისა, რაც მე ზევით ჩამოვთვალე, და რაც მიღებულია აპარატის შემცირებით, მისი გამარტივებით, გამოიხატება შემდეგში:

ს. მ. უ. ს. ხაზით რვა ტრესტებში შემცირებულია ხარჯები რვაასი ათასი მანეთით. შემცირება შეეხო პირველ რიგში შტატს, შემდეგ მივლინებებს, საკანცელარიო ხარჯებს, გადაზიდვას—ტრანსპორტს და სხვა. შემცირებულია არა წარმოებითი ხარჯები ორ ბანკში 84.000 მანეთზე მეტი რაოდენობით.

(ხმა. ხმარდება თუ არა ეს თანხები აღმშენებლობას?) დიახ, ეს თანხები უნდა მოხმარდეს აღმშენებლობას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ საშუალება არც ერთ ორგანიზაციას, რომ ხარჯები უკანა კარებიდან შემოგვეპაროს. როცა ჩვენ ჩავერიეთ ამ საქმეში, გამოირკვა, რომ ზოგიერთი ორგანიზაციები წინააღმდეგი იყვნენ ამ შემოკლებისა, ზოგიერთნი კი თვითონ იჩენდნენ ინიციატივას. ასეთი იყო მაგალითად განათლების კომისარიატი.

ყოველ შემთხვევაში შესაძლებელი ყოფილა შტატების შემცირება. დღემდე კი გვეძახოდით, რომ არ შეიძლება შტატების შემცირება.

მე დაწვრილებით არ ჩამოვთვლი იმას, თუ სახელდობრ როგორ გაატარეს ტრესტებმა თავისი ხარჯების შემცირება. ჩვენ გვაქვს ცხრილები საერთო ხარჯების შემცირების შესახებ, ასე მაგალითად: „მელომასის“ ხარჯები შემცირდა 32,8 პროც-ით, „ტყავტრესტის“—22 პროც-ით, „აბრეშუმტრესტის“—29,3 პროც-ით, „სატყეო ტრესტის“—22 პროც-ით, „სამთოტრესტის“—29,3 პროც-ით, „თამბაქოს ტრესტის“—26,6 პროც-ით, „პოლიგრაფტრესტის“—28,9 პროც-ით, „ლითონტრესტის“—19,9 პროცენტით. ტრესტებმა საშუალოდ თავისი ხარჯები შეამცირეს 27—30 პროცენტით.

ამგვარად, ამხანაგებო, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ აპარატის გაიაფებისა და გამარტივების დარგში, მისი მუშაობის გაჯანსაღების და აგრეთვე ბიუროკრატიზმთან ბრძოლის დარგში ჩვენ გვაქვს მიღწევანი; შესრულებული მუშაობა ამ მხრივ შეიძლება იქნას ცნობილი დამაკმაყოფილებლად.

მე ვამბობ, რომ ცეკავშირი და საერთოდ კოოპერაცია ერთგვარ წინააღმდეგობას გვიწევს ხარჯების შემცირების დროს. ამისათვის მათ აქვთ ერთგვარი გამართლება. კოოპერაციამ თავისი ხარჯები ჯერ კიდევ წინედ შეამცირა 15 პროცენტით, მაშინ, როდესაც სხვებს არ ჩაუტარებიათ ასეთი შემცირება, ამიტომ კოოპერაცია ამბობს: „ჩვენ უკვე გავატარეთ ხარჯების შემცირება 11 პროცენტით და ახალ შემცირებას ჩვენ აღარ გავატარებთო“.

ჩვენი ეს მიღწევანი, ნიშნავს ამავე დროს მიღწევებს ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში. აღსანიშნავია, ამხანაგებო, ჩვენს სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებში გავრცელებული კერძო მივლინებები, ფულების გადაჭარბება, უბეში [illegible], საქმის გაჭიანურება და სხვა. ყველა ამათ წინააღმდეგ არის მიღებული ზომები, და მათ მოსპობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ენერგიულად ვიმუშავებთ, რამდენად გავამარტივებთ და გავაიაფებთ სამეურნეო და ადმინისტრატიულ აპარატს.

ჩვენი მუშაობის გასანაყოფიერებლად ჩვენ გვქონდა კავშირი რედაქციასთან, მუშკორებთან და გლეხკორებთან. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენ სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევდით მათ. მუშკორები მ. გ. ინსპექციას უგზავნიდენ მასალას. მ. გ. ინსპექციაში გამოყოფილია სპეციალური პირები, რომლებიც ამუშავებენ მიღებულ ინფორმაციას და უგზავნიან გაზეთში, რედაქციის წარმომადგენლები ესწრებიან საკ. კომისიის სხდომებს და ეცნობიან ჩვენს მუშაობას. არსებობს მჭიდრო კავშირი ჩვენსა და პროფკავშირებს შორის. პროფკავშირებთან მიმაგრებულია ჩვენი წარმომადგენელი, რომელიც ესწრება მათ სხდომებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მაინცდამაინც ეს კავშირი ვერ იყო დაყენებული კარგად უკანასკნელ დრომდე. დღეს ჩვენ უკვე გვაქვს მჭიდრო კავშირი და უფრო უნდა გავამაგროთ ის მომავალში. პროფკავშირის წარმომადგენლებიც ესწრებიან ჩვენს სხდომებს, მაგრამ ეს არაა საკმარისი, პროფკავშირებთან კავშირი უნდა უფრო განმტკიცდეს.

ჩვენთან მოდის საჩივრები სხვადასხვა დაწესებულებებზე. ჩვენ ვიკვლევთ ამ საჩივრებს, მაგრამ უკმაყოფილო ორგანოები ხშირად არ არიან რა კმაყოფილი ჩვენი დადგენილებით საჩივარს სძრავენ ჩვენს წინააღმდეგ. მაგალითად უსაფუძვლო გამოდგა საჩივარი სატყეო ტრესტის. ჩვენ სატყეო ტრესტს ერთი თვის ვადა მივეცით, მაგრამ მათ ვერავითარი საბუთი ვერ წარმოადგინეს.

ჩვენ, ამხანაგებო, გვიხდებოდა ბრძოლა სამეურნეო ორგანოების წინააღმდეგ, რომელთაც არ სურდათ ხარჯების 20 პროცენტით შემცირება ნებაყოფლობით თითქმის არც ერთმა ადმინისტრატიულმა და სამეურნეო დაწესებულებამ არ შეამცირა ხარჯები, არ გაატარა ც. კ. დირექტივა მანამ, სანამ ჩვენ არ ჩავერიეთ და მათთან ერთად არ შეამცირა ზედმეტი ხარჯები. ჩვენი მუშაობა ხარჯების შემცირების დარგში მოიწონა სახალხო კომისართა საბჭომ და ც. კ.-მაც, რომელთაც არ ათხოვეს ყური პროტესტებს, რომელიც შეიტანეს სხვადასხვა დაწესებულებებმა ჩვენი მუშაობის წინააღმდეგ.

ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს, რადგან მ. გ. ინსპექციის უფლებები გაფართოვდა სწორედ ამ დარგში: უყაირათობის, დაუდევრობის, ბიუჯეტის დისციპლინის დარღვევის, ზედმეტი ხარჯების და სხვ. დეფექტებთან ბრძოლაში. ამიტომ ჩვენი ყოველგვარი დადგენილება გატარებული უნდა იქნეს ცხოვრებაში დაუყოვნებლივ ყველას მიერ, მხოლოდ ჩვენი მიღწევების განმტკიცებისათვის ჩვენთვის ზურგის გამაგრება,—საჭიროა საუკეთესო ძალების ჩაბმა ჩვენს მუშაობაში. იმედია პარტია მომავალში საუკეთესო ძალებს ჩააბამს მ. გ. ინსპექციის და საკონტროლო კომისიის მუშაობაში.

ამით ვათავებ მოხსენების პირველ ნაწილს და ორიოდე სიტყვას ვიტყვი საკონტროლო კომისიის და ოპოზიციის შესახებ.

საკონტროლო კომისიის მუშაობა

ამხანაგებო, ჩვენ ვლაპარაკობდით ჩვენი დეფექტების შესახებ საბჭოების ხაზით, აგრეთვე ჩვენი მიღწევების შესახებაც. ახლა მე მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ჩვენი მუშაობის შესახებ პარტიული ხაზით. ამის შესახებ დაწვრილებით გეტყვით ამხ. შამშე ლეჟავა თავის მოხსენებაში მე კი მოკლედ შევეხები ჩვენი პრეზიდიუმის მუშაობას. საანგარიშო წელში პლენუმი მოწვეული იყო რვაჯერ.

შესდგა პრეზიდიუმის 61 სხდომა და 25—სამდივნოსი. ამ სხდომებზე გარჩეულ იქნა 593 საკითხი.

საყურადღებო გამოკვლევები, რომელიც საანგარიშო წლის განმავლობაში მოახდინა საკონტროლო კომისიამ, იყო სულ 10.

მოვიყვან ზოგიერთ მაგალითებს ამ გამოკვლევებიდან მაგალითად, პარტიიდან ნებაყოფლობით გასვლის შესახებ. პარტიიდან ნებაყოფლობით გასულთა რიცხვი შეადგენს 92. პროცენტიულად იგი შეადგენს—0,82 პროცენტს. პარტიიდან გასვლის მიზეზს, ჩვენი გამოკვლევით, წარმოადგენს უმთავრესად ოჯახური მდგომარეობა. პარტიის წევრები უმთავრესად ამბობენ. კრებაზე ვერ მივდივართ დროის უქონლობის გამო, დიდი ოჯახი გვაქვს, ცოლშვილის პატრონი ვართ და სიღარიბის გამო სხვა მუშაობის შესრულება გვიხდებაო. მეორე მიზეზი არის ის, რომ პარტიაში შემოსულია უცხო ელემენტები, რომელთაც არ მოსწონთ ჩვენი დისციპლინა და გადიან პარტიიდან. უმთავრესად ისინი არიან ახლად შემოსული პარტიაში. მთავარი მიზეზი არის ის ოჯახური მდგომარეობა.

გარდა ამისა, ჩვენ მოვახდინეთ საბჭოთა უჯრედების გადასინჯვა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. გადასინჯვის დროს კომისიამ აღმოაჩინა პარტმუშაობაში მრავალი დეფექტი.

მაგალითად სამხრეთ-ოსეთში უჯრედების ნაკლს შეადგენდა გეგმიანი მუშაობის უქონლობა, პოლიტ-მომზადების სისუსტე, ზოგან ინტრიგა, კომკავშირის მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობა და სხვა. როგორც შემოწმებამ გამოარკვია, იქაც შესაფერისი ზომები იყო მიღებული და ნაწილობრივად ამხანაგებს გამოუსწორებიათ ეს დეფექტები.

ასეთივე დეფექტებს ჰქონდა ადგილი ახალქალაქის მაზრაში, ზუგდიდის მაზრაში.

გორის მაზრაში იგივე უგეგმო მუშაობა, კომკავშირის მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობა და სხვა. იგივე ზოგ სხვა მაზრებში.

შემდეგ ჩვენ მოვახდინეთ პარტიის რიგების გადასინჯვა მთელ რიგ ადგილებზე. შეკრებილი მასალები გადავეცით სათანადო ორგანოს.

ამ გადასინჯვის დროს აღმოჩნდა სხვადასხვა ნაკლი, რომლის აღმოსაფხვრელად მიღებულ იქნა სათანადო ზომები.

ოპოზიცია

აქ თქვენ მოისმინეთ ცეკას მოხსენება. ამხ. კახიანი ვრცლად შეეხო საჭირბოროტო საკითხებს, მან თითქმის ყველაფერი აღნიშნა, ამიტომ კერძოთ ოპოზიციაზე სიტყვის გაგრძელება არ მინდა. მე შევეხები ამ საკითხს საკონტროლო კომისიის ხაზით.

გამოდიან ოპოზიციონერები და ლაპარაკობენ; ჩვენ გვდევნით, ჩვენს წინააღმდეგ რეპრესიებს ხმარობთ, ამას გაჰყვირიან მხოლოდ ნაკლებად ლაპარაკობენ თუ რისთვის, რატომ ხმარობს პარტია რეპრესიულ ზომებს მათ წინააღმდეგ.

ცილისწამება თუ ვინმეს სჩვევია, ეს ამხანაგებო მხოლოდ ოპოზიციას სჩვევია (ხმები: მართალია). ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები მრავლად გვაქვს. ისინი ყოველმხრივ ცდილობენ, რათა ჩირქი მოსცხონ ამა თუ იმ ამხანაგს და ამისათვის მიმართავენ ყოველგვარ ხრიკებს.

მაგ. კოტე ცინცაძე ამბობს, რომ პარტიიდან რიცხავენ მხოლოდ იმიტომ, რომ ამა თუ იმ წევრს აქვს თავისი შეხედულებაო.

აი, ამხანაგებო, როგორ ხსნის ჩვენ რეპრესიებს ოპოზიციონერების წინააღმდეგ კოტე ცინცაძე. ასე ლაპარაკობს. აგრეთვე მორალურ ძალდატანებაზე საკონტროლო კომისიის მხრივ ეს სიყალბეა, სიცრუეა და ვერც ერთი ოპოზიციონერი ვერ დაამტკიცებს, რომ თითქოს მათი საქმეების გარჩევის დროს განიცადეს რაიმე ძალ-დატანება.

შემდეგ, ამხანაგებო, რაც შეეხება ადგილიდან მოხსნის საკითხს, განა შეიძლება იმ ოპოზიციონერების გაჩერება დაწესებულებებში, რომელთაც მინდობილი აქვთ საქმის კეთება და რომელნიც აპარატით სარგებლობენ ოპოზიციონური მუშაობისათვის? თავის ფრაქციული მუშაობით, აპარატის თავის მიზნებისათვის გამოყენებით მათ შეაქვთ განხეთქილება პარტიაში, ოპოზიციონერებს ხსნიან სამსახურიდან მაშინ, როცა ისინი ბოროტად იყენებენ თავის თანამდებობას.

მე არ შევეხები ოპოზიციის წარსულ მოქმედებას, უკლონიზმს, ვინაიდან ამის შესახებ ილაპარაკა ამხ. კახიანმა. მე მოვიყვან ცნობებს მხოლოდ იმის შესახებ, თუ რას აკეთებდა ოპოზიცია 1926 წლის შემოდგომიდან. ისინი ღებულობდენ მოსკოვიდან საიდუმლო დოკუმენტებს, სთარგმნიდენ მას, ბეჭდავდენ სხვადასხვა ენაზე და საიდუმლოთ ავრცელებდენ. ადგილობრივი ოპოზიციონერები კიდევ უფრო შორს წავიდენ. ისინი აწყობდენ ქუჩაში დებოშებს, ამტვრევდენ პარტიული კლუბების ფანჯრებს და სხვა. და როდესაც ამის წინააღმდეგ გაილაშქრა პარტიამ, მათ დაპირება მისცეს პარტიას, რომ შესწყვეტდენ ამ თავაშვებულებას, მაგრამ მათ არ შეასრულეს თავისი სიტყვები, დაარღვიეს იგი.

თქვენ გემახსოვრებათ აგრეთვე განცხადება, რომელსაც ხელი მოაწერეს ცინცაძემ, მიშა ოკუჯავამ და მთელი რიგ ამხანაგებმა, მაშინ დაგმეს თავიანთი მუშაობა. ისინი ამბობდენ—ჩვენ ვგმობთ ფრაქციულ მუშაობას, მაგრამ ჩვენს თვალსაზრისზე ვდგევართო. ასეთი განუწყვეტელი გამთიშველი, ფრაქციული მუშაობის გამო პარტიიდან გამორიცხულ იყო 27 კაცი. შემდეგ, ისინი აღდგენილ იქნენ პარტიაში იმ იმედით, რომ გამოსწორდებოდენ. მაგრამ მათ ეს იმედი არ გაამართლეს, თავისი დაპირება არ შეასრულეს, პირიქით მათ კიდევ უფრო გააღრმავეს თავისი ფრაქციული მუშაობა, დაადგეს განხეთქილების გზას.

განა ოპოზიციის მოქმედება არ ნიშნავს ყოველივე საზღვარის გადალახვას, პარტიული დისციპლინის უმაგალითო დარღვევას? როდესაც პარტიის წევრი არღვევს პარტიის წესდებას, ის მექანიკურად სდგება პარტიის გარეშე. იმისათვის, რომ შეეკრიბათ ხელის მოწერა, მათ ჩაატარეს მთელი საპეტიციო კამპანია. გზავნიდენ თავის ამხანაგებს ადგილებზე, შეცდომაში შეჰყავდათ ზოგიერთები და ამრიგათ აწარმოებდენ პარტიის გამხრწნელ მუშაობას. განა ასეთი ხელმძღვანელები არ უნდა გამორიცხონ პარტიიდან? განა დასაშვებია ის, რომ ქობულეთში აწყობენ არალეგალურ კრებას და ირჩევენ არალეგალურ კომიტეტს? განა ეს მარტო „შეხედულებაა“, როგორც ცინცაძე ლაპარაკობს? არა ეს არის გზა მეორე პარტიის შექმნისაკენ. ეს უკვე ახალი პარტიის შექმნას ნიშნავს. აიღეთ განცხადება ჯიჯეიშვილის, რომელიც დაიბეჭდა პრესაში.

განა იმ პირებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ამ საქმეში, შეუძლიათ სთქვან, როგორც ცინცაძე ამბობს: ჩვენ მარტო შეხედულებისათვის გვრიცხავენ პარტიიდანო. სიმართლეა თუ არა ეს? რა თქმა უნდა არა. ეს არის სიყალბე. არის ღირსი დარჩეს პარტიაში ის, ვინც ამას ჩაიდენს? ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი წევრები უნდა გაირიცხოს პარტიიდან. (ხმები: ღირსია! საერთო ტაში). არის თუ არა ეს მარტო შეხედულება, თავის აზრების აღიარება, თუ ეს არის გზა პირდაპირ მეორე პარტიის შექმნისაკენ? განა მარტო შეხედულების ნაყოფია ის ამბავი, როდესაც აქ მესამე რაიკომის ორგანიზაციაში ოპოზიცია ქმნის არევ-დარევას? ხო ცნობილია, ამხანაგებო, რომ ოპოზიციონერი ვირაპი, ადგენს არალეგალურ რაიონულ კომიტეტს. შედგენილია სია „კომიტეტის“ წევრებისა. ეს სია თვით ვირაპის ხელით არის დაწერილი. განა ეს მარტო შეხედულების აღიარებაა? არა, ეს არის პარტიულ დისციპლინის დარღვევა, დარღვევა იმ ტრადიციების, რომელიც აქვს ლენინურ, ბოლშევიკურ პარტიას. აი, ჩვენ ეხლა გადმოგვეცა დოკუმენტი წითლიძისა და კ. ცინცაძის საუბრის შესახებ.

საინტერესოა თუ არა რა ენით ელაპარაკება კ. ცინცაძე მენშევიკ წითლიძეს. წითლიძის შეკითხვაზე ცინცაძემ დაუდასტურა მას პარტიაში თითქოს შექმნილი რეჟიმის საშინელება. მენშევიკმა წითლიძემ და კ. ცინცაძემ გამონახეს საერთო ენა პარტიული რეჟიმის შეფასების საკითხში.

ოპოზიციის საქმიანობის შესახებ აშკარად მოწმობს ის განცხადება, რომელიც გაუკრავთ გორში და რომელიც თავდება შემდეგი სტრიქონებით: „გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციის ბელადს ტროცკისს“. განცხადებას ხელს აწერს კაპანაძე და ფოცხიშვილი. ან განა მარტო „შეხედულების“ ნაყოფია ის განცხადება, რომელსაც ხელს აწერს დუმბაძე, აკირტავა, ოკუჯავა, კიკნაძე და კალანდაძე. განა ეს მარტო შეხედულების გამომჟღავნებაა?

როგორც იცით ამხანაგებო, ოპოზიციამ სამასამდე ხელმოწერა მოაგროვა და ის კიდევ განაგრძობს ხელმოწერის შეგროვებას. ოპოზიციის სამას ხელმოწერიდან ორას სამოც და ოთხმა ხელმოწერა უკან წაიღეს. კოტე ცინცაძე თავის განცხადებაში სწერს, რომ თითქოს საკ. კომისია ძალდატანებას ხმარობდეს. ნუთუ ჩვენი მიდგომა პარტიულ ამხანაგებისადმი, ჩვენი მუშაობა პარტიის წევრთა შორის, ის რჩევა-დარიგება, რომელთაც ვაძლევთ ჩვენ პარტიის დარღვევისა და გათიშვის გზაზე დამდგარ პარტწევრს, განა ეს არის ძალდატანება, განა ეს არის რეპრესია, ეს არის პარტიის წევრთა დევნა-შევიწროვება?

ოპოზიცია იზიარებს მენშევიკების სისინს, მენშევიკების და მათი ბელადის ჟორდანიას პროვოკაციას. ოპოზიცია ლაპარაკობს, რომ აგვისტოს (1924 წ.) ავანტიურა თითქოს ჩვენი პარტიის პოლიტიკის შედეგი იყოს, თითქოს ის გამოიწვია ცალკე პირებმა.

აი, ამხანაგებო, მე ამით ვათავებ ჩემს საანგარიშო მოხსენებას. ჩვენ დავინახეთ, რომ გვაქვს საერთო ხასიათის ნაკლი და შეცდომები სამეურნეო საბჭოთა ხაზით. ჩვენ დავინახეთ, რომ გვაქვს დეფექტი პარტიის ხაზითაც. პარტიაში გვაქვს ავადმყოფური მოვლენები. უმთავრესი ავადმყოფობა—ეს ოპოზიციაა. ჩვენ ისიც ვსთქვით, რომ ნაკლთან, ავადმყოფურ მოვლენებთან ერთად გვაქვს მრავალი მიღწევანი და რაც მთავარია საგულისხმო მიღწევანი. ჩვენს მიზანს ეხლა შეადგენს დაუნდობელი ბრძოლა მთავარი ავადმყოფობის წინააღმდეგ, ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ, რათა თავიდან მოვიშოროთ ეს მუწუკი და ამით გავაჯანსაღოთ პარტიის ორგანიზმი. ოპოზიცია უნდა მოისპოს ერთხელ და სამუდამოთ (ტაში).

მოხსენების დასასრულს თავმჯდომარე, ამხ. **სილია თოდრია** აქვეყნებს პარტიის წევრის 1917 წლიდან **არტემ ტიმოთესძე დენიაგას** განცხადებას.

ამხ. არტემ დენიაგა თავის განცხადებაში სწერს „ამხ. კახიანმა თავის საბოლოო სიტყვაში ცეკას მუშაობის შესახებ, როცა ის ფარდას ხდიდა ოპოზიციონერების ანტიპარტიულ საქმიანობას, მოიყვანა განცხადება ვინმე დენიაგასი, რომელმაც უჯრედის კრებაზე სთქვა, რომ ცეკას ხელები ჩინეთის მუშების სისხლშია გასვრილიო.

ვინაიდან აღნიშნული დენიაგა პარტიულ ამხანაგებში არ არის ცნობილი და მის განცხადებას მე მაწერენ, საკითხის გასარკვევად საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ მე, დენიაგა არტემ ტიმოთესძე ვირიცხები მილიციის უჯრედში და არასოდეს ზემოხსენებული განცხადების მსგავსი რამ პარტიის ცეკას შესახებ არ გამიკეთებია და არც გავაკეთებ“.

16 ნოემბრის დილის სხდომა დაიხურა ამხ. ანდრო დოლიძის მოხსენების მოსმენის შემდეგ.

16 ნოემბრის საღამოს სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. **მიხა ცხაკაია**.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პარტ-კოლეგიის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. შამშე ლეჟავა.

ამხ. შამშე ლეჟავას მოხსენება

ამხანაგებო! საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, რომელიც განისაზღვრება ორი წლით, ე. ი. პერიოდით საქართველოს კომუნისტური პარტიის მეოთხე ყრილობიდან დღევანდელ ყრილობამდე, ჩვენი პარტიის წინაშე იდგა მთელი რიგი უაღრესად მნიშვნელობის საკითხები, როგორიცაა ინდუსტრიალიზაცია, მომჭირნეობის რეჟიმი, ფასების დაკლება და ოპოზიციასთან ბრძოლა. იმისათვის, რომ პარტ-კოლეგიას წარმატებით ეწარმოებია ყველა ის მოვალეობანი, რომელიც მას ჰქონდა დაკისრებული, საჭირო იყო მჭიდრო კონტაქტი ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან. ჩვენ აგრეთვე კავშირი უნდა გვქონებოდა ავტონომიურ რესპუბლიკების პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებთან. როგორი იყო ჩვენი კავშირი ადგილობრივი ორგანოებთან? აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტონომიურ რესპუბლიკებთან ჩვენ სრულიად დამაკმაყოფილებელი კავშირი გვქონდა გაბმული. სამწუხაროდ ასე არ იყო ზოგიერთ მაზრებში. ასე მაგალითად, მთელ რიგ მაზრებში ჩვენი რწმუნებულები ოპოზიციონერები აღმოჩნდენ. ქუთაისში—მაქავარიანი, ლეჩხუმის მაზრაში—ყიფიანი, რაჭაში—ყრუაშვილი და ასე სხვაგან. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ამ დაბრკოლებათა ჩვენი მუშაობა არ იყოს დამაკმაყოფილებელი.

პარტ-კოლეგიას განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჯარის პარტორგანიზაციებთან. იუსტიციის ორგანოებთან და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან მოისუსტებდა ჩვენი კავშირი პრესასთან. ამხანაგები, რომელნიც პრესაში მუშაობენ ალბად იმდენად დატვირთული იყვნენ, რომ ჩვენ ვერ ვახერხებდით გაზეთებთან სათანადო მჭიდრო კავშირის გაბმას. მიუხედავად ამისა პარტკოლეგიის მუშაობაში არ ყოფილა არც ერთი საყურადღებო საკითხი, რომელიც არ გაშუქებულა პრესაში.

ბევრი ამხანაგები პარტკოლეგიას ესაყვედურება იმაში, რომ ის იჩენს ქრისტიანობას და ლმობიერებას თავის მუშაობაში. (ხმები: მართალია). ამავე დროს მეორენი გვისაყვედურებენ გადაჭარბებულ სისასტიკეს. (ხმები: ეს არაა მართალი). ამხანაგებო ასეთი აზრთა წინააღმდეგობა იმიტომ ხდება, რომ ყველამ არ იცის ჩვენი მუშაობის პირობები. ბევრს საკონტროლო კომისია წარმოუდგენია დამსჯელ ორგანოდ. ეს ასე არაა. ჩვენი მიზანია პარტიის წევრების აღზრდა და გამოსწორება. საკონტროლო კომისია მუშაობს დარწმუნების და დაჯერების მეთოდით. თუ პარტიის წევრზე ეს ზომები გავლენას ვერ ახდენენ, და ის სრულიად გამოუსადეგარ ელემენტს წარმოადგენს ჩვენთვის, ასეთ ამხანაგს ჩვენ პარტიის რიგებიდან ვაძევებთ, რაც პოლიტიკურ სიკვდილს უდრის.

პარტიულ უჯრედების შემოწმების დროს აღმოჩენილ იყო სხვადასხვა ხასიათის ავადმყოფობანი. ზოგიერთ შემთხვევაში მაგალითად პარტიის წევრებს სისხლის სამართლის ხასიათის დანაშაულიც მიუძღოდა. ასე მაგალითად შორაპნის მაზრაში (ხმები: რაღა შორაპნის მაზრიდან იწყებ. სიცილი). ჩხარის რაიონში დაიჭირეს პარტიის ერთი უღირსი წევრი-ქურდი. მას კისერზე ჩამოკიდეს მთელი ნაქურდალი და ისე ჩაატარეს ქალაქის ქუჩებში. მართალია ჩხარი დიდი ქალაქი არ არის (სიცილი), მაგრამ ეს იმას მოწმობს, რომ გლეხობა უფრო პრაქტიკულად მსჯელობს. ამაზე უმაღლესი სასჯელი ქურდისათვის ძნელი მოსაგონია, და აი, გლეხობა მოითხოვდა სანამ ამ ქურდს არ გააძევებთ პარტიიდან, ჩვენ პარტიაში არ შევალთო. და ის მართლაც გაგდებული იქნა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პარტკოლეგიამ გაარჩია 1.655 საქმე. სულ პარტიიდან, ჩვენი მუშაობის ორი წლის განმავლობაში, გამორიცხულია 706 კაცი, ეს არც ისე უმნიშვნელო ციფრია და ამის შემდეგ ზოგიერთები პარტკოლეგიას კიდევ სწამებენ სირბილეს. განსაზღვრული ვადით გამორიცხულია 10 კაცი, საყვედური გამოეცხადა 249 კაცს, საყვედური გამოეცხადა და თანამდებობიდან მოიხსნა 38 კაცი, და ასე შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ გამორიცხულთა შორის პარტიის ძველ წევრებს უმნიშვნელო ადგილი უკავიათ. ასე მაგალითად მათ შორის პარტიაში 1917 წლამდე შემოსული არის ორი კაცი. პარტიის კანდიდატი კი 309 კაცი. ყველაზე მეტი, სოციალური მდგომარეობის მიხედვით, დასჯილთა შორის არიან საბჭოთა მოსამსახურეები. მათი რიცხვი უდრის 322 კაცს. ასეთია, ამხანაგებო, ჩვენი მუშაობის სურათი პარტ-დისციპლინის და კომუნისტური ეთიკის დამრღვევთა წინააღმდეგ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პარტკოლეგია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე სარწმუნოების საკითხსაც. 1921 წელში, როცა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლება ახლად დამყარებული იყო და პარტია მხოლოდ ამოდიოდა იატაკიდან ლეგალურ მდგომარეობაზე, გლეხებს ჩვენ იმდენად არ ვსჯიდით, თუ ისინი საეკლესიო წესით დაიწერდენ ჯვარს ან მონათლავდენ ბავშვს. ეხლა უკვე სხვა დროა და სხვა პირობებია. პარტია გაიზარდა ორგანიზაციულად, პოლიტიკურად და კულტურულად. ეხლა არავის ვაპატიებთ „ღვთის“ მორწმუნეობას და ქრისტიანულ კერპთ-თაყვანისცემლობას.

ერთ-ერთ ბოროტებათ კომუნისტურ ეთიკის წინააღმდეგ ჩაითვლება ლოთობა. ქრონიკულად მთვრალი კომუნისტი ხშირად ლაყბობს იმას, რაც საჭირო არ არის და ამნაირად ჩირქს სცხებს თავის პარტიას. ამიტომ პარტიის ისეთ წევრებს, რომლებიც ლოთობას ეწევიან და ამის გამო ხშირად ბოროტ-მოქმედებასაც კი სჩადიან, ჩვენ მივერეკებით პარტიის რიგებიდან.

პარტიულ მუშაობის ერთ-ერთ ნაკლს წარმოადგენს ხშირად ამხანაგების უთანხმოება ერთმანეთს შორის, რომელსაც ჩვენ ინტრიგას ვეძახით. ბევრ ორგანიზაციაში ადგილი აქვს ბრძოლას პირად ნიადაგზე. მაგალითად, ზუგდიდის მაზრაში ამ სენმა განსაკუთრებით გაიდგა ფეხი. იქ იყო ინტრიგა. იბრძოდენ ადგილებისათვის, ე. ი. ადგილი ჰქონდა, ჩვენში რომ იტყვიან, „კვანტის გამოკვრას“. ინტრიგა, თუ გნებავთ, არის ბიუროკრატიზმის და კარიერიზმის ერთი სახე. ჩვენ ყოველი ღონით ვებრძოდით ამ სენსა და მომავალშიაც უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ინტრიგანობის წინააღმდეგ.

საყურადღებო საკითხი არის აგრეთვე ჩვენს მუშაობაში საკითხი პარტიიდან ნებაყოფლობით გასვლის შესახებ. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პარტიიდან ნებაყოფლობით გავიდა 92 კაცი. ჩვენი პარტიის მთელ რიცხვთან შედარებით ეს უმნიშვნელო პროცენტს წარმოადგენს. ნებაყოფლობით გასულთა შორის პარტიულ სტაჟის მიხედვით შემდეგი სურათი გვაქვს: 1900 წლამდე პარტიაში შემოსულთაგან გავიდა სულ ერთი კაცი. 1917 წლიდან 1920 წლამდე—7 კაცი, 1921-დან 1923-მდე—11 კაცი, 1924-დან 1925-დე—24 კაცი, 1926-დან 1927-მდე—ერთი კაცი. პარტიიდან გასულთა შორის 48 კაცი პარტიის კანდიდატებია. მთავარი მიზეზი, რომელსაც ისინი ასახელებდენ პარტიიდან გასვლის დროს, არის ოჯახური პირობები გარდა ამისა გასულთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელიც შემთხვევით ელემენტს წარმოადგენენ ჩვენს პარტიაში.

გადავიდეთ ეხლა ოპოზიციის მუშაობაზე. ვინ არის დღეს ოპოზიციაში? ესაა ჩვენი კარგად ნაცნობი „ბუდისტები“, ე. ი. ბუდუ მდივანის ძველი მიმდევარნი, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ბუდიზმთან (სარწმუნოება), მაგრამ ამავე დროს—არც ჩვენთან, არც ბოლშევიზმთან, (სიცილი). ბუდისტები ტროცკიზმის მაჩანჩალები არიან. დღეს ოპოზიციაში მოკალათებულია ისეთი ამხანაგები, რომლეობით პარტიაში და ისეთები, რომელთაც წინბოც უკმაყოფილონი არიან თავიანთ მდგომარე- და სისხლის სამართლის ხასიათის ბოროტება ჩაუდენიათ. აი მაგალითად ხაშურიდან—ლაცაბიძე და ფოცხიშვილი. მათ აშკარა სიყალბე ჩაიდინეს. შეადგინეს ოქმი კრების სახელით, ასეთივე ელემენტებს წარმოადგენენ ჭიათურელი მათითაიშვილი და კუპატაძე. რაც შეეხება ამფიმიადის ის ცნობილი ბანქოს მოთამაშეა.

ოპოზიციაში მყოფ ამხანაგებს ერთი სენი სჭირთ. ისინი დაავადებული არიან, როგორც ამას მედიცინაში ამბობენ, თავიანთ თავის განდიდების მანიით. ისინი არიან გაჟღენთილი რევოლუციონური ეგოიზმით. მათ თავიანთი თავი ლიდერებათ მოაქვთ და ამავე დროს ბევრი მათგანი წარმოადგენს ნამდვილ დონკიხოტს და დანარჩენები კი სანჩო-პანჩოს.

ამას წინად, როდესაც აქ ლაპარაკობდა წითელ არმიის წარმომადგენელი და ის შეეხო სვანეთში გზების გაყვანას, კრებამ წითელ არმიას ოვაციები გაუმართა. უბადრუკი ოპოზიციონერი ლოთლია ბიბინეიშვილი კი აქვე იჯდა და დემონსტრატიულად სდუმდა. ნუთუ ეს არ ახასიათებს ოპოზიციის დღევანდელ ფიზიონომიას? ოპოზიციაში მოკალათებული ამხანაგები ტყუილებზე და ცილისწამებაზე ამყარებენ თავიანთ მუშაობას. მათ სულ მთელ საქართველოში ანტი-პარტიულ განცხადებაზე ხელი მოაწერინეს 300-მდე კაცს. აქედან დღეს უკვე 269 კაცმა მოხსნა თავის ხელმოწერა. ბევრ მათგანმა კი განაცხადა, რომ ისინი მოტყუილებული იყვნენ ან კიდევ, რომ ოპოზიციის აგენტებმა მათ დაუკითხავათ მოაწერეს ამა თუ იმ ამხანაგის გვარი ანტი-პარტიულ დოკუმენტს.

საით მიდის ოპოზიციის გზა?—მენშევიზმისაკენ მიდის.

მაგალითად ლეჩხუმის მაზრაში, სოფელ [illegible], ოპოზიცია თავის არალეგალურ მუშაობის დროს გაითქვიფა ადგილობრივ მენშევიკებში. პარტია ყოველნაირად ცდილობდა გადაგვარების გზაზე მდგომ ოპოზიციის მოყვანას გონზე. პარტია მათ უწვდიდა დახმარების ხელს. ოპოზიციამ არა ერთხელ მისცა პარტიას სიტყვა, რომ ის ხელს აიღებდა ფრაქციულ მუშაობაზე, მიუხედავათ ამისა მან კიდევ უფრო გააძლიერა პარტიის გამთიშავი მუშაობა. მაგალითად საქართველოს წითელი ჯვარი, სადაც მოღვაწეობდა ოპოზიციონერი ლადო დუმბაძე, ფრაქციულ მუშაობის ბუდედ გადაიქცა. ოპოზიცია საბჭოთა აპარატს იყენებდა ფრაქციულ მიზნებისათვის. ამის შემდეგ ისინი თავისივე თავს უნდა დაემდურონ, თუ პარტიამ შეუძლებლად სცნო მათი დატოვება ამა თუ იმ საპასუხისმგებლო საბჭოთა თანამდებობაზე.

ოპოზიციამ მოაწყო ოქტომბრის ზეიმზე კონტრ-დემონსტრაცია პარტიისა და ხელისუფლების წინააღმდეგ. ის შეეცადა წაერთმია ჩვენთვის მუშათა დემონსტრაციები, როგორც ეს იყო 1905 წელში, როდესაც ქუთაისის ბულვართან მენშევიკებმა და ანარქისტებმა მოგვინდომეს დემონსტრაციის თავის მხარეზე გადაპირება, მაგრამ მათ ეს ვერ შესძლეს.

კმარა! პარტიამ საკმაოდ ბევრი მოუთმინა ოპოზიციას. ამას იქით საზღვარი უნდა დაედვას მათ დეზორგანიზატორულ მუშაობას. ჩვენმა ყრილობამ უნდა თქვას ამ მხრივ თავისი ავტორიტეტული სიტყვა (ტაში).

რეზოლუცია ცეკას ანგარიშის გამო

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მე-5 ყრილობა სავსებით იწონებს ცეკას პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს, რამაც უზრუნველ ყო საქართველოს სახალხო მეურნეობის საერთო აღორძინება და თვალსაჩინოთ გააძლიერა ქვეყნის სოციალისტური ელემენტების ხვედრითი წონა.

ამ პოლიტიკის წყალობით ჩვენი ქვეყანა მტკიცედ დაადგა მრეწველობის და ტრანსპორტის ინდუსტრიალიზაციისა და რეკონსტრუქციის გზას. საქონლის ბრუნვა განვითარდა ისეთ პირობებში, როცა სახელმწიფო ვაჭრობა და კოოპერაცია სულ უფრო იპყრობდა ბაზარს კერძო კაპიტალის წარმატებით გაძევებასთან ერთად; სასოფლო-მეურნეობის აღორძინება სწარმოებდა ისეთ პირობებში, როცა ზეგავლენა მასზე პროლეტარიატის დიქტატურის ეკონომიური მბრძანებელი მაღლობების (სოციალისტური მრეწველობის, კოოპერაციის, კრედიტის და სხვ.) მხრით სულ უფრო იზრდებოდა, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი გეგმიანი ხელმძღვანელობის შესაძლებლობას; იზრდება და მტკიცდება სოფლად კოოპერაცია, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოვდება და თავის მოქმედების ორბიტაში აქცევს მუშებისა და გლეხების მასებს; მიღწეულია ფასების დაკლება სამრეწველო საქონელზე, ნაწილობრივად შემცირებულია დანართი ხარჯები, როგორც მრეწველობაში, ისე საქონლის გამტარებელ ქსელში; გადადგმულია პირველი ნაბიჯი წარმოებისა და სამმართველო აპარატის რაციონალიზაციის მიმართულებით; ტარდება ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

ამ პოლიტიკის მეოხებით თვალსაჩინოთ იზრდება სოციალისტური მრეწველობის ხვედრითი წონა სახალხო მეურნეობაში, გადიდებულია ხარჯები მრეწველობისა და ელექტროფიკაციის კაპიტალური აღმშენებლობისათვის; ვითარდება ადგილობრივი საბჭოთა მრეწველობა, რომლის მიზანია საერთოდ მოსახლეობის და განსაკუთრებით გლეხობის სხვადასხვაგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; სასოფლო-მეურნეობაში ვითარდება ტექნიკური და შრომის ტევადი კულტურები, რომელიც იძლევა ნედლ მასალას მრეწველობისათვის (აბრეშუმი, თამბაქო, ბამბა, ჩაი და სხვ.); განმტკიცდა ავტონომიურ ოლქებისა და რესპუბლიკათა სამეურნეო ბაზისი.

ყრილობა ყურადღებას აქცევს შემდეგ მოვლენებს: ა) საგრძნობი უმუშევრობა, რომელიც იქმნება უმთავრესად სოფლის ხარჯზე; ბ) საბინაო აღმშენებლობის არასაკმაოდ განვითარება; გ) სამრეწველო ნაწარმოებთა თვითღირებულების დაკლების შენელებული ტემპი; დ) ჯერ კიდევ მაღალი ფასები სამრეწველო საქონელზე და საბითუმო და საცალო ფასების დიდათ დაცილება.

ყრილობა ადასტურებს ცეკას სამეურნეო პოლიტიკის სისწორეს და სამერმისოდ ავალებს მას სამეურნეო აღმშენებლობის დარგში იხელმძღვანელოს შემდეგი დირექტივებით:

ყოველმხრივად ხელი უნდა შეეწყოს საქართველოს და კერძოთ მასში შემავალ რესპუბლიკების (აფხაზეთი, აჭარისტანი) და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის შემდგომ ინდუსტრიალიზაციას და ელექტროფიკაციას, წარმოების ზრდას, ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას და ქვეყნის საქონლის ბრუნვის გაძლიერებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების, სავაჭრო და სახელმწიფოებრივი აპარატის რაციონალიზაციას, სამრეწველო ნაწარმოების თვითღირებულების დაკლებას პროდუქციის თვისების გაუმჯობესებასთან ერთად, დანართი ხარჯების შემდგომ შემცირებას და საქონლის გამტარებელ ქსელის გამარტივებას. წარმოების რაციონალიზაციის ხაზით პარტიულმა პროფესიონალურმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა მუშაობა უნდა აწარმოონ მუშათა ფართო მასების აქტიური მონაწილეობით. ამასთან ერთად პროფორგანიზაციები ყოველმხრივად უნდა იბრძოდენ რაციონალიზაციის ყოველგვარ დამახინჯებას და უნდა იცავდენ მუშათა მასების ყოველდღიურ მოთხოვნილებებს.

მთელი მეურნეობის რაციონალიზაციის და რეკონსტრუქციის ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია მოსახლეობის საკმაო კულტურული დაწინაურების გარეშე. ამასთან დაკავშირებით მორიგ ამოცანას წარმოადგენს ტეხნიკური და აგრონომიული განათლების გაუმჯობესება, აკადემიური მეცნიერული მუშაობის დაახლოება მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობასთან.

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მუშათა კლასის ნივთიერი მდგომარეობისა და მისი ყოფაცხოვრების შემდგომი გაუმჯობესება 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლით, სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლებით, სამუშაო ხელფასის გადიდებით—პირველ ყოვლისა ხელფასის მხრივ ჩამორჩენილ მუშათა ჯგუფებისათვის—თანაბრად შრომის ნაყოფიერების ზრდისა საბინაო მშენებლობის გადიდების და ფასების დაკლებისა.

ტეხნიკურ და ძვირფას მცენარეულობათა წარმოების გაფართოების საქმეში უდიდეს როლს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რომელმაც ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს მის გავრცელებას სახელმწიფო და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობასთან შეფარდებით. ამასთანავე აუცილებელია ყოველმხრივ წავაქეზოთ სასოფლო-მეურნეობის კოლექტივიზაციის სხვადასხვაგვარი ფორმები.

მოსახლეობის აგრარული სიჭარბე სოფლად, რომელიც გამოწვეულია მიწების ნაკლებობით და მსხვილი ინდუსტრიის უქონლობით აუცილებლად უნდა იქნას დაძლეული სასოფლო-მეურნეობის ინტენსიფიკაციის, ინდუსტრიალიზაციის და გადასახლების სწორი პოლიტიკის საშუალებით, რასაც უნდა მიექცეს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების სერიოზული ყურადღება.

კოოპერაციის მიერ კერძო ვაჭრის შემდგომი გაძევება უნდა სწარმოებდეს გეგმიანად, თანაბრად მათი ნამდვილი და ორგანიზაციული შესაძლებლობისა. ამასთან ერთად საჭიროა გაძლიერებული იქნეს მუშაობა კოოპერაციაში მოსახლეობის ფართო წრეების ჩასაბმელად, კოოპერაცია უნდა გადაიქცეს საქონლის მიმოქცევის იაფ და რაციონალურ შუამავალ აპარატად მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ყოველმხრივად ხელი უნდა შეეწყოს კუსტარებისა და ხელოსნების ჩაბმას კუსტარულ სამრეწველო კოოპერაციაში.

პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ქვედა ფენებიდან ზედა ფენებამდე კიდევ მეტად უნდა გააძლიერონ მუშაობა დაწესებულებებში და ორგანიზაციებში ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების აღმოსაფხვრელად; ამ საქმეში უნდა ჩააბან პროფკავშირის ფართო მასები და მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა.

ჩვენი სოფლის სინამდვილის დამახასიათებელ თვისებას, წინააღმდეგ ოპოზიციის მტკიცებისა საშუალო გლეხობის შესუსტების შესახებ, შეადგენს ის გარემოება, რომ ადგილი აქვს გლეხობის საშუალო ჯგუფის გაძლიერების პროცესს ღარიბი გლეხობის ხარჯზე. ეს პროცესი გლეხობის საშუალო წრეების შემდგომი ზრდისა, ერთხელ კიდევ ადასტურებს ამხ. ლენინის ცნობილ დებულებას, რომ საშუალო გლეხობა „მიწათმოქმედების ცენტრალური ფიგურაა“.

სახალხო მეურნეობის განვითარებას თან ახლდა პროლეტარიატის და გლეხობის ყველა ფენების აქტიურობის გაძლიერება საბჭოების, კოოპერაციის და ურთიერთ დამხმარე კომიტეტების გამოცოცხლებასთან, აგრეთვე ღარიბი ჯგუფის ორგანიზაციის და მოჯამაგირეთა ორგანიზაციულ შეკავშირების გაძლიერებასთან ერთად.

საქართველოში საბჭოების გადარჩევამ, რომელიც ჩატარდა ნამდვილი საბჭოთა დემოკრატიის საფუძველზე, მუშების, საშუალო და ღარიბი გლეხობის მასებისა და მოჯამაგირეთა გაძლიერებული აქტიურობის პირობებში. გააძლიერა პროლეტარიატის და მისი ავანგარდის—პარტიის ხელმძღვანელი როლი, ასწია საბჭოების ავტორიტეტი, განამტკიცა გლეხობის საშუალო და ღარიბი მასების კავშირი და მშრომელთა ფართო მასები კიდევ მეტად ჩააბა სოციალისტურ მშენებლობაში ქალაქად და სოფლად.

ყრილობა, ადასტურებს რა ცეკას დადგენილებათა სისწორეს საბჭოების და სექციური მუშაობის, კოოპერაციის გამგეობათა და გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების გამოცოცხლების შესახებ, მასიური მუშაობის გასაშლელად, ღარიბთა ჯგუფების ჩამოსაყალიბებლად და ღარიბთა და მოჯამაგირეთა აქტიურობის გასაძლიერებლად, მიაქცევს პარტიულ და საბჭოთა ორგანოების ყურადღებას ღარიბთათვის ყოველმხრივი დახმარების აუცილებლობაზე საბჭოთა კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, ღარიბთა დახმარების რესპუბლიკანურ და ადგილობრივ დამხმარე ფონდის გაძლიერების, საკრედიტო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების, გლეხობის ღარიბი ფენების და მოჯამაგირეობის კოოპერაციაში ჩაბმის, შეუძლებელთათვის გრძელვადიანი სესხით უზრუნველყოფის, მიწათმოწყობის მუშაობის გაძლიერების და აგრონომიული დახმარების გაუმჯობესების ხაზით.

ამასთანავე ერთად ყრილობა აღიარებს, რომ ამჟამად ჩვენი ქვეყნის და ჩვენი პარტიის გაზრდილი სამეურნეო და პოლიტიკური ძალები, ღარიბ გლეხობის და საშუალო გლეხობის კავშირის განმტკიცება გზას გვიხსნის კულაკების წინააღმდეგ გაძლიერებულ იერიშების მისატანად.

ყრილობა აღნიშნავს, რომ პარტიის მე-4 ყრილობის მიერ წამოყენებულ ამოცანებს იდეოლოგიურ ფრონტზე მუშაობის გასაღრმავებლად და მენშევიკური გავლენის ნაშთების დასაძლევად პარტია წარმატებით ასრულებს.

მენშევიზმმა და სხვა ანტი-საბჭოთა პარტიებმა, დაჰკარგეს რა ყოველივე ნიადაგი მუშათა კლასსა და გლეხობის ძირითად მასებს შორის, ამჟამად მეტ ნაწილად ეყრდნობიან კულაკებს, სოფლის შეძლებულ ფენებს, თავად-აზნაურობას, რეაქციონურ ინტელიგენციას და ქალაქის წვრილბურჟუაზიულ ვაჭრულ ელემენტებს, რომელთა ინტერესებსაც ისინი გამოხატავენ.

მენშევიკების მხილების ფართო კამპანიამ, რომელიც ჩაატარეს პარტორგანიზაციებმა, შეიარაღებულ ბრძოლის შესახებ მენშევიკების „საზღვარგარეთელ ცენტრი“-ს სადირექტივო წერილების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, გამოიწვია მენშევიკურ განზრახვებისადმი მშრომელთა მასების სასტიკი წინააღმდეგობა და ანტი-საბჭოთა პარტიების ზოგიერთი ჯგუფების გახრწნის ახალი ტალღა, ხელისუფლების მხარეს მათი გადასვლა.

შემდეგში პარტორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ბრძოლის გაძლიერებას ყოველგვარი სახის მენშევიზმისა და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ.

ყრილობა აღნიშნავს წარმატებას, ეროვნულ უმცირესობათა ეკონომიური კეთილდღეობის გაძლიერებაში, ეროვნულ უმცირესობისათვის კულტურულ და ეკონომიურ საჭიროებათა უზრუნველყოფაში.

საბჭოთა ხელისუფლების პრინციპების მიხედვით ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარებისთვის ხელის შეწყობასთან ერთად, საჭიროა შემდეგშიაც სწარმოებდეს გადამწყვეტი ბრძოლა შოვინისტურ გადახრების, ნაციონალიზმის და ველიკოდერჟავნიკულ განწყობილების წინააღმდეგ; ტარდებოდეს ნამდვილი და გარკვეული ბოლშევიკური ხაზი.

პროფესიონალურ ორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობა, პროფკავშირების, პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო მუშების რიცხვობრივ ზრდასთან ერთად, ხასიათდება პროფკავშირული დემოკრატიის გაფართოვებითა და განმტკიცებით, პროფორგანიზაციების დაახლოებით მასებთან, საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობის გაუმჯობესებით, ამომრჩეველთა აქტივის საგრძნობი გადიდებით და გაჯანსაღებით, საერთო სახელმწიფოებრივ მშენებლობის კამპანიებში, პროფკავშირების მონაწილების გაძლიერებით (ფასების დაკლება; ინდუსტრიალიზაციის სესხი და სხვ.).

აღნიშნავს რა ა. ლ. კ. კ.-ის ორგანიზაციის რიცხობრივ ზრდას, მის იდეურსა და ორგანიზაციულ განმტკიცებას, მშრომელი ახალგაზრდობის დიდ ლტოლვას ა. ლ. კ. კავშირისაკენ, ყრილობა პარტორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს კომკავშირის მიმართ პარტხელმძღვანელობის კიდევ უფრო გაძლიერების აუცილებლობაზე, მასში პარტიული კადრის გაძლიერებაზე და ა. ლ. კ. კავშირის სოციალური შემადგენლობისა და ზრდის სწორ მოწესრიგებაზე.

ყრილობა აღნიშნავს, რომ პიონერთა ორგანიზაცია, რომელიც ერთგვარ შეფერხებას განიცდის თავის განვითარებაში, მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას ყველა პარტიული და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა მხრით.

ქალთა შორის მუშაობის დარგში ყრილობა წინადადებას იძლევა გაძლიერებულ იქნეს პარტხელმძღვანელობა ქალთა შორის მუშაობაზე და აგრეთვე გაძლიერებულ იქნეს ახალი აქტივის დაწინაურება მუშა-ქალების და გლეხქალების წრიდან.

ყრილობას აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია გაძლიერებულ იქნეს სოფლის შვიდწლედების რეორგანიზაცია გლეხური ახალგაზრდობის საწარმოო სკოლებად და ქალაქის შვიდწლედების დაკავშირება საწარმოო პროცესებთან; გაძლიერებულ უნდა იქნეს მასწავლებლების გადამზადება და მათი ჩაბმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში; აღებულ იქნეს კურსი სასწავლებელთა ადმინისტრატიულ და პედაგოგიურ პერსონალის კომუნიზაციისაკენ.

პარტგანათლების დარგში საჭიროა გაძლიერებულ იქნეს პარტხელმძღვანელობა პარტგანათლების მთელ სისტემაზე, წაქეზებულ იქნეს პარტხელმძღვანელობის ნებაყოფლობითი ფორმები; გაძლიერებულ იქნას მუშაობა პარტაქტივთან და უფრო ინტენსიურად განვითარდეს თვითგანათლების სისტემა.

აღნიშნავს რა დიდ მიღწევებს წითელი არმიის ქართული ნაწილების პოლიტიკურად მომზადების დარგში, ტერიტორიალური მშენებლობის საქმეში, სამოქალაქო პარტორგანიზაციების წითელი არმიასთან დაკავშირების გაძლიერებაში და არმიის პარტორგანიზაციების საერთო პარტიულ მუშაობაში ჩაბმის საქმეში, ყრილობა პარტორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს ეროვნულ სამხედრო ნაწილების გამაგრების აუცილებლობაზე, სამხედრო ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევის გაძლიერებაზე, წითელ არმიელთა პრესის გაუმჯობესებაზე და სამხედრო ლიტერატურის გამომცემლობის განვითარებაზე.

ამასთან ერთად საჭიროა უფრო ფართოდ იქნეს გაშლილი მუშაობა თავდაცვისათვის ქვეყნის მოსამზადებლად, მოსახლეობისა და, კერძოდ, უმაღლეს სასწავლებლების გასასამხედროებლად, საბჭოთა საზოგადოებრივობაში უფ[illegible] შემადგენლობის ჩასაბმელად და მათ მოსამზადებლად დემობილიზაციაქმნილი წითელ არმიელთა სოფლებში ფართოდ გამოსაყენებლად.

ყრილობა აღნიშნავს პარტიის მნიშვნელოვან ზრდას, პარტიული რიგების განმტკიცებას და გამოცოცხლებას შინაპარტიული დემოკრატიის საფუძველზე. შინაპარტიული მუშაობის გაძლიერებას, პარტხელმძღვანელობის გაუმჯობესებას სათანადო ორგანიზაციების ფრაქციათა მეშვეობით, ყურადღების გაძლიერებას პარტიის ზრდის მოწესრიგებაზე—მუშებისა და მოჯამაგირეთა პარტიაში უფრო მეტად ჩაბმის მხრით.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის (ბ) მე-4 ყრილობის შემდეგ მომდევნო პერიოდში ადგილობრივი ოპოზიციის ფრაქციულმა მუშაობამ პარტიის ისტორიაში უჩვეულო ფორმები მიიღო. თავის დროზე დამარცხებული და განადგურებული მემარჯვენე-უკლონისტური ოპოზიცია საქართველოში, რომელიც ნაციონალიზმის აგენტურას წარმოადგენდა და პარტიაში კულაკურსა და წვრილ-ბურჟუაზიულ სულისკვეთებას გამოხატავდა, ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კვლავ შეეცადა გადაეცდინა პარტია ოპორტუნიზმის გზაზე, ამ შემთხვევაში ეფარებოდა რა ტროცკიზმის არსენალიდან ამოღებულ „მემარცხენე“ ფრაზებს.

ეფარება რა „მემარცხენე“ ფრაზებს, ოპოზიცია საქმით სცდილობს დააყენოს პარტია წვრილ-ბურჟუაზიული და ნაციონალისტური ელემენტებისათვის დათმობის გზაზე. კერძოთ, ოპოზიცია თავის პლატფორმაში მოითხოვს გადასინჯვას ა.-კ. ფედერაციის საკითხისას, რომელიც წარმოადგენს ა.-კ. ხალხების თანამშრომლობის საუკეთესო ფორმას და ა.-კავკასიაში ნაციონალური მშვიდობიანობის სამაგალითო იარაღს.

ამასთან ერთად უკლონისტებმა გამოიჩინეს იდეური სილაჩრე, ვერ გაბედეს რა პარტიულ კრებაზე გამოსულიყვნენ თავისი შეხედულებებით ა.-კ. ფედერაციის შესახებ.

შევიდა რა, როგორც ძირითადი შემადგენელი ნაწილი, იმ ოპოზიციონურ ბლოკში, რომელსაც ტროცკი და ზინოვიევი მეთაურობენ, მემარჯვენე-უკლონისტურმა ოპოზიციამ განავითარა საქართველოში უჩვეულო ფრაქციული მუშაობა, რომელიც მიმართულია პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ. არალეგალური კომიტეტების მოწყობა, არალეგალურ კრებების მოწვევა, ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა დოკუმენტების ბეჭდვა და გავრცელება, პარტიულ ორგანიზაციათა დადგენილებების შეუსრულებლობა და, დასასრულ, პარტიული კრებების ჩაშლის ცდა, — ყველა ეს ფაქტები, რაც ახალი უკლონისტურ-ტროცკისტულ ოპოზიციის მუშაობას ახასიათებენ საქართველოში, გვეუბნებიან იმას, რომ ოპოზიციამ საქმით დაიწყო ახალი ანტილენინური, ტროცკისტული პარტიის შენება, რომელსაც ცალკე თავისი პროგრამა და დამოუკიდებელი ფრაქციული აპარატი ეყოლება.

საქართველოს სინამდვილის პირობებში, როდესაც ჟორდანია-რამიშვილის მებრძოლი მენშევიზმი ეხლაც კიდევ აყენებს საკითხს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ, — საქართველოს ტროცკისტულ-უკლონისტური ოპოზიციის მთელი მუშაობა ორმაგად დანაშაულებრივია და ობიექტიურად წყალს უშვებს მებრძოლი მენშევიზმისა და ნაციონალიზმის წისქვილზე.

პარტიის წინააღმდეგ ოპოზიციის ბრძოლა იქცევა პროლეტარიული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლად, ხოლო თვით ოპოზიცია ნაციონალ-უკლონიზმისაგან მენშევიზმისაკენ მიექანება.

ყრილობა კატეგორიულად აცხადებს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია (ბ), რჩება რა ლენინის აღთქმათა ერთგული, გადაჭრით და დაუნდობლად იბრძოლებს ყველა ანტილენინურ, ნეომენშევიკურ დაჯგუფებათა წინააღმდეგ, რომელნიც ფრაქციულ მუშაობას აწარმოებენ და ცდილობენ პარტიის დარღვევას.

ყრილობა იწონებს საქ. კომ. პარ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია იმ მიზნით, რომ არ დაუშვას ლენინიზმის რევიზიის ცდები.

ყრილობა ავალებს საქართველოს კომ. პარ. (ბ) ც. კ.-ს, შემდგომ კიდევ უფრო გადაჭრილი ბრძოლა აწარმოოს იმ ცდების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია მთელი იმ იდეური მემკვიდრეობის გადასინჯვა ან შეცვლა, რომელიც ლენინმა დაგვიტოვა. ლენინიზმის უფრო გულმოდგინე და სისტემატიური შესწავლის საფუძველზე აუცილებელია კიდევ უფრო მაღლა ავსწიოთ მთელი პარტიის იდეური დონე, კიდევ უფრო მეტად გავაკაჟოთ ბოლშევიკური რიგები.

ყრილობა წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ დაშლილ იქნას ტროცკისტულ-უკლონისტური ფრაქციული დაჯგუფებანი და იხელმძღვანელოს მე-10 პარტყრილობის შემდეგი დადგენილებით: „ყრილობა ადგენს დაუყოვნებლივ დაშლილ იქნას უკლებლივ ყველა ჯგუფები, შექმნილნი ამა თუ იმ პლატფორმის გარშემო და ავალებს ყველა ორგანიზაციას სასტიკად თვალყური ადევნოს, რათა დაშვებულ არ იქნეს რაიმე ფრაქციული გამოსვლები. ამ დადგენილების შეუსრულებლობას უნდა მოჰყვეს პარტიიდან უეჭველი და დაუყოვნებლივი გარიცხვა“.

კოტე ცინცაძის, ოკუჯავა-ვირაპის ფრაქციის გამთიშველ მუშაობას, ცილისწამებისა და წმინდა მენშევიკურ განცხადებებს მე-5 ყრილობამ ბოლო უნდა მოუღოს.

ყრილობა მთლიანად და სავსებით იწონებს საკ. კომ. პარ. (ბ) ც. კ.-ს და ც. ს. კ. გადაწყვეტილებას ც. კ.-იდან და ც. ს. კ. შემადგენლობიდან ოპოზიციის ყველა ლიდერების გამოყვანისა და საკ. კ. პ. (ბ)-დან ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ.

ყრილობა ავალებს საქართველოს კ. პ. (ბ) მე-15 პარტყრილობის დელეგაციას ყრილობაზე წინადადება შეიტანოს საკ. კ. პ. (ბ)-დან ყველა იმ ოპოზიციონერთა გამორიცხვის შესახებ, რომელნიც პარტიულ დისციპლინას არ დაემორჩილენ და ფრაქციულ და გამთიშველ მუშაობისათვის თავი არ დაუნებებიათ.

ძირს ყველა და ყოველგვარი ფრაქციონერები და გამთიშველები!

გაუმარჯოს დიდი ლენინის დიადი პარტიის რიგების პროლეტარულ დისციპლინასა და ფოლადისებურ მთლიანობას!

(რეზოლუცია მიღებულია ერთხმად)

პარტიული ცხოვრება

პარტია დეზორგანიზატორების წინააღმდეგ

ზაპოროჟიე, 16 ნოემბერი. ამხ. შლიხტერმა საოლქო პარტკონფერენციაზე გააკეთა რიგგარეშე განცხადება პარტიიდან ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ. ამხ. შლიხტერის ინფორმაციის შემდეგ კონფერენციამ დაადგინა გაუგზავნოს დეპეშა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, რომელშიაც იგი სავსებით უერთდება ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გადაწყვეტილებას პარტიიდან ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ.

კონფერენცია მოითხოვს პარტიული ყრილობისაგან, რომ ტროცკისტთან და ზინოვიევთან ერთად პარტიიდან გამორიცხულ იქნან ფრაქციული მუშაობის ყველა მონაწილენი

სტალინო, 16 ნოემბერი. საოლქო პარტკონფერენციამ, მოისმინა რა მან ინფორმაცია პარტიიდან ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ, ერთხმად იწონებს ცეკას და ცენტ. საკონტრ. კომისიის გადაწყვეტილებას. (ადს).

ნიკოლაევი, 16 ნოემბერი. ცნობას პარტიიდან ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ ერთსულოვანი ტაშით შეხვდა პარტკონფერენცია. კონფერენცია აუცილებლად სცნობს დაუყოვნებლივ იქნან გამორიცხული კომპარტიის (ბ) რიგებიდან თავაშვებული გამთიშავ-ოპოზიციონერები (ადს).

კიევი, 16 ნოემბერი. კიევის პარტკონფერენცია მხურვალე ტაშით შეხვდა ცნობას ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ. კონფერენციამ ერთხმად დაადგინა გაუგზავნოს დეპეშა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, რომელშიაც იგი სავსებით უერთდება გადაწყვეტილებას პარტიის რიგებიდან ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ და მოითხოვს გამორიცხულ იქნან დანარჩენი ოპოზიციონერებიც (ადს).

ოდესა, 16 ნოემბერი. საოლქო პარტიული კონფერენცია სრულიად სწორად და დროულად სთვლის ცეკასი და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებას ანტიპარტიული [illegible] მთავარი ხელმძღვანელთა ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. კონფერენცია გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მე-15 ყრილობა ბოლოს მოუღებს ყოველგვარ ტროცკისტულ მუშაობას პარტიის წინააღმდეგ (ადს).

მინსკი, 16 ნოემბერი. ბელორუსიის სამხედრო ოლქის პარტიულმა კონფერენციამ ერთხმად მოიწონა საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკასი და ცენტრალური კომისიის გადაწყვეტილება პარტიიდან ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ და სხვა გადაწყვეტილებები ოპოზიციონერების მიმართ (ადს).

ხარკოვი, 16 ნოემბერი. უკრაინის ახ. ლენ. კომ. კავშირის ცეკას ბიურო მთლიანად უერთდება საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკასი და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებას პარტიის რიგებიდან ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვისა და საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკასი და ცენტრალური საკონტროლო კომისიის შემადგენლობიდან ოპოზიციონერების გარიცხვის შესახებ (ადს).

აზერბეიჯანის კომპარტიის ყრილობა

ბაქო, 15 ნოემბერი. ბაილოვის და ბიბი-ეიბათის უპარტიო მუშათა წარმომადგენლების მისალმების შემდეგ ყრილობას საღამოს სხდომაზე ცენტ. საკ. კომისიის საანგარიშო მოხსენებით წარუდგა ამხ. **სულთან-მეჯიდ-ეფენდიევი**, რომელიც უმთავრესად ეხება ცენტრ. საკ. კომისიის მუშაობას მაზრებში. აპარატის რაციონალიზაციის და გამარტივებისათვის ჩატარებულია მუშაობა ავტონომიურ ოლქებში, სადაც გაუქმებულია ცაკები და ისეთი კომისარიატები, რომელნიც საჭირო არ იყო. გამიჯნულია აგრეთვე სხვადასხვა ორგანოების კომპეტენტები. ზოგიერთი ფუნქციები ჩამოერთვა ცენტრ. დაწესებულებებს და გადეცა ადგილობრივს.

შემდეგ მომხსენებელი ეხება კოოპერაციის ხარჯების შემცირებას და ამბობს, რომ „კაიბირლიგმა" ხარჯები შეამცირა 11 პროცენტით, „კონკორდიამ"—16 პროცენტით, „აზერიტიფაკმა"—11 პროცენტით.

მომხსენებელი თავის სიტყვაში აღნიშნავს აგრეთვე ბაზრების მოუწესრიგებლობას ვასულ წელს და პროდუქტების უფრო გეგმაშეწონილ დამზადებას მიმდინარე წელს.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება მ.-გ. ინსპექციის მიერ მთელ რიგ საბჭოთა დაწესებულებებში აღმოჩენილ ნაკლოვანებებზე და მათ გასასწორებლად მიღებულ ზომებზე.

მომხსენებელი გადადის სოფლის უჯრედების გამოკვლევის შედეგებზე და ამბობს: ჩვენ მიერ შემოწმებული იქნა სხვადასხვა ორგანიზაციის 1.100 წევრი. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ უჯრედებში წევრთა 80 პროცენტამდე წ.-კ. უცოდინარია. ხშირად სოფლელი კომუნისტები იჩენდენ მორწმუნეობას. შემოწმების შემდეგ პარტიიდან გამორიცხულია 21 კაცი. (6,4 პროც.), მექანიკურად გასულა 11 კაცი, საყვედური გამოეცხადა 35 და სხვა პარტიული სასჯელი გაიარა 25.

დასასრულ ამხ. ეფენდიევი ეხება შინაპარტიულ ოპოზიციის საკითხს:—ამჟამად,—ამბობს იგი, ოპოზიციის ცდა იქითკენ არის მიმართული, რომ მოაწყოს სკანდალი და ამით დაიცახუროს თანაგრძნობა. ოპოზიცია ცდილობს შეიმოსოს ტანჯულის და წამებულის შარავანდედით. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მიუხედავათ დემაგოგიური დაპირებებისა, ოპოზიციას არავინ გაჰყვება. ოპოზიციის იმედი, რომ გაიმარჯვებენ პარტიის წევრების და უპარტიო მუშების წყალობით—ფუჭია. (ადს).

ერთხმად მოიწონეს ცეკას თეზისები

გუშინ, ნაშუადღევის სამ საათზე, შესდგა ა.-კ. რკინის გზის პროფ-განათლების განყოფილების უჯრედის კრება, რომელზედაც გარჩეულ იქნა ცეკას თეზისები სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდა 6 ამხანაგი, რომლებიც სავსებით იწონებდენ ხუთწლიან გეგმას.

ბოლოს მოსმენილ იქნა ცნობა ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გარიცხვის შესახებ, გამოსულმა ამხანაგები ერთსულოვნად აღნიშნავდენ, რომ ჩვენ აქ მოვიწონეთ სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა, მაგრამ მისი ცხოვრებაში გატარებისათვის საჭიროა კომუნისტური პარტიის მთლიანობა და ფოლადისებური სიმტკიცე, რისთვისაც აუცილებელია ისეთების პარტიიდან გაძევება, რომლებიც ხელს გვიშლიან სოციალისტური აღმშენებლობაში.

კრებამ (51 კაცმა) ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მთლიანად ვიწონებთ სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმას და ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გარიცხვას.

ვიწონებთ ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვას

გუშინ, საღამოს 6 საათზე, შესდგა ა.-კ. და შავი ზღვის რკინის გზების სამმართველოების და გარაჟის კომუჯრედების გაერთიანებული კრება.

კრებაზე ამხ. ვოსკანოვმა გააკეთა მოხსენება სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ. კამათში მონაწილეობა [illegible] შესახებ. კამათში გამოვიდა 13 ამხანაგი, რომლებიც აღნიშნავდენ ჩვენი სამეურნეო მშენებლობის მიღწევებს და ხუთწლიანი გეგმის სისწორეს. სხვათა შორის ერთ ორატორს კაპლოცკის უნდოდა 7 საათის სამუშაო დღის შესახებ გამართლება ოპოზიციონურ აბდა-უბდა, მაგრამ დაიბნა და განაცხადა, ეს კარგია, მაგრამ ჩვენი მუშათა კლასი ჯერ-ჯერობით შეუგნებელია, ასეთი ღონისძიების გატარებას ვერ შესძლებსო. ამის შემდეგ გამოსულმა მუშებმა სასტიკი პასუხი გასცეს ასეთ ტიპლიცკის ასეთ პროვოკაციულ გამოსვლებს.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც იწონებს ხუთწლიან გეგმას და მიესალმება ც. კ. და ც. საკ. კომისიის მიერ ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გაძევებას. რეზოლუცია მიღებულ იქნა ერთხმად, მხოლოდ ერთმა შეიკავა თავი.

შ. პ.

ოპოზიცია გარიყულია

ამხ. მიხა კახიანის სახელობის ქართულ მუშფაკში, 12 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგა მუშფაკის ა. ლ. კ. კ. უჯრედთა გაერთიანებული კრება.

კრებას დაესწრო 500-მდე კომკავშირელი.

დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: შინაპარტიული მდგომარეობა.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ტალახაძემ.

მოხსენების დასასრულ გაიმართა კამათი. გამოვიდენ ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებმაც მოინდომეს ყალბ თეზისების განალდება. მაგრამ კრებამ, კომკავშირელ ამხანაგებმა და ამხ. ტალახაძემ თავის საბოლოო სიტყვაში საკადრისი პასუხი გასცა დეზორგანიზატორებს.

დასასრულ კრებამ 13 კაცის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია, რომ ლენინური კომკავშირი მუდამ იყო და იქნება მთლიანობის სადარაჯოზე. ოპოზიციის ცდა, რომ ლენინური კომკავშირი გარდაიქცეს ტროცკისტულ კავშირად,—ამაოა. კომკავშირი მუდამ გვერდში ედგომება პარტიას მისი მთლიანობისათვის ბრძოლაში. ის არ დაუშვებს ლენინურ გზიდან გადახრას.

გაუმარჯოს ლენინურ მთლიანობას!

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს!

ძირს ფრაქციონერები, დეზორგანიზატორები.

ლეხუნი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

სიღნაღი, 16 ნოემბერი. სიღნაღის მაზრაში მოსავლის დღის აღსანიშნავად აგრონომიულ წერტილებთან, სახალხო მამულებთან და აგრონომიულ პუნქტებთან მოეწყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენები. ასეთი გამოფენები მოწყობილია სულ 6. გამოფენილია უმთავრესად გლეხური და აგრონომიულ პუნქტების ექსპონატები. გლეხის საუკეთესო ექსპონატებისათვის რიგდებოდა ჯილდო. სულ დააჯილდოვეს 50 მეურნეობა. ჯილდოების სახით აძლევდენ სასოფლო სამეურნეო მანქანებს და იარაღებს (ადს).

ჭირნახულის აკრება

ოზურგეთი, 15 ნოემბერი. დაიწყო ჭირნახულის აკრეფა. მოსამზადებელი მუშაობა ტარდება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო და სამომხმარებლო კოოპერატიულ ორგანოების მიერ.

გურიაში ღვინის მოსავლიან რაიონებში მიმდინარე წელს განზრახულია ნახევარი მილიონი გრადუსი არაყის დამზადება, მათ რიცხვში უნდა დამზადდეს 20 პროც. კონიაკის სპირტი.

თამბაქოს მოსავალი წელს ცუდი იყო. თამბაქოს მოსავლიან ცენტრალურ ადგილებში შარშანდელთან შედარებით მოსავალი 40 პროცენტით ნაკლებია (ადს).

კოოპერაცია

სიღნაღი, 15 ნოემბერი. სამომხმარებლო კოოპერაციაში ამჟამად ჩაბმულია მოსახლეობის 58 პროც. შარშან ჩაბმული იყო მხოლოდ 53 პროც. მიმდინარე წელს კოოპერაცია აერთიანებს 3.647 წევრს, შარშან აერთიანებდა 3370 წევრს. კოოპერაციის საკუთარი თანხა ამჟამად შეადგენს 128.687 მანეთს. შარშან იყო 102673 მანეთი.

სას.-სამ. ბანკის განყოფილება

სიღნაღი, 15 ნოემბერი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის სიღნაღის განყოფილება გადავიდა სოფ. გურჯაანში. განყოფილება მომსახურებას გაუწევს, როგორც სიღნაღის ისე თელავის მაზრას (ადს).

წერილები

საჭიროა უფრო მჭიდრო კავშირი გლეხობასთან

მუშათა კლასის გლეხობასთან დასაკავშირებლად ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს შეფობა. ქალაქის ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი იღებენ შეფობას რომელიმე სოფელზე და შესაძლებლობის ფარგლებში უწევენ ამ უკანასკნელს კულტურულ და მატერიალურ დახმარებას.

ეს გარემოება უსათუოდ დიდი ყურადღების ღირსია. ქალაქის გათვითცნობიერებულ მუშებს თავისი საშეფო კომისიების სახით უაღრესად დიდი დახმარების გაწევა შეუძლია გლეხობის კულტურული და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

როდესაც ვლაპარაკობთ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მუშების მიერ გლეხობისათვის პირდაპირი მატერიალური დახმარება, არამედ ეკონომიური წინსვლელობისათვის ხელის შეწყობა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვა.

მთავარი რაც აფერხებს სოფლის წინსვლელობას, ეს არის გლეხობაში საერთო საქმისათვის ინიციატივის უქონლობა. აქ საშეფო კომისიებს შეუძლიათ აქტიურად ჩააბან გლეხები მუშაობაში.

მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ საშეფო კომისიების საქმიანობას, დავინახავთ, რომ მათი უმრავლესობა სათანადოთ ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

საშეფო კომისიების მუშაობის გამოცოცხლება ხდება მხოლოდ ზაფხულის პერიოდში, როდესაც სოფელში გასეირნება გასართობ საქმეს წარმოადგენს. ამ დროს, კომისიის წევრებს აგონდებათ სოფელზე ზრუნვა, ხოლო დანარჩენი ხნის განმავლობაში არავინ ფიქრობს აქტიურ მუშაობის წარმოებას.

ეს მოვლენა უსათუოდ უარყოფითად უნდა ჩაეთვალოს საშეფო საზოგადოებებს. არ არის საკმარისი მარტო ზაფხულობით და რევოლიუციონურ დღესასწაულებზე გლეხობასთან მისვლა. ეს უნდა ხდებოდეს სისტემატიურად, ორ თვეში ერთხელ მაინც უნდა ინახულოს საშეფო სოფელი საშეფო კომისიის წევრმა. რითაც შესაძლებელი გახდება უფრო მჭიდრო კავშირის გაბმა გლეხობისა და ქალაქის მუშებს შორის.

ამის უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი არის უსახსრობა, რაც გადალახულ უნდა იქნას ერთის მხრივ საშეფო საზოგადოებებში მუშა-მოსამსახურეთა მთელი ასი პროცენტით ჩაბმით და აგრეთვე სოფლად გასაგზავნ ამხანაგების რიცხვის შემცირებით. გარდა სარევოლიუციო დღესასწაულებისა, სოფლად საკმარისია იგზავნებოდეს მხოლოდ ერთი, ან ორი ამხანაგი, რაც საგრძნობლად შეამცირებს ხარჯებს.

ეს გარემოება უნდა მიიღონ მხედველობაში საშეფო საზოგადოებების ხელმძღვანელმა ორგანოებმა. საჭიროა სოფელთან რეგულიარული და მჭიდრო კავშირი.

ხანი.

—:—

საშეფო სოფელში

სად. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეებს შეფობა აქვთ აღებული სოფელ ხანდაკზე (გორის მაზრაში).

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის ზეიმთან დაკავშირებით საშეფო კომისია, კვირას 6 ნოემბერს, სამხედრო ორკესტრით და სხვადასხვა საჩუქარით გაემგზავრა ზემოხსენებულ სოფელში.

დილის 8 ს. მატარებელი დაიძრა თბ. სადგურიდან. ყველას სახეზე არაჩვეულებრივი სიხარული ემჩნეოდა. დილის 11 ს. ჩავედით სადგურ გრაკალში და შარა-გზით წავედით ზემო-ხანდაკისაკენ. რამოდენიმე ვერსის გავლის შემდეგ მოუახლოვდით სოფელ ყარაღაჯს. გაისმა სასულე ორკესტრის ხმა. უცნაური რამაა მუსიკა სოფლისათვის. მოხუცი გლეხები თუ ახალგაზრდა გოგო-ბიჭები, ყველანი გულმოდგინეთ შესცქერიან მუსიკის ხმას.

სოფელ ყარაღაჯიდან ხანდაკამდე ცოტა გზა დარჩა. შესვენების შემდეგ გავემართეთ ხანდაკისაკენ. სოფლის გლეხობა და მოწაფეები წინ შემოგვეგებნენ.

— ტრაქტორიც საზეიმოთ მოვაწყვეთ.—გვახარა მეორე ჯგუფის მოწაფემ.

შევედით სოფელში. სასულე ორკესტრი კვლავ ახმაურდა, სახლში არც ერთი გლეხი არ დარჩენილა. მივდიოდით მიტინგის ადგილას.

ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლადო მაისურაძე. სად. თბილისის ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციის სახელით გლეხობას ესალმება ამხ. მ. კუჭავა ამხ. ივ. ჯავახიშვილი ეხება გლეხობის როლს ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის საქმეში და აცნობს მათ საკავშირო ცაკის მანიფესტის მნიშვნელობას, რასაც გლეხები აღფრთოვანებით ხვდებიან.

საშეფო საზოგადოებამ საუკეთესო დროშა გადასცა ხანდაკის გლეხობას ოქტომბრის ზეიმის საჩუქრად. სოფლის 130 მოწაფეს დაურიგდათ რვეულები და ფანქრები. ადგილობრივმა გლეხმა მადლობა გადაუხადა შეფს ასეთი ყურადღებისათვის და განაცხადა: ჩვენი შეფის ინიციატივით შევიძინეთ ტრაქტორი, გადმოგვეცა დროშა, გვეხმარებიან ყოველმხრივ და იმედია წყალსადენსაც გამოგვაყვანინებენო.

სოფლის მოწინავე პირებს დაურიგდათ ოქტომბრის ნიშნები.

დასასრულ ამხ. დალაქიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა წარმოდგენა. დადგმულ იქნა: „სიკვდილი ჩრდილოეთში", „ოქტომბრის რევოლიუცია" და „ჩანჩურა", რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა გლეხობაზე.

ასე ჩაატარა სად. თბილისის მოძრაობის დარგის საშეფო საზოგადოებამ ოქტომბრის ზეიმი თავის საშეფო სოფელ ხანდაკში.

ი. ჯავახიშვილი.

წერილებიდან

ვანის თემი, ქუთაისის მაზრა

გავხსნათ წითელი კუთხეები

ვანის თემი კულტურულად არ ითვლება ჩამორჩენილად, მაგრამ აღსანიშნავია ერთი გარემოება: თემის ცენტრში არსებობს ქოხ-სამკითხველო, რომლითაც სარგებლობს ახლო მცხოვრები მოსახლეობა. ცენტრიდან დაშორებული სოფლები კი სიშორის გამო სამკითხველოთი ვერ სარგებლობენ.

ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სოფლებში არსებულ ოთხწლედებთან გაიხსნას წითელი კუთხეები, სადაც გამოწერილ უნდა იქნას ყოველდღიური გაზეთები მაინც.

ამ საქმის ინიციატივა უნდა იკისროს სოფლის საბჭოებმა და მასწავლებლობამ.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ უკვე არსებული ქოხ-სამკითხველო ვერ არის სათანადოდ მოწყობილი, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს.

იქაური.

თავასის თემი, შორაპნის მაზრა

ტყეებს გაუფრთხილდით

ჩვენი თემის ფერდობი ადგილები დაფარულია წვრილი ტყით, მაგრამ რა გამოვიდა, ზოგი ახოებად იღებს ამ ბუჩქნარს და ძირფესვიანად სპობს ტყეს, ზოგიც უთავბოლოდ სჩეხს და ზოგი ქურდულად სჭრის მეზობლის ტყეში. ყველა სცდილობს მეტი ხის მასალა იგდოს და ტყის მოვლა-მოშენებაზე არავინ ზრუნავს.

თუ ასე გაგრძელდა, რამოდენიმე წლის შემდეგ ჩვენ თემში ტყე სულ მოისპობა, რაც დიდ ზიანს მოუტანს გლეხობას.

ტყის მოვლა-მოშენებას თემის საბჭომ და აღმასკომმა ყურადღება უნდა მიაქციოს. საჭიროა ერთგვარი გამაფრთხილებელი ზომების შემოღება. გლეხებს უნდა აეკრძალოს ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებში უწესრიგოდ ახოების აღება და გაჩეხვა. ამისთვის საჭირო იქნება მეთვალყურე, რომლის ხელფასსაც სიამოვნებით გაიღებენ ტყის მეპატრონეები.

პლატონ ცინაძე.

—:—

სოფლის ქრონიკა

— **არტელი.** სოფ. შემოქმედში (გურია) დაარსდა გლეხთა სას.-სამ. არტელი.

— **ტყეები.** გორის მაზრაში გლეხობას გადაეცა 32.000 დესეტინა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები.

— **ქაღალდის ქარხნის ადგილის ამორჩევა.** კომისიამ ინჟ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით და პროფ. რადენის მონაწილეობით საბოლოოდ აირჩია ადგილი ქაღალდის ქარხნისათვის სადგურ ჯოლევჯიანსა და ქ. ზუგდიდს შორის.

მუშათა ცხოვრება

მიზანშეუწონელი მუშაობა

(წერილი წნორის წყალიდან)

სად. წნორის წყალის ხე-ტყის დამამუშავებელი ქარხნის უკეთესად მოსაწყობად, გასული წლის ოქტომბერში ჩამოვიდა ინჟენერი დავიდოვსკი, რომელიც თვე ნახევარი დარჩა წნორის წყალზე, რა გააკეთა ინჟენერ დავიდოვსკიმ ამ ხნის განმავლობაში ქარხნის საკეთილდღეოდ? მან ნედლი მასალის საწყობიდან ქარხანამდე გაიყვანა 30 საჟ. ვიწრო ლიანდაგიანი რკინის-გზა, რომლითაც მისი აზრით ნედლი მასალა ვაგონეტკებით უნდა გადატანილიყო ქარხანაში, მაგრამ შრომამ და მასზე გაწეულ ხარჯმა ფუჭად ჩაიარა. ქარხანა ვერ სარგებლობს ამ გზით, რადგან იგი საჟენზე ათი ვერშოკით არის მაღლა აწეული. მარჯვენით და მარცხნით გზას აქვს ხეების დასაწყობი ბაქნები, რომლებზეც დავიდოვსკის განკარგულებით 20 ვერშოკიანი მორები აწყვია ისე, რომ შეუძლებელია ვაგონეტკის მიყენება და მასალით დატვირთვა. გარდა ამისა საწყობიდან გზა იმდენად დაქანებულია, რომ ყოვლად შეუძლებელია ვაგონეტკებით მასალის ჩამოტანა. სულ ადვილად შეიძლება მოხდეს კატასტროფა და იმსხვერპლოს რამოდენიმე მუშა.

ასეთივე წინდაუხედავად შეასრულა ინჟ. დავიდოვსკიმ ქარხნის ერთ-ერთი ნაწილის ნახაზი, რომლის მიხედვითაც მასალა დაამზადა მთავარ სახელოსნომ, მაგრამ იგი არ გამოადგა მანქანას. მასალის დამზადება კი დაჯდა 55 მანეთი. ამას გარდა დავიდოვსკიმ გადაიღო ქარხნის ინვენტარის ნახაზი, რაშიაც ალბათ აიღო გასამრჯელო, მაგრამ დღეს ხელმეორედ გამოგზავნეს ტეხნიკი ახობაძე, რომელსაც დავალებული აქვს აიღოს ქარხნის ინვენტარის ნახაზი. სამისოდ ტეხნიკი ახობაძე მიიღებს განსაზღვრულ ჯილდოს და მივლინების ხარჯებსაც.

ამრიგად ინჟ. დავიდოვსკიმ თავისი უგეგმო და მიზანშეუწონელი მუშაობით რკინის-გზას აუარებელი ზარალი მიაყენა.

სატყეო განყოფილებამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

ბოდბელი.

თბ. საყუდის მუშები სოფლად

6 ნოემბერს, თბილისის საყუდის შეფები გაემგზავრენ თავის საშეფო სოფელ ვაყაში ოქტომბრის დღესასწაულის ჩასატარებლად. დღის პირველ საათზე შეფები იყვნენ გომში, გომას აღმასკომს მოწვეული ყავდა მთელი გლეხობა საზეიმო მიტინგზე, რომელსაც დაესწრო ყველა დარგის ორგანიზაციების წარმომადგენლები. საყუდის შეფებიდან მუშების სახელით მიტინგს მიესალმა ამხ. უმბრიევი და ლენინის რაიონის მშრომელ ქალების სახელით ამხ. ნ. გვრიტიშვილი.

შემდეგ შეფები გაემართენ სოფელ ვაყისაკენ. სოფელში შეფები შეეგებნენ ზურნით და ზეიმით. მაგრამ სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებს ძალიან ნაკლებად უმუშავია, გლეხების საზეიმო მომზადებისათვის. ამიტომ შეფებს გლეხები მოუმზადებელი შეხვდნენ.

4 საათზე გლეხობა შეიკრიბა კლუბთან, სადაც გაიმართა მიტინგი. მიტინგი გახსნა თემკომის მდივანმა. მოხსენებით გამოვიდენ ამხ. უმბრიევი და ნ. გვრიტიშვილი, რომლებმაც გლეხებს განუმარტეს ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა და ჩვენი მიღწევები ათი წლის განმავლობაში. მიტინგს ზეიმის ხასიათი მიეცა. შეფებმა მიუტანეს სკოლის მოწაფეებს საჩუქრად რვეულები, კალმები და ჟურნალები. შეფბიუროს თავმჯდომარე ამხ. დევაძე ესალმება გლეხებს და აცხადებს, რომ ოქტომბრის რევოლიუციის დღის ათი წლის თავის აღსანიშნავად დღეიდან სოფელში იხსნება გლეხი ქალებისათვის ჭრა-კერვის სკოლა, რისთვისაც ხელსაწყოები პირველად დაწყებისათვის უკვე მოტანილი იყო. მსურველების ჩაწერა დაევალა ადგილობრივ მასწავლებლებს, მხოლოდ ბინის მოგვარება თემკომს.

მიტინგის შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში და წარმოდგენა, მაგრამ კლუბის დარბაზის სიპატარავის გამო შეუძლებელი შეიქნა პიესის ჩატარება და პირველ მოქმედებიდანვე მოიხსნა იგი.

საერთოდ გლეხები კმაყოფილი დარჩენ თავიანთი საყვარელი სტუმრების საქმიანობით.

მოწმე.

რა დავაშავეთ ასეთი!

ასეთი სასჯელი ღმერთმა თქვენ მტერს ნუ მიაყენოს. კატორღა და ციმბირი ამასთან მოგონებაა. იქნებ არ გჯერათ! კეთილ ინებეთ და დარწმუნდით ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში.

დღე-დღეს მისდევს, კვირა-კვირას, თვე-თვეს და ტრიბუნალის ქუჩის დასაწყისში მცხოვრებთ, ნამეტურ სახ. № 5, 7, 6 მდგმურებს ფანჯრებისა და კარების გაღება ვერ მოგვიხერხებია, ვერც დღით და ვერც ღამით. მიზეზი? მიზეზი ის გახლავთ, სიბინძურის სადენი მილი გამსკდარია და მის შეკეთებას საშველი არ დაადგა. ჰაერი საშინელი სუნითაა მოწამლული, სიმყრალე გვახრჩობს, სული გვეგუდება, შემბრალე კი არავინაა.

ნეტა, რა დავაშავეთ ასეთი! ეს იცის ქალაქის საკანალიზაციო განყოფილებამ, მაგრამ თითს არ ანძრევს ამ საქმის მოსაგვარებლათ.

საკვირველია—სანიტარული განყოფილება რატომ მაინც არ ამოიღებს ხმას!

ჯოხი.

ამხ. ნ. შათირიშვილის ხსოვნას

სად. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა რიგს გამოაკლდა ძველი რკინის გზელი ამხ. ნოე შათირიშვილი.

ამხ. ნოე 30 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა რკინის გზის ტრანსპორტს. 1897 წელს მან პირველად დაიწყო სამსახური რკინის გზაზე სადგურის უფროსის თანაშემწის თანამდებობაზე. შემდეგ იგი გადაყვანილ იქნა სადგურის უფროსად: ხაშურში, წიფაში, ნავთლუღში და სხ. სადგურებზე.

1923 წ. ამხ. ნოე გადმოიყვანეს მოძრაობის დარგის მეორე განყოფილების სათადარიგო აგენტად, რომლის მოვალეობასაც ერთგულად და პირნათლად ასრულებდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

ამხ. ნოე საუკეთესო თანამშრომლად ითვლებოდა მოძრაობის დარგში. მან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა საერთოდ რკ. გზელ მუშა-მოსამსახურეებში და კერძოდ კი მოძრაობის დარგში.

მოძრაობის დარგის მუშები მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. ნოე შათირიშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო.

ი. ჯ—ლი.

საყურადღებო წვრილმანი

გაგვიხსენით „ზაკტპო"-ს ფარდულა

(სად. იანეთი)

სად. იანეთსა და კოპიტნარში არ არის „ზაკტპო"-ს პურის საცხობი და წვრილმანით სავაჭრო ფარდული, რის გამო ადგილობრივ 400-მდე მუშა-მოსამსახურენი იძულებული ხდებიან სანოვაგე კერძო ვაჭრებთან შეიძინონ და ფასი ერთი-ორად გადაიხადონ.

საჭიროა „ზაკტპო"-ს გამგეობამ ამ სადგურებზე გახსნას ფარდულები, რომელიც დაიხსნის მუშებს კერძო ვაჭრების ბრჭყალებიდან.

მუშა ი. ფხაკაძე.

მოსთხოვეთ პასუხი

შტაბის ქ. № 2 სახლი გადავიდა წყალთა სამმართველოს განკარგულებაში. ამიტომ მოქ. სოხაცკიმ მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურის განკარგულებით მათ ჯერ ბინა უნდა აღმოეჩინათ და შემდეგ გამოსახლებოდათ დანიშნულ სახლიდან, მაინც ძალით გამოასახლა მდგმურები და ნესტიან ოთახებში გადაიყვანა, რის გამო ისინი ციებით დაავადმყოფდენ.

წყალთა სამმართველომ პასუხი უნდა მოსთხოვოს სოხაცკის ასეთ თვითმოქმედების გამო და მცხოვრებლებს აღმოუჩინოს შესაფერი ბინა.

დ. ურჭმაზიშვილი.

გარყვნილების ბუდე

ხუდადოვისა და მაგისტრალის ქუჩის კუთხეში სცხოვრობენ ბარბარე ანტონის ასული, გალინა მალაქიას ქვრივი და კატო თუთარაული, ამ ქალბატონებს გარყვნილების ბუდეთ აქვთ გადაქცეული ეს სახლი. ისინი ლანძღვა-გინებით იკლებენ მდგმურებს და ღამის 2-3 საათამდე აქვთ ყვირილი ქეიფი თავიანთ წუთიერ სტუმრებთან ერთად და არიან ერთ ამბავში.

მე-11 უბნის მილიციამ უნდა მოსპოს ეს გარყვნილების „სამეული".

ხელს აწერს 21 მდგმური.

გუმბრის ფლორიდინი

15 ნოემბერს სამთო ინჟენერების საერთო კრებაზე, რომელიც შესდგა საინჟენერო-სატეხნიკო ძალთა ბიუროსთან, მოხსენება გააკეთა პრ. ა. თვალჭრელიძემ მის მიერ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში ნაპოვნ ფლორიდინის ნიმუშების გამოცდის შედეგების შესახებ.

ფლორიდინი განსაკუთრებული თვისების თიხაა, რომელსაც ხმარობენ ნავთისა და ნავთის სხვა პროდუქტების საწმენდათ. ფლორიდინის დიდი მარაგი მოიპოვება ჩრდილოეთ ამერიკაში, საიდანაც ეს თიხა ყოველწლიურად შემოაქვთ საბჭოთა კავშირში თითქმის 1 მილიონი მანეთის ღირებულების.

მომხსენებელმა განმარტა, რომ იგი 15 წელიწადია აწარმოებს აღნიშნული თიხის გამოკვლევას საქართველოში.

მომხსენებლის სიტყვით, წინად სადაო საკითხად იყო მიჩნეული საქართველოს თუ რომელი რაიონის ფლორიდინი იყო უფრო კარგი და გამოსადეგი. პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ სოფ. გუმბრში (ქუთაისის მახლობლათაა) ნაპოვნი ფლორიდინი იძლევა საუკეთესოდ დაწმენდილ ნავთს და ნავთის სხვა პროდუქტებს. ფლორიდინის გამოცდის მიზნით, მომხსენებელს ბაქოში და ბათომში ჩაუტარებია მთელი რიგი ცდები და საბოლოოთ დარწმუნებულა, რომ გუმბრის ფლორიდინი არა თუ შეეფერება ამერიკულ ფლორიდინს, არამედ ზოგიერთ შემთხვევებში ბევრადაც სჯობნის.

მოხსენების დასრულების შემდეგ სხდომაზე გამოთქმულ იქნა სურვილი, რომ დაუყოვნებლივ იქნეს დაწყებული საექსპლოატაციო სამუშაოები სოფ. გუმბრში და შესწყდეს ამერიკიდან ფლორიდინის იმპორტი, ვინაიდან საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება სავსებით შეიძლება დაკმაყოფილდეს გუმბრში დამუშავებული ფლორიდინით.

რიონჰესის სამუშაოები

რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამმართველოში მიღებული ცნობებით, ამჟამად უკვე დაწყებულია მუშაობა დროებითი ძრავებიანი ელექტრო-სადგურის ასაგებად. სადგურისათვის საჭირო ყველა მანქანები და მოწყობილობები ნაწილობრივ უკვე მიღებულია ადგილობრივ, ხოლო ნაწილს მოელიან ამ დღეებში.

მიუხედავად იმისა, რომ ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო პროექტი ჯერ-ჯერობით კიდევ არაა დამტკიცებული უმაღლესი საკავშირო ორგანოების მიერ, სადგურის საამშენებლო წინასწარი სამზადისი მაინც გაცხოველებით [illegible]. საამშენებლო პროექტის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად სამუშაოთა სამმართველოს მიერ მოსკოვში მივლინებულია ინჟ. ჩიქოვანი.

ახლო ხანში განზრახულია დიდი მექანიკური სახელოსნოს აგება.

ქაღალდის ქარხანა

ქარხანა აგებული იქნება შამგონში

საბოლოოდ გამოირკვა, რომ ინგურის ქაღალდის ქარხანა აგებული იქნება ზუგდიდის რაიონში შამგონის სახერხი ქარხნის მახლობლად „ჯოლევჯანათ" წოდებულ უბანში. ქაღალდის ქარხნის პროექტის ერთ-ერთი ვარიანტი ითვალისწინებდა ქარხნის აგებას მდ. ინგურის ნაწყვეტებს შორის მდებარე კუნძულზე. ეს ვარიანტი დასაბუთებული იყო იმით, რომ ქარხანაში გადასამუშავებელი ხე-ტყის მასალა უშუალოდ იქნებოდა მიზიდული ქარხანასთან და საჭირო აღარ იქნებოდა მასალის გადასაზიდათ ხარჯების გაწევა. მაგრამ აღნიშნული ვარიანტი უარყოფილ იქნა სხვადასხვა საპატიო მოსაზრებათა გამო.

ქარხნის ასაგებ ახალ ადგილზე უკვე დაწყებულია გეოდეზიური სამუშაოები, რომლის მიზანიცაა ქარხნის სხვადასხვა ნაგებობათათვის საჭირო მიწის ნაკვეთების აგეგმვა და გამზადება. გეოდეზიურ სამუშაოთა დასრულების შემდეგ დაწყებულ იქნება ქარხნის ასაგები მასალის მოზიდვა.

ქარხნის აგება უნდა დამთავრდეს სამი წლის განმავლობაში; ქარხანა დაჯდება არა უმეტეს 10 მილიონი მანეთისა. ყოველწლიურად ქარხანა გადამუშავებს 1.000.000 ფუთ სხვადასხვა ხარისხის ქაღალდს.

ქარხნის აშენების უშუალო ხელმძღვანელობის გასაწევად შემდგარია ქაღალდის ქარხნის საამშენებლო კომიტეტი.

ტრაქტორები

„ზაკსელმაშ"-ში მიღებული ცნობებით, გლეხობის მოთხოვნილება ტრაქტორებსა და სხვა რთულ მანქანებზე თანდათან იზრდება. დაკვეთების მიხედვით მიმდინარე წელს ამიერ-კავკასიაში შემოტანილ იქნა 223 ტრაქტორი.

ასეთივე სურათია სხვა რთულ მანქანების მიმართაც.

აღსანიშნავია, რომ უმოქმედო მანქანების პროცენტი თანდათან მცირდება, რაიც აიხსნება ტრაქტორისტების და მექანიკოსების მომზადებით ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებში დაარსებულ სპეციალურ კურსებზე.

ტრაქტორმა უდიდესი მნიშვნელობა მიიღო ბამბის მეურნეობაში. განსაკუთრებით ავტორიტეტი მან მოიპოვა აზერბეიჯანის მებამბეებს შორის. წელს აზერბეიჯანელ გლეხებს დაურიგდათ 125 ტრაქტორი.

ტრაქტორებზე დიდი მოთხოვნილებაა სომხეთშიც, განსაკუთრებით იმ რაიონში, სადაც მუშა-საქონლის სიმცირეა.

რაც შეეხება საქართველოს, აქ ტრაქტორები ფართოდაა გავრცელებული. საქართველოში მიმდინარე წელს გლეხებზე განაწილებული იქნა 56 ტრაქტორი.

საავიაციო სკოლა

ამჟამად ამ.-კავკ. თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოება აწარმოებს ავიაციის სამხედრო-თეორეტიულ სკოლაში შესვლის მსურველთა მორიგ შერჩევას. უკვე მუშაობს სპეციალური საექიმო კომისია, რომელიც იკვლევს კანდიდატების ჯანმრთელობას.

სკოლაში შესასვლელ განცხადებების მიღების უკანასკნელ დროდ დანიშნულია 19 ნოემბერი. სკოლაში შესვლისათვის საჭიროა არა ნაკლებ შვიდწლედის განათლება და კარგი ჯანმრთელობა.

სკოლაში შესვლის მსურველმა განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს სპეციალური მივლინების საბუთი პარტიულ, კომკავშირის, პროფკავშირის ან თავდაცვა - ავიაქიმის ორგანოებიდან. გარდა ამისა უპარტიოებმა უნდა წარადგინონ ორი პარტიული ამხანაგის მიერ ხელმოწერილი რეკომენდაცია.

სულ ამიერ - კავკასიას სკოლაში დათმობილი აქვს 44 ადგილი, რომელიც რესპუბლიკებზე ნაწილდება ასე: საქართველოს — 14, აზერბეიჯანს—17 და სომხეთს—13.

საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტი

საქართველოს სახალხო კ[illegible]თა საბჭომ განიხილა და ამტკიცა საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტი სამემოსავლო ნაწილში 39,552059 მანეთის და საგასავლოში 47.365.117 მანეთის რაოდენობით. ამგვარად დეფიციტი შეადგენს 7.812.553 მანეთს, აქედან პირველი და მეორე სარტყელის მასწავლებლების შესანახად დანიშნულია 4.100.000 მანეთი, საერთო დოტაციისათვის 3.210.558 მანეთი და 502.000 მანეთი საკომპენსაციო ქალაქ ფოთის, ჭიათურის და ჭიათურის საავადმყოფოს.

ვინაიდან დეფიციტიანი ადგილობრივი ბიუჯეტის მქონე მაზრებს უდეფიციტო ბიუჯეტზე გადასვლა შეუძლიათ მხოლოდ მას შემდეგ, როცა განხორციელებული იქნება ღონისძიებები ადგილობრივი მნიშვნელობის რენტაბელურ წარმოებათა მოსაწყობათ, სახ. კომ. საბჭომ დაამტკიცა ადგილობრივი მრეწველობის საჭიროებისათვის გადაიდოს კიდევ დამატებით 824.000 მანეთი; ამ თანხიდან 522.000 მანეთი უნდა გამოიყოს ადგილობრივი საშუალებიდან, ხოლო 302.000 მან. უნდა გადაიდოს საერთო სახელმწიფო თანხებიდან, რის შესახებაც აღძრული იქნება სათანადო შუამდგომლობა.

სახალხო კომისართა საბჭომ სცნო, რომ დირექტივა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების შესახებ სავსებით შესრულებულია, ადმინისტრატიულ სამეურნეო აპარატის შესანახად საჭირო ხარჯები შემცირებულია 765.204 მანეთით ე. ი. 19,3 პროცენტით.

სახალხო კომისართა საბჭომ, რომელიც მიზანშეწონილად სცნობს მეურნეობის გამგეობისა და მმართველობის დეცენტრალიზაციას, შეუძლებლად და მიზანშეუწონლად აღიარა ადგილობრივი საგზაო მშენებლობის ცენტრალიზაცია.

ვინაიდან 1927—28 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყენებული შემოსავლის ყველა წყაროები და ადგილობრივ ბიუჯეტისათვის გაღებული დამატებითი ასიგნობანი, სახკომსაბჭომ დაადგინა აუკრძალოს ადგილებს და სახალხო კომისარიატებს დამატებითი თანხების გამოთხოვა შემოსავლის რეალური წყაროების დაუსახელებლად.

თანახმად ამ დადგენილებისა აკრძალულია ადგილებისათვის უკომპენსაციოდ ახალი ხარჯების გაღების უფლების მიცემა საბიუჯეტო წლის შუაგულში.

ყველა სამაზრო აღმასკომებს და ავტონომიურ რესპუბლიკის ცაკებს წინადადება ეძლევა მტკიცედ დაიცვან საბიუჯეტო დისციპლინა და თანხების ხარჯვა აწარმოონ მხოლოდ იმ საჭიროებისათვის, რომელიც ხარჯთაღრიცხვით არის გათვალისწინებული.

უცხოეთის მუშათა დელეგაციები საქართველოში

ინგლისის, ამერიკის და ირლანდიის მუშათა დელეგაციები

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ცნობა, რომ ამ დღეებში მოსკოვიდან თბილისში ჩამოვა ინგლისის, ამერიკის და ირლანდიის მუშათა დელეგაციების ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფშია 44 დელეგატი 4 მხლებელით, ხოლო მეორეში 44 დელეგატი და 5 მხლებელი.

ჩეხო - სლოვაკიის მუშათა დელეგაცია

დღეს, ნოემბრის 17-ს, მოსკოვიდან სასწრაფო მატარებლით თბილისში გამოემგზავრება ჩეხო - სლოვაკიის მუშათა დელეგაცია 16 კაცის შემადგენლობით.

შვიდი საათის სამუშაო დღე

საუბარი ა.-კ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. იაკუბოვთან

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ როგორ გატარდება ცხოვრებაში შვიდი საათის სამუშაო დღე, ამ.-კავკ. პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ს. იაკუბოვმა განაცხადა შემდეგი:

საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის საიუბილეო სესიის დადგენილება შვიდი საათის სამუშაო დღეზე თანდათანობით გადასვლის შესახებ მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ჩვენი წარმოების რაციონალიზაციას.

კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების რაციონალიზაცია ტარდება მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერების ხარჯზე, ხოლო საბჭოთა სახელმწიფოში რაციონალიზაცია, წარმოების განვითარებასთან ერთად აუმჯობესებს მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრებით და მატერიალურ მდგომარეობას. ამაში მდგომარეობს კიდევ ერთი განსხვავება წარმოების რაციონალიზაციაში ჩვენსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.

საკავშირო ცაკის დადგენილება ნათლად მიგვითითებს, რომ შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლამ არ უნდა გამოიწვიოს მუშათა ხელფასის შემცირება.

შვიდი საათის სამუშაო დღე პირველ რიგში უნდა გატარდეს იმ წარმოებებში, სადაც მუშაობა განსაკუთრებით მძიმე და მავნებელია მუშათა ჯანმრთელობისათვის.

ცხადია, სამუშაო დღის შემცირება მოითხოვს საწარმოოს ტეხნიკურ მოწყობილობის გაუმჯობესებას. შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა არც ისე ადვილია, როგორც ეს გვეჩვენება. ამ მხრივ საჭიროა სერიოზული მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება. მრეწველობის მმართველ, დამგეგმავ და პროფკავშირთა ორგანოებმა, პირველ ყოვლისა, ჯერ სანამ გადავიდოდენ შვიდი საათის სამუშაო დღეზე ამა თუ იმ წარმოება - დაწესებულებებში, აუჩქარებლივ უნდა განსაჯონ და გაითვალისწინონ ყოველივე.

გარდა ამისა ვიტყვი ამას, რომ შვიდი საათის სამუშაო დღე აგრეთვე ხელს შეუწყობს უმუშევრობის სიმწვავის შერბილებას.

მეტყავეთა ყრილობა

გუშინ, დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა კავშირის მდივნის ე. მოსესოვის მოხსენება— უმუშევრობისა და მასთან ბრძოლის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოში ეხლა უმუშევარ მეტყავეთა რიცხვი უდრის 598. ამათთაგან 380 უმუშევარი არის თბილისში.

საერთოდ წინა წლებთან შედარებით თბილისში საგრძნობლად შემცირდა უმუშევართა რიცხვი.

ამ ბოლო დროს უმუშევართა რიცხვი გაიზარდა ბათომში, რაიც გამოიწვია კერძო ტყავის ქარხნების და ხელოსანთა საჩექმე სახელოსნოების დახურვამ.

მომხსენებლის სიტყვით, ცენტრალურმა გამგეობამ მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რამაც გამოიწვია თბილისში უმუშევრობის შემცირება.

მომავალში განზრახულია უმუშევართა მთელ რიგ კოლექტივების მოწყობა.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა აგრეთვე უმუშევართა შორის წარმოებულ კულტურულ მუშაობას.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

ორატორები იწონებდენ კავშირის გამგეობის მიერ უმუშევრობის შესანელებლად გადადგმულ ნაბიჯებს.

კამათში მონაწილე პირები მოითხოვდენ კულტურულ მუშაობის გაძლიერებას უმუშევართა შორის და საჭიროთ სცნობდენ ზოგიერთ დეფექტების გამოსწორებას.

შემდეგ ყრილობამ მოხსენებების გარშემო მიიღო სათანადო რეზოლიუციები.

ცენტრალურ გამგეობის მუშაობა ყრილობამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

ახალ გამგეობაში ყრილობამ აირჩია 21 წევრი და 6 კანდიდატი.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს 5 კაცი.

სრულიად საკავშირო მე-8-ე ყრილობაზე დასასწრებლად ყრილობამ აირჩია ლ. ენუქიძე, კვერცხლიშვილი, კახიანი და ლოსაბერიძე.

ყრილობის დახურვის წინ სიტყვა წარმოსთქვა ლ. ენუქიძემ. მან აღნიშნა ყრილობის ნაყოფიერი მუშაობა და უსურვა ახალ გამგეობას დაკისრებულ მოვალეობის პირნათლად შესრულება.

საღამოს 5 საათზე ყრილობა დაიხურა.

ქრონიკა

კრედიტები მუშა - მოსამსახურეებს

საქართველოს პროფსაბჭომ დაადგინა კრედიტები გაუხსნას საქონლით იმ მუშა - მოსამსახურეებს, რომლებიც თვეში იღებენ 120 მანეთამდე; კრედიტები მიეცემა აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებების მოსამსახურეებს.

კრედიტის ვადათ დაწესებულია ოთხი თვე.

მანქანები ღარიბებს გლეხებს

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში შესდგა განსაკუთრებული თათბირი, რომელმაც განიხილა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების განაწილების საკითხი ღარიბ გლეხებს შორის. თათბირმა გადასწყვიტა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის აღსანიშნავად უღარიბეს გლეხებისათვის შემდგარ ამხანაგობებს დაურიგოს 12 ახალი ტიპის გუთანი და 12 ვერმორელი. ეს მანქანები გადაეცა მიწსახკომს დანიშნულებისამებრ გასანაწილებლად.

საკავშირო მეტეოროლოგიური თათბირი

მიწსახკომის ცნობით, 22 ნოემბერს ლენინგრადში გაიხსნება საკავშირო თათბირი მეტეოროლოგიის შესახებ. თათბირზე დაესწრებიან საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკების მიწსახკომებისა და გეოფიზიკურ სადგურების წარმომადგენლები. საქ. მიწსახკომმა და გეოფიზიკურმა სადგურმა უკვე გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები.

სრ. საქართველოს ექიმთა ყრილობა

დეკემბრის შუა რიცხვებში თბილისში შესდგება სრულიად საქართველოს ექიმთა ყრილობა. ყრილობას დაესწრებიან ექიმები მაზრებიდან და ავტონომიურ რესპუბლიკებიდან. ყრილობა განიხილავს შემდეგ საკითხებს: მედსანშრომის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობის მუშაობა, ექიმთა სექციის ცენტრალურ ბიუროს მოხსენება, მოხსენება ექიმთა შორის კულტურულ მუშაობის შესახებ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მოხსენება, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.

მეტეოროლოგიური სადგურები

საქართველოს გეოფიზიკურმა ობსერვატორიამ გადასწყვიტა გააფართოოს ამინდის გამომკვლევ სადგურების ქსელი. ახალი სადგურები უმთავრესად მოეწყობა ისეთ რაიონებში, სადაც უფრო განვითარებულია სასოფლო-მეურნეობა. გუშინ, გეოფიზიკურ ობსერვატორიის დავალებით გორის მაზრაში გაემგზავრა ინჟენერი ქურდიანი მეტეოროლოგიური სადგურისათვის შესაფერი ადგილის ამოსარჩევად. გეოფიზიკურ ობსერვატორიის აზრით, სადგური მოეწყობა მერეთში ან ტყვიავში. ამას გარდა წელს ობსერვატორია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გახსნის 4 მეტეოროლოგიურ სადგურს.

თბილ[illegible] მაუდის ფაბრიკა

ახალმშენებათა კომიტეტის ცნობით, მომავალი ზაფხულისათვის განზრახულია დასრულდეს თბ. მაუდის ფაბრიკის ყველა შენობათა საამშენებლო სამუშაოები.

ქარხნისათვის საჭირო ყველა მოწყობილობების მიღება დასრულდება მომავალ ზამთარში.

ქარხნების გაერთიანება

ს. მ. უ. ს. საგეგმო-სამრეწველო განყოფილებამ შეიმუშავა ლითონტრესტის ქვემდებარე 26 კომუნართა სახელობის და ამხ. კალინინის სახელობის ქარხნების გაერთიანების გეგმა. გაერთიანებული ქარხანა აგებულ იქნება დიდუბეში.

ახალი სამკურნალო დაწესებულებები

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა თელავიდან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე თელავში საფუძველი ჩაეყარა სამაზრო საავადმყოფოს და აბრეშუმის სახვევ ქარხნის მუშებისათვის ამბულატორიის შენობებს. ამავე დღეს სოფ. შილდაში გაიხსნა წითელი ჯვარის თელავის განყოფილების საექიმო პუნქტი.

საექიმო დახმარება ტყიბულში

საქართველოს პროფსაბჭომ მიიღო ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წინადადება, რომლის თანახმად საექიმო დახმარების გაუმჯობესების მიზნით განზრახულია ახალი საავადმყოფოს მოწყობა სკოლის შენობაში.

კოქსი ტყვარჩელ[illegible]

„იუგო-სტალის" სამმართველო აცნობებს ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავების კომისიას, რომ ქერჩის ლითონის ქარხანაში ჩატარდა ცდები კოქსის დასამზადებლად ტყვარჩელის ქვანახშირიდან. ცდებმა კარგი შედეგი გამოიღო, მიღებულია საუკეთესო ქარხნის კოქსი.

თამბაქო და ძაგარი

ამიერ - კავკასიის კოოპერატიულმა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა ნება მიეცეს მას გაიტანოს საზღვარგარეთ 10.000 ფუთი აფხაზური თამბაქო და 100.000 ფუთი ძაგარი.

2500 დეს. მიწა პლანტაციებისათვის

ს. მ. უ. ს. სამრეწველო-საგეგმო განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა გორის მაზრაში გამოყოფილი იქნეს 2500 დეს. მიწის ნაკვეთი შაქრის ჭარხლის პლანტაციების გასაშენებლად.

თბილისის აღმასკომში

◆ **ტრამვაის ახალი ხაზები.** ტრამვაის დირექციას დაევალა შეადგინოს გეგმა ტრამვაის ახალი ხაზების გასაყვანად უახლოეს 5 წლის განმავლობაში.

◆ **წყალსადენი ფუნიკულიორზე.** კომუნალურ მეურნეობას დაევალა ფუნიკულიორზე გაიყვანოს წყალსადენის მილები.

◆ **ზოოლოგიური ბაღი.** კეთილმოწყობის განყოფილებამ გადასწყვიტა ზოოლოგიურ ბაღისათვის ვერის ბაღებს შემოუერთოს ვერის ბორანთან მტკვარში მდებარე კუნძული.

◆ **საჩვენებელი სოფელი.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა თბ. მაზრაში მოაწყოს ერთი საჩვენებელი სოფელი, გეგმაზე აშენებული სახლებით, ქუჩებით, კლუბით, წყალსადენით და სხ.

◆ **ბაღი ნაძალადევში.** კეთილმოწყობის განყოფილება მომავალ წლიდან ნაძალადევში გააშენებს ბაღს.

◆ **უმუშევართა თავშესაფარის** აგება დამთავრდება მომავალი წლის იანვრისათვის.

მიწსახკომში

◆ **თესლის წამლობა.** მიწსახკომმა გორის მაზრაში მიავლინა 2 რაზმი სათესლე ხორბლეულის ქიმიური წამლებით გასაწმენდათ.

◆ **საქონლის საჯიში.** მიწსახკომის ხელმძღვანელობით დუშეთში ეწყობა საქონლის ჯიშის გასაუმჯობესებელი ფერმა.

◆ **აგრო-დახმარება.** სოფ. სარვანში (ბორჩალოს მაზრა) გაიხსნა აგრო-დახმარების სადგური.

◆ **მეტეოროლოგიური სადგური.** მიწსახკომმა სოფ. ახმეტაში მოაწყო მეტეოროლოგიური სადგური.

ჯანსახკომში

◆ **საექიმო სადგური.** ლეჩხუმის მაზრაში გაიხსნა 2 ახალი საექიმო სადგური.

◆ **ციებ-ცხელებიანი ადგილები.** ჯანსახკომმა დაადგინა გამოიკვლიოს ციებ-ცხელებიანი ადგილები და აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე გლეხების სხვა საღ ადგილებზე მოწყობის შესახებ.

კრებები და მოხსენებები

◆ **პარასკევს, ნოემბრის 18-ს,** საღ. 7 ს. სახ. უნივერსიტეტის გეოლოგიური კაბინეტის აუდიტორიაში შესდგება გეოლოგიური ინსტიტუტის საჯარო სხდომა. მოხსენებანი: ქორიოლიზე ექსკურსიის ანგარიში. ა. თვალჭრელაძე: სიენიტის მასივის ჰეგმატიტის ძარღვები ვაკიჯვართან (გურია).

— **დამცველთა კოლეგიის წევრთა კრება.** კვირას, 20 ნოემბერს, დილის 10 საათზე დანიშნულია საქართველოს უზენაეს სასამართლოსთან არსებულ დამცველთა კოლეგიის ახალ შემადგენლობის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგშია: პრეზიდიუმის არჩევნები.

— **მშენებელთა პლენუმი.** კვირას, 20 ნოემბერს, დილის 10 საათზე აღმშენებელთა კავშირის საქალაქო კლუბის დარბაზში (ყოფ. ავლაბრის მუშათა კლუბი — კახეთის მოედანი 1) შესდგება კავშირის ცენტრალურ გამგეობას მორიგი რესპუბლიკანური პლენუმი.

ჩაუბარებელი დეპეშები

ზაქათალიდან —კურუშვილს, მუხრანიდან—მეჯანიშვილს, კისლოვოდსკიდან—მელქუმოვს, ბერიდან—ნავერიანს, სტეფანოკერტიდან—ბალფოიანს, აბასთუმნიდან—მაიკინს, ბაქოდან—ჩიხლაძეს, ტაბაუზიდან—კოლოტინს, კავკავიდან—იანიშევს, ქუთაისიდან—ხეცურიანს, ბაქოდან გავაშელს, ბაქოდან დანელოვს, ბაქოდან ბერიძეს, გორიდან—ქურთნიშვილს, ლენინგრადიდან—ბოლუხანოვს.

შემთხვევები

რეციდივისტის შეპყრობა

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტი მარტიროს კარაპეტოვი. მას აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7, ლ. ნადარეიშვილთან.

23 რეგისტრაცია

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ჯიბგირი კარაპეტ გეურქოვი. იგი თბილისში სცხოვრობდა სერტალ საკოვის გვარით.

გეურქოვს აქვს ჯიბგირობისა და ქურდობის 23 რეგისტრაცია.

„გასტროლიორი"

ალექსანდრე ივანოვი კრასნოდარიდან ჩამოვიდა თბილისში „საგასტროლოთ". იგი ეწეოდა ბინების გაქურდვას;.

გუშინ ივანოვი დააპატიმრა სისხლის სამართლის მილიციის აგენტებმა. ის გამოტყდა დანაშაულში.

ნაპოვნი ნივთები

ნაპოვნია და სისხ. სამ. მილიციაში ინახება 11 ცალი ცხენის აფშარები და სახლის სათბობლ. მანქანის ნაწილი, 15 გირ. ცინკის ფესტი და 2 ცალი ტომარა.

ნეკრასოვის ქუჩა № 10 თავისუფალ დარბაზში ნაპოვნი იქნა ჩემოდანი საცვლებით და სხვა დასხვა ტანისამოსით. პატრონს შეუძლია მიმართოს ნივთების მისაღებად სისხ. სამ. მილიციის სამძებრო ქვეგანყოფილების საერ; ბიუროს ოთახი № 13.

◆ **ტრამვაის ვაგონში** ვერის დაღმართზე აბგარ ედიგაროვს ამოაცალეს 140 მანეთი.

◆ **შეპყრობა.** 15 ნოემ. ქურდობისათვის შეიპყრეს ალექსანდრე დავითის ძე კოსტაკოვი.

◆ **თბ. აღმასკომის იურიდიულ ნაწილში** მარიამ კაბალოვს სამსახურის დროს მოპარეს რედიკული ფულით და სხვადასხვა საბუთებით.

◆ **სახელოსნოს გაქურდვა.** 15 ნოემ. რუსის ქ. № 2 გაქურდეს სერგო რაჭველიშვილის ფეხსაცმელების სახელოსნო. წაღებულ ნივთების რაოდენობა გამოურკვეველია.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** 15 ნოემ. რეუტოვის ქ. № 20 გაქურდეს ივანე ილარიონოვის ბინა.

◆ **მუშკოოპის მაღაზიაში** (საბაუს ქ. № 6) რაფაელ ხაფავას ამოაცალეს 222 მანეთი.

◆ **სავაჭროს გაქურდვისათვის.** 15 ნოემ. შეიპყრეს ბოროტმოქმედი გრიგორიანი, რომელსაც ბრალდება მოქ. ვარგარიანის სავაჭროს გაქურდვა (სიონის ქ. № 15).

◆ **კედლის გამონგრევის საშუალებით** პლეხ. გამზ. № 28, იაკობ კაბინკის საკანცელარიო ნივთების მაღაზიიდან მოიპარეს 500 მანეთის ნივთები.

◆ **შურისძიების ნიადაგზე** სოფ. თოხლიაურში (საგარეჯოს რაიონი) ევგენი ურგებაძემ ხანჯლით მძიმედ დასჭრა სამსონ ქაჯაია.

◆ **ღვინის სარდაფის გაქურდვა.** 15 ნოემბერს დიდუბის ქ. № 19 გაქურდეს მეტიაშვილის ღვინის სარდაფი. წაიღეს ღვინო და ფულად 165 მანეთი.

◆ **ქურდების შეპყრობა.** 15 ნოემ. აღბულაღის სამილიციო რაიონში შეიპყრეს სამი ბოროტმოქმედი ჭუჭო მაყიშვილი, იოსებ მაყიშვილი და ნერსეს ნერსესოვი.

გზა დაულოცოთ

ოპოზიციამ უკვე გადააბიჯა პარტიის ზღუდეს.

წაიშალა მიჯნა ოპოზიციისა და გაშიშვლებული კონტრ-რევოლიუციის შორის.

ამ რამდენიმე კვირის წინათ თუ კიდევ იყო ოდნავი იმედი, რომ ოპოზიცია იქნებ, ვინ იცის, მოახერხებს პირის შებრუნებას და პარტიის საზღვრებში დარჩენასა,—ეხლა ამაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლება.

მათთან კამათი ეხლა სრულებით ფუჭი და უქმათ დროს დაკარგვაა. მით უმეტეს უსარგებლო საქმეა ქართველ უკლონისტ-ოპოზიციონერებთან დავაში გაყოლა.

საჭირო ეს კი არაა, საჭიროა მხოლოდ ის, რომ ჩვენმა პარტიამ ერთხელ კიდევ (და ეს იქნება უკანასკნელი!) გადახედოს ჩვენი ოპოზიციონერების გაკოტრებას, დაინახოს მათი უყვლად უდიერი და უკმეხი საქციელი.

ქართველმა ოპოზიციონერებმა თავისი საქმის დაცვა სევასტი თალაკვაძეს ჩააბარეს (იხ. კომუნისტი № 259). და ჩვენც იძულებული ვართ ამ უბადლო და შეუდარებელი კალმოსნის ნაწარმოებით დავკმაყოფილდეთ.

რას სწერს, რას ამბობს თალაკვაძე?

პირველ ყოვლისა, ბოდიში მკითხველებთან, მთელი ამ წერილის მარგალიტების ამოლაგება შეუძლებელი საქმეა, ამას ერთი კაცი ვერ მოერევა. შევეხები მხოლოდ ზოგიერთებს.

1 საჭიროა თუ არა მართლწერის დაცვა?

იყო დრო, როდესაც საქართველოს კომ. პარტიაში თავი იჩინა ერთმა ჯგუფმა მას სახელათ „უკლონისტები" შარქვეს. მას უკან კარგი ხანი და დრო გავიდა. ცხოვრების გაკვეთილებმა ზოგი მათგანი ჩააყენა სინამდვილეში.

ერთი წყება მობრუნდა და კვლავ ჩადგა პარტიის რიგებში, ერთი ნაწილი კი „ურყევათ" დარჩა ძველ გზაზე.

ეხლა ისინი ხელიერთიერათ „შეჯვლიგინდენ" ოპოზიციაში, ძველათ უკლონისტებს და ეხლა ახალ უკლონისტ-ოპოზიციონერებს მუდამ ენაზე ჰქონდათ და აქვთ დაკერებული

— ქართული ენა გადევნილია საქართველოდან. ქართველებს საქართველოში გასაქანს არ აძლევენო და სხვა.

ამიტომაც იყო, რომ ასეთი სიხარულითა და სიყვარულით უპატრონებდენ საარშიყო თვალს უკლონისტებს ქართველი მენშევიკები.

— ქართული ენა, ქართველობა, ქართული, საქართველო და სხვა.

ვნახოთ რა მშვენიერი ქართული ენის მცოდნეა ოპოზიციონერ-უკლონისტების ლიტერატორი.

აი ნიმუშები:

1) „აღთქმული ქვეყნისაკენ მიგვეწივება"
2) მეტი სახივათო რიყეზე შედგა ეხლა"
3) მან შეუდგა უმაგალითო ქვეყნის შენებას
4) ლენინმა არ შეუშინდა" და სხვ. ასეთი სიტყვა-კაზმულობითაა დამშვენებული თალაკვაძის წერილი.

საქართველოში ქართული ენა სახელმწიფო ენა გახლავთ და შრომის სკოლის მეორე-მესამე ჯგუფის მოწაფემ რომ ასეთ „სუფთა" ქართულით დამწერის, მას ასეთ ქართულს, დარწმუნებული ბრძანდებოდეს ყველა თალაკვაძეები, არ მოუწონებენ.

ოპოზიციონერ ლიტერატორისათვის ალბათ სავალდებულოა ქართულის შესახებ ენის ტარტალი, მაგრამ როგორც ჩანს სრულებით არ ყოფილა სავალდებულო ქართული ენის ცოდნა.

2 „ორი მოპირდაპირე ძალა"

თალაკვაძე რომ თავისას ვერაფერს დასწერდა—ეს ცხადია ან კი ვინ მოელოდა მისგან რაიმე „ახალი სიტყვის" თქმას.

მოსკოვის ოპოზიციონერების მოკვარახჭინებული ქარაგმები სევასტიმ უფრო ღიათ და უბრალოთ დაგვანახვა.

ამას ვაჟკაცობა როდი სჭირდება, საჭიროა მხოლოდ... სიბრიყვე.

სევასტი გვაცნობს, რომ პარტიის „მაღალ წრეში ჩაისახა ორი მოპირდაპირე „ძალა" ოპოზიცია-ოპოზიციის სახით".

გაგვიგონია ვიღაც ამის მსგავსი, მაგრამ სად არის პარტიის ეს „მაღალი წრე"—ამას სევასტი არ გვიმხელს და ჩვენაც აბა საიდან მივხვდეთ?

პარტიის წესდებაში ეს „მაღალი წრე" არსად არის ჩაწერილი, ჩვენ ორგანიზაციულ წყობაში „მაღალი წრე" არავის უნახავს. გვყავს ჩვენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ესაა თუ გნებავთ მაღალი და უმაღლესიც, მაგრამ არა წრე, არამედ ორგანიზაცია.

წრე სხვაა, ორგანიზაცია კიდევ სხვა!

ეს ოპოზიციონერებმა უნდა იცოდენ. ალბათ იციან, მაგრამ ამის გახსენება მათ ხელს არ მისცემს. წრეში რატომაც არ შეიძლება ყოველ ოთხშაბათ-პარასკევს მოიფიქრონ და იკამათონ მაგრამ ორგანიზაციაში და მით უმეტეს ისეთ ორგანიზაციაში როგორიცაა ცენტრალური კომიტეტი, რომ დაუსრულებელ კამათს გადაჰყვეს, რას ემგვანება?

ოპოზიციონერებს უყვართ ნამეტნავათ ლენინის ხსენება. ლენინი კამათის წინააღმდეგი არ ყოფილაო. სევასტიც წაფრენია საბუთებს, ამოუწერია ლენინიდან რამდენიმე ადგილი.

დარბაისლებო, მერე ვინ გედავებათ მაგაში? მართალია, არ ყოფილა—თავის დროზე, და თავის პირობებში. აბა ერთი გაიხსენეთ და მონახეთ ისეთი ადგილი, სადაც ეწეროს, რომ ყოველ დროს, ყოველ პირობებში ლენინი კამათის მომხრე ყოფილიყოს.

ასე უფრო ადვილი და საგულისხმო იქნებოდა თქვენი საბუთები, მაგრამ ამას ვინ ნახავს. რაც არ არის იმის ნახვა შეუძლებელია.

ასეთ „მადანს" თქვენ ლენინის ნაწერებში ვერ აღმოაჩენთ—ასეთ რამეს ლენინი ვერ დასწერდა, არც დაუწერია, თორემ ლენინი ის კი აღარ იქნებოდა, ვინც იყო.

3 „დანჯღრევის" თეორია

არც ეს არის ახალი საგანძური, მაგრამ სევასტი, ისე, როგორც მთელი ქართული ოპოზიცია, თავისებურათ აშალაშინებს ამ სიბრძნეს.

„ეს ამბავი" სევასტის მეტად გაგრძელებია.

ვცდები მის შინაარსის გადმოცემას და შიგა და შიგ თვით სევასტის მივცემ სიტყვას.

იმ „მაღალ წრეში" (შემდეგ ამბობს „მაღალ სფეროებშიო") გაჩენილა თურმე „რყევა" და „დაბნეულობა". შემდეგ, მაგრამ თვით სევასტი ვალაპარაკოთ—ეს ადგილი პირდაპირ პროზით დაწერილი ლექსია „ამან წარმოშვა შემცდარი ნაბიჯები, შემცდარმა ნაბიჯებმა კი მოიტანა ფარყოფითი სავალალო შედეგები. აი პირობები, რომლებმაც მოამზადეს ეს!"

ამ დაბნეულებას ეძებს ქართველი უკლონისტ-ოპოზიციონერების რწმუნებით გამჯერითებული თალაკვაძე ის ამჟამად კითხულობს:

— ვინ დაიბნა, ვინ გამოიჩინა რყევა?

ამის შემდეგ ჩამოლაგებულია წილადობილა იმის შესახებ თუ რა არის პარტია და ხელმძღვანელობა („მაღალი წრე"-ს რომ უძახის, ალბათ?).

იქვეა „ჩიხი" და „კატასტროფა".

ვიღაცას პარტია ჩიხში ჩაუმწყვდევია და კატასტროფის წინ დაუყენებია.

ენას, რომ ძვალი ჰქონდეს ამდენი აბდა-უბდას ერთმანეთზე შეკოწიწება შეუძლებელი იქნებოდა.

ქართველი ოპოზიციონერები იწუნებენ „ხელმძღვანელ ამხანაგების ნაბიჯ-ზომებს".

„არა თუ ლაპარაკი მათ არ ინდომეს და კამათი მასზე მათ არ მოისურვეს ამ ხიფათის უბრალო დანახვაც, მათ არ ინდომეს ენის დაძვრა მოსალოდნელ კატასტროფაზე".

ოსტატურათ სწერს სევასტი, მაგრამ რომ იცოდეს რა ადვილია იმის გაგება, თუ ვის უმიზნებს ის?

„სტალინის ხელიდან დირიჟორის ჯოხის გამოგლეჯაზეა" ლაპარაკი, რასაკვირველია.

თალაკვაძე სულგრძელი ადამიანია, თავის პირით გვიმხელს და გვიხსნის ამოცანას.

თურმე ის—ესე იგი სტალინი, ყოფილა, რომ გამოჩენია „დაბნევა და რყევა". ამის თქმა ადვილია, ცოტა არ იყოს დამტკიცება უფრო ძნელი იქნება. ყოველ შემთხვევაში ამას საბუთი სჭირდება, მაგრამ საიდან გააჩინოს სევასტიმ ეს საბუთი?

აქაურებს არაფერი გააჩნიათ და მოსკოვიდან ვინ გამოუგზავნიდა, როცა აქაც ვერაფერი აღმოაჩინეს ამის დასამტკიცებლად.

ერთი სიტყვით სტალინი შემცდარა, რყევა გამოუჩენია, მაგრამ თურმე ერთი რაღაც ჯოხი შერჩენია ხელში და ამ ჯოხს არ ელევა. მოდი და ნუ გასკდები გულზე. კაცი ფეხზე ვერ ჩერდება, იბნევა და ირყევა, მაგრამ ამ ჯოხს არავის ანებებს.

არა დასტურ ახირებული კაცია ეს სტალინი, მაგრამ სევასტიც ახირებულათ უპირობს მას თავის მოვლას.

„შეიძლება უკეთესი ყოფილიყო, რომ ეს „დანჯღრევა" არ გადატანილიყო პარტიულ მასებში, მაგრამ თუ ეს დანჯღრევა ზევით უკვე ფაქტი შეიქნა? თუ ამ „დანჯღრევას" აქ არ მოეღო ბოლო და მან საშიშარი სახე მიიღო? მაშინ? მაშინ?"

ამ დანჯღრევით აპირობს ფონს გასვლას სევასტი (რაღა მას შეხვდა ასეთი სასახელო საქმე?!)

დიდი შეუბრალებელი კაცი ყოფილა სევასტი, ტყვილა კი არ ჩაუბარებია ჩვენ ოპოზიციას მისთვის ეს საქმე. სტალინი ისედაც ირყევა და იბნევა და ეს კი აღარ ეშვება: დანჯღრევა მოხდა და ჯოხს ხელი გაუშვიო.

ერთხელ თურმე სპილოს ფინია გამოეკიდა

— რა მენაღვლება ვიჭაჭყანებ, სპილო ყურადღებას არ მომაქცევს და მეკი სახელი გამივარდება, გულადი ვეგონები ვინმესო.

მე რა მოგახსენოთ, მიაქცევს თუ არა სტალინი სევასტის მუქარას ყურადღებას—ეს იმან იცის. მაგრამ სევასტის და ყველას, ვინც მას აბრიყვებს, და ისეთ სისულელეს აწერინებს—იმათ მინდა უთხრა, რომ მათი მუქარის შემდეგ სტალინს „გულის გამოსახმანათ" „გამომლოცავი ქალის" გაგზავნა არ დასჭირდებათ, ამაში ისინი დარწმუნებული ბრძანდებოდენ.

ასეთია დანჯღრევის თეორია.

4. ჯიქურ მენშევიკებისაკენ

ამითი რომ თავდებოდეს სევასტი თალაკვაძის წერილი, მაშინ კიდევ არაფერი.

ძილის პირათ წაიკითხავდა ადამიანი, გაიცინებდა და დავიწყებას მისცემდა, მაგრამ სწორეთ ამის შემდეგაა გადმოლაგებული მთელი სიბინძურე და სიდუხჭირე იმ ჭაობის, რომელშიაც ასე გულმოდგინეთ გორაობენ ჩვენი უკლონისტ-ოპოზიციონერები.

თუ იმ პირველ ნაწილში სევასტი და მისი რწმუნებულები მხოლოდ უბადრუკათ იმეორებენ მოსკოვიდან ჩამოტანილ ქაღალდებიდან ამოტანილ სისულელეს, აქ სრულებით ღიათა და აშკარათ სჩანს ქართველი უკლონისტ-ოპოზიციონერების სრული მსგავსება და [illegible] ქართველ მენშევიკებთან.

თუ თეორიაში ქართველი ოპოზიციონერები მოსკოვის ბელადების [illegible] შეგირდობის მეტს ვერაფერს ახერხებენ — აქ ისინი მართლაც ისე დაწინაურებულან, რომ მოსკოვის ბელადები მათ ოთხამონაღებ რომ ირბინონ ჯერ ჯერობით მაინც ვერ მოეწევიან.

ეს ნაწილი ეხება იმას თუ „ვინ ხელმძღვანელობს აქ საქართველო—ამიერკავკასიაში ჩვენს პარტიას".

იქვეა პასუხი „თუ უმრავლესობა არა სრული ნახევარი მაინც შემთხვევითი კომუნისტური ელემენტები" „გადმოხულები სხვა და სხვა წვრილ - ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ პარტიებიდან". გარდა ამისა ყოფილან კიდევ მეფური (?! პ. ს.) რეაქციის ხანაში შვებულებაში მყოფნი".

ჩვენ გაზეთში თურმე ერთავათ „ყოფილები" და „გუშინდელები" გამაგრებულან და მაგრათ ჩაუკეტიათ კარები!—

აი პირისპირ ამოწერილი სიტყვები.

ვინ წერს ამას? ის ვინც ჯერ-ჯერობით ჩვენი კომუნისტური პარტიის წევრათ ითვლება!

რომელი საბუთები უმოწმებს მას ასეთ უხამს ცილისწამებას?

საბუთი, სათვალავი, ანგარიში, სად დაითვალეთ, საიდან ამოიკითხეთ? იქნებ იმ მაიმუნის ამბავი დაგემართათ, რომელსაც თავის სახე სარკეში არ მოეწონა და მეზობლებს დაუწყო საყვედური—ეს მახინჯი საიდან გამოჩენილაო?

დაითვალეთ რამდენია არამცთუ მეფის დროინდელ რეაქციის შვებულებაში, არამედ ისეთი, რომლებიც ეხლაც დაუსრულებელ შვებულებაში განისვენებენ თქვენი რიგებიდან! განა არის საჭირო სახელების დასახელება?

მაგრამ გავყვეთ ქვევით.

ან კი რა უნდა იყოს ქვევით. თუ რომ საქართველოში კომპარტიის ხელმძღვანელები „გუშინდელი" და „ყოფილი" ხალხია, რასაკვირველია სასიკეთოს და სახარბიელოს ისინი არაფერს გააკეთებენ.

რას ამბობს მაინც ამის შესახებ ჩვენი ოპოზიცია თალაკვაძის პირით?

„ძველი მოუსვენარი მებრძოლები, ბოლშევიზმის საფუძველის ჩამყრელი მუშები, ლენინის უშუალო და განუყრელი მოწაფეები პარტიიდან იდევნებიან. პარტიიდან იდევნებიან შემთხვევით პარტიაზე შემოტმასნებულ ყოფილ მენშევიკ-ესერ-კადეტ - ფედერალისტ დაშნაკების თითების შეწევობით".

ასეთია ხელმძღვანელები, ასე ექცევიან ისინი „ძველ ბოლშევიკებს". მაგრამ როგორ ექცევიან ისინი პარტიულ მასას?

„რას უნდა დაამსგავსონ პარტია, პარტიული მასა? ყაზარმებში გამომწყვდეულ ჯარის კაცებს, რომელთა დანიშნულება და უფლებები მხოლოდ იმაშია, რომ უფროსების განკარგულებაზე არ იმჯელონ, იგი უსიტყვოთ და სრული მორჩილებით შეასრულებენ დაუმატეთ ამას მდივანი ქავთარაძის ქება (ერთი „საუკეთესო ჟურნალისტი", მეორე საზოგადოთ „საუკეთესო კომუნისტი") და ისიც, რომ ფილიპე მახარაძე არის მამასახლისი, ელიავა ურიადნიკი და ორახელაშვილი ჟანდარმი და თქვენ მიიღებთ სავსებით შეზავებულ თაიგულს, აქ ზოგს ჩვენი პარტიის (ჯერ-ჯერობით მაინც) წევრი სწერს ზოგს მენშევიკების „ბრძოლა".

აზრი ერთი და იგივეა და მკითხველისათვის მიმინდვია, აბა თუ გამოარჩევს სად არის „ბრძოლიდან" ამოღებული ადგილი და სად თალაკვაძის მიერ შეთითხნილი ცილისწამება.

არ ღირს შორს გაყოლა.

დათავდა. გადალახულია ყოველგვარი საზღვარი. აიწყვიტა ოპოზიციამ გაარღვია პარტიის ზღუდე თავით თავი პარტიას დაუპირდაპირა. ის უკვე იქით—გადაღმა სდგას.

ბრძოლას თავისი გზა აქვს ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ვეღარ შევხვდებით ოპოზიციის თავ-კაცებს პარტიის შიგნით, მაგრამ აუცილებელი იქნება ჩვენი შეხვედრა საბრძოლველ სანგრების იქით აქეთა მხარეზე.

ოპოზიცია მიდის პარტიიდან! გზა დაულოცოთ.

პ. მ. საყვარელიძე

ხელოვნება

ვანო სარაჯიშვილის საფლავზე

გუშინ, საღამოს ექვს საათზე, სახალხო მსახიობ ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალებიდან სამი წლის თავის აღსანიშნავად განსვენებულის საფლავზე შესდგა სამოქალაქო პანაშვიდი. საფლავი მორთული იყო ცოცხალი ყვავილებით. სახ. ოპერის შენობის წინ დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. საფლავთან იდგნენ განსვენებულის პირადი მეგობრები, ნათესავები და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სახ. ოპერის მსახიობთა სახელით მგრძნობიარე სიტყვით გამოვიდა მომღერალი **შარაშიძე**. სახ. უნივერსიტეტის სახელით სიტყვა წარმოსთქვა **ვახტანგ კოტეტიშვილმა**, მწერალთა კავშირის სახელით — **პაოლო იაშვილმა** და სახ. ოპერის დირექციის სახელით ამხ. **ხოფერიამ**. ორატორები აღნიშნავენ იმ ღვაწლს, რომელიც განსვენებულს მიუძღოდა მუსიკალური ხელოვნების დარგში. 25 წლის განმავლობაში ვანო სარაჯიშვილი დაუღალავ მუშაობას ეწეოდა საოპერო სცენაზე და თავისი ნიჭით იმკვიდრებდა დიდი ხელოვნის სახელს. ის იმ დროს მოშორდა საოპერო სცენას, როცა ქართული ვოკალური ხელოვნება აღორძინების გზაზე დგას და იწყება ქართული ორიგინალური ოპერის შექმნის ხანა.

პანაშვიდი დამთავრდა საღამოს 7 საათზე.

ვ.

—:—

ქართველი მწერლები თურქულ ენაზე

აზერბეიჯანის სახ. გამომცემლობამ აცნობა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას, რომ 1927—28 წლის საგამომცემლო გეგმაში მას ნავარაუდევი აქვს 30 ბეჭდვითი ფორმა ქართველ მწერლების ნაწარმოებთა თურქულ ენაზე გამოსაცემისათვის. აზერბეიჯანის სახელგამი სთხოვს საქართველოს სახელგამს შეიტანოს თავის საგამომცემლო გეგმაში ამდენივე ფორმა თურქ მწერლების ნაწარმოებთა ქართულ ენაზე გამოსაცემისათვის. როგორც აზსახელგამი იუწყება, თურქულ ენაზე უკვე გადათარგმნილი ყოფილა **დანიელ ჭონქაძის** მოთხრობა „**სურამის ციხე**“, რომელსაც ახლო ხანში გამოსცემს აზერბეიჯანის სახელმწიფო გამომცემლობა.

რაც შეეხება თურქ მწერალთა ნაწარმოებს ქართულ ენაზე გამოცემას, ამის შესახებ აზერბეიჯანის სახელგამის რწმუნებული სეითოვი მოლაპარაკებას აწარმოებს საქართველოს სახელგამთან. თურქულიდან—ქართულ ენაზე ჯერ ჯერობით გადათარგმნილია თურქ დრამატურგ—**მირზა-ფატალი —ახუნდ-ზადეს** ცნობილი პიესა „**მოტყუებული ვარსკვლავები**“ და **სეიდ-აზიმ-შირვანის** ნაწარმოები „**გაჲი გარა**“.

—:—

მიხ. კავსაძის მომღერალთა გუნდის კონცერტები

ამ მოკლე ხანში მიხეილ კავსაძის სახალხო მომღერალთა გუნდი მუშათა კლუბებში გამართავს კონცერტებს, რომლებზედაც შესრულებული იქნება ი. კარგარეთელის, ფილ. ქორიძის, ალ. კავსაძის და სხვათა მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ჩაწერილი სიმღერები და აგრეთვე მუშურ-გლეხური სცენები.

გუნდში მონაწილეობს 20—50 კაცამდე. პირველი კონცერტი მუშათა ცენტრალურ კლუბში დანიშნულია პარასკევს, 18 ნოემბერს, ხოლო მეორე კონცერტი ავტო-კლუბში შაბათს, 19 ნოემბერს.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

— ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „დუბროვსკი“.

— „**ყველას, ყველას**“. დღეს პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში მუშათა თეატრის ქართული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ყველას, ყველას“ რეჟ. დ. ანთაძე.

— „**ვაი ჭკუისაგან**“. წითელ არმიელთა კლუბში 19 ნოემბერს, მუშათა თეატრის რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება: „ვაი ჭკუისაგან“.

— „**პოეტი და მეფე**“. მომავალ კვირაში თბილისის კინოებში ნაჩვენები იქნება ახალი სურათი, „პოეტი და მეფე“ პუშკინის ცხოვრებიდან.

— „**იღრიალე ჩინეთო**“. შაბათს, პლეხ. სახ მუშ. კლუბში წარმოდგენილი იქნება „იღრიალე ჩინეთო“.

— საქართველოს პროლეტარული სახვითი ხელოვნების ასოციაციის მორიგი კვირეული შესდგება კვირას, 20 ნოემბერს, დილის 10 საათზე სამხატვრო აკადემიის დარბაზში.

◆ „**ნაბიჯი წინ**“. მუშათა ახალ კლუბში 17 ნოემბერს წარმოდგენილი იქნება მ. გოგიაშვილის პიესა „ნაბიჯი წინ“, დადგმა ვ. გარიკის.

◆ **ეგონ პეტრის კონცერტები**. 20 და 23 ნოემბერს თბილისში გაიმართება ცნობილ პიანისტ ეგონ პეტრის კონცერტები.

დღეს კინოებში

— აპოლოში—„იბრაგიმ და გოდერძი“.
— არფასტოში—„იბრაგიმ და გოდერძი“.
— სოლეიში—„იბრაგიმ და გოდერძი“.
— დარბაზში—„В тени небоскребов“.
— პალასში—„დეკაბრისტები“.
— მინიონში—„იბრაგიმ და გოდერძი“.

ქრონიკა.

სასამართლო

„სათანადო ბეჭდის დასმით“

ყოველივე საბუთი და ყოველივე საქმიანი ხასიათის მიმართვა დასტურდება სათანადო ხელის მოწერით, სათანადო ბეჭდის დასმით. ასე იყო ყოველთვის, ასე არის ეხლაც. ბეჭედი ეს ყოველგვარ იქცევა ფეტიშად საბუთის სინამდვილის შესახებ.

სწორედ ეს იცოდა მოქ. **ევგენი როშჩუპკინმა**, რომელიც თანამშრომლობდა რ. ს. ფ. ს. რ.-ის სახელგამის ამიერ-კავკასიის განყოფილებაში მდივნის თანამდებობაზე.

მდივანს შეუჯდა ძალზე სული. მდივანს თავბრუს ახვევდა ის, რომ დაწესებულების ბეჭედი მის ხელში იყო და „სარფას“ არაფერს აძლევდა.

— „მოდი დავუკრავ ქაღალდს, მას დავარტყამ ბეჭედს, მას მოვაწერ ხელსა, მას მივიტან ფოსტაში, იქ მომცემენ ფულსა, წამოვიღებ, ვიჯიბებ, გავახარებ გულსა“...

ასე ალაპარაკა როშჩუპკინი „რწყულისა და [illegible]“ ენით მავნე სულმა.

როშჩუპკინმა აიღო ქაღალდი, დასწერა მინდობილობა თავის სახელზე, მოაწერა ხელი გამგის მაგიერ და „სათანადო ბეჭდის დასმით“ აიღო ფოსტიდან „სათანადო“ თანხა.

ერთხელ მიღებული თანხა ტკბილად „შეერგო“ სახელგამის მდივანს, მაგრამ მალე დაუკრა თავი-თავის თანამდებობასაც და ბეჭედსაც.

ამჟამად როშჩუპკინი სახელგამის მაგიერ ზის გამსახლში. ბრალად ედება მას 730 მანეთის გაფლანგვა და ყალბი საბუთების კეთება.

გ.

განაჩენი ივანე ნიკულინის საქმეზე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით გამოიტანა განაჩენი მოქ. **ივანე ნიკულინის** საქმეზე.

ნიკულინს 1585 მანეთის გაფლანგვისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 ნახ. წლით. მანვე უნდა დააკმაყოფილოს სამოქალაქო ძიება ზემოაღნიშნული თანხის რაოდენობით.

განაჩენი გ. ამირაღოვის საქმეზე

მოქ. ამირაგოვს დაუმტკიცდა მუშკოოპის ფულის—1001 მანეთის გაფლანგვა და მიესაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით.

მსჯავრ დადებულმა უნდა გადაუხადოს მუშკოოპს გაფლანგული თანხა.

თავის მოკვლა არ დაანებეს

ა.-წ. აგვისტოში მოქალაქე ბენიამინ კოზლოვსკი ბოტანიკურ ბაღში თურმე „თავს იკლავდა“.

სახლიდან წამოიღო წიგნი და ერთი ბოთლი არაყი. შემოღამებისას ერთი ბოთლი არაყი კაზლოვსკიმ კბილზე დაიწყო, მაგრამ არ მოკვდა.

მოატანა იმ დრომ, როცა ბაღი უნდა დაკეტილიყო. გამოჩნდა მილიციელი კალენკო, რომელმაც ნიშანი მისცა მოსეირნეებს ბაღი იკეტება.

კაზლოვსკი იქვე მახლობლად იჯდა და მღეროდა. დაინახა თუ არა მილიციელი, მან ამოიღო ჯიბის დანა, გაშალა და ფეხ აკრეფით დადევნა მილიციელს. უეცრად, თვალის დახამხამებაში მან სტაცა ხელი რევოლვერს, რომელიც მილიციელს ეკიდა, დაუსვა დანა და ხელში ჩაიგდო მილიციელის რევოლვერი.

მილიციელმა გამოიჩინა მამაცობა, მოუბრუნდა თავდამსხმელს და შეუკრა ხელები. მოცვივდა ხალხი. კაზლოვსკი დააპატიმრეს და კომისარიატში წარადგინეს.

— მე დატანჯული კაცი ვარ. ვერ ავიტანე ცხოვრება, არაყის სმამ და წიგნის კითხვამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ თავი მომეკლა.

მილიციელს დაუნახე რევოლვერი და ვეღარ მოვითმინე. ჩამოვაჭერი დანით, მინდოდა გულში მესროლა ტყვია, მაგრამ არ დამანებეს,—ასე სთქვა კოზლოვსკიმ დაკითხვის დროს.

კოზლოვსკის საქმეს ამ დღეებში გაარჩევს სასამართლო.

—:—

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 13 ნოემბრის ნომერში განაჩენი სიდომონიძის საქმეზე თავდება ასე: „ამნისტიის ძალით კობიაშვილი განთავისუფლებულია“, **უნდა იყოს**: „ამნისტიის ძალით სიდომონიძე განთავისუფლებულია“.

მცირეწლოვანი ბოროტმოქმედნი

განათლების კომისარიატთან არსებულ მცირეწლოვან ბოროტმოქმედთა საქმების გამხილველ კომისიაში ოქტომბრის განმავლობაში შემოვიდა 46 საქმე, რომლებიდანაც ბრალი ედებოდათ 60 ბავშს სხვადასხვა ბოროტმოქმედების ჩადენაში; აქედან 1 საქმე ეხებოდა მკვლელობის განზრახვას, 5 ავაზაკობა-ძარცვას, 5 მარტივ ქურდობას, 5 კვალიფიციურ ქურდობას, 6 ნაქურდალი ნივთებით ვაჭრობას, 8 უზნეობას, ხოლო დანარჩენი საქმე ეხებოდა სხვადასხვა სისხლის სამართლის დანაშაულობას.

კომისიამ სულ განიხილა და გადასწყვიტა 29 საქმე. ამ საქმეებიდან ბრალდებული ბავშვები განაწილებული და მოთავსებული იქნენ სხვადასხვა საბავშო დაწესებულებებში; მოისპობილი იქნა 5 საქმე; 1 ბავში განთავისუფლებული იქნა ამნისტიის ძალით; სახალხო სასამართლოს გადაეცა 10 საქმე. ნოემბრისათვის დარჩა 1 საქმე. ეროვნების მიხედვით ბრალი ედებოდათ—11 ქართველს, 16 რუსს, 26 სომეხს, 4 მაჰმადიანს და 3 სხვ. საბავშო დაწესებულებებში თავსდებიან ისეთ ბავშვებს, რომლებსაც არ ყავთ პატრონი და რომლების გამოსწორებაც შეიძლება.

ბიბლიოგრაფია

ა. ლუნაჩარსკი.

„ყოფა-ცხოვრება“

თარგ. ნ. ალინის. თბილისი, 1927 წ. გვ. 80, ფასი—50 კაპ.

რაც უფრო ღრმავდება და ფართოვდება ჩვენი მშვიდობიანი აღმშენებლობითი მუშაობა, მით უფრო მძლავრად იჭრება ჩვენს წინაშე ყოფა-ცხოვრების საკითხები. ეს ბუნებრივია, ვინაიდან სოციალისტური რევოლუციის საბოლოო მიზანს წარმოადგენს მთელი ჩვენი ცხოვრების ძირ-ფესვიანად გადახალისება, მისი აგება სულ ახალ სოციალისტურ საწყისებზე.

რევოლუციის ცეცხლში თანდათანობით იწვის და ჰქრება ბურჟუაზიული მორალი, საზოგადოებრივი ურთიერთობის განმსაზღვრელი იურიდიული და ეთიური ნორმები, საფუძველი ეცლება გარდამავალი საზოგადოებრივობის ძირითად უჯრედს—ძველ ოჯახს, რომელიც ბურჟუაზიულ პირობებში არსებითად წარმოადგენდა მონობისა და ექსპლოატაციის უძლიერეს კატეგორიას. ძველი ცხოვრების გადახალისება ამჟამად სწარმოებს პოლიტიკური, სამეურნეო და ყოფა-ცხოვრების ხაზით. პროლეტარული მასების რევოლუციონურმა შემოქმედებამ ამ ათი წლის განმავლობაში უკვე გამოიღო დადებითი შედეგები და გასაოცარ რეალურ ეფექტსაც მიაღწია.

დღეს ჩვენ გვაქვს სახელმწიფო, სადაც პროლეტარიატის დიქტატურა მკვიდრ ნიადაგზეა დაფუძნებული, პროლეტარიატის ხელშია [illegible] მრეწველობის უმაღლესი მბრძანებელი სიმაღლეები; სამეურნეო გეგმიანობამ მძლავრად გაიკვლია გზა მეურნეობის სიღრმეში და მისი განვითარება დაუმორჩილა განსაზღვრულ სოციალისტურ პრინციპებს. მაგრამ პოლიტიკური და სამეურნეო მიზნების განხორციელება წარმოადგენს არა თვითმიზანს, არამედ საშუალებას, რომელმაც ძირეულად უნდა შესცვალოს ყოფა-ცხოვრების საფუძვლები. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ყველაზე უფრო ძნელ ამოცანას.

მართალია თანამედროვე საზოგად. პოლიტ. და ეკონომ. საფუძვლების გადახალისებასთან ერთად იშლება და ინგრევა ძველი მორალი, ოჯახური ცრუმორწმუნეობა, ძველი ზნე-ჩვეულებანი, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ახალი ყოფის ნორმები. ამ სფეროში ადგილი აქვს ერთგვარ გაურკვევლობას, ამ ნიადაგზე კი წარმოიშვა ავადმყოფური, არანორმალური გადაჭარბება, გადახრა. საჭირო ხდება ამ ანორმალობის თავის დროზე ალაგვა. მის წინააღმდეგ ბრძოლა. ამისათვის კი საჭიროა ყოფა-ცხოვრების სტიქიურობის დაძლევა, მისი გადაყვანა განვითარების გონიერ ხაზზე.

ამ ფრიად აქტუალურ საკითხს არკვევს თავის ბროშიურაში—„ყოფა-ცხოვრება“ ამხ. ლუნაჩარსკი. სარეცენზიო წიგნაკის ავტორი მოკლეა. ეხება ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა ძირითად საკითხებს და განსაკუთრებით ხანგრძლივად ჩერდება ოჯახზე და არანორმალურ ხულიგნურ მოვლენებზე, რომელსაც ადგილი აქვს ახალგაზრდობას შორის.

ავტორი თავის ანალიზის დროს არკვევს ძველი, ბურჟუაზიული ოჯახის სოციალურ გენეზისს, მის როლს ბურჟუაზიულ საზოგადოებრიობაში. ბურჟუაზიულ ოჯახში, რომელიც აგებულია უთანასწორობის პრინციპზე, მინიატურულად თავის გამოხატულებას პოულობს მთელი ბურჟუაზიული საზოგადოებრივი სისტემის ბუნება. ძველი ოჯახის დაშლა და ძირ-ფესვიანად მოსპობა წარმოადგენს აუცილებელ პირობას ახალი ურთიერთობის შესაქმნელად. მაგრამ აღსანიშნავია მეორე უკიდურესობაც, რომელზედაც მიუთითებს ავტორი—ეს არის ეგრედ წოდებული „თავისუფალი სიყვარულის“ აპოლოგია ე. ი. ქალისა და მამაკაცის ისეთი ურთიერთობა, რომელიც თავისუფალია ყოველგვარ ურთიერთ-ვალდებულებისაგან. ეს არამც თუ ხრწნის ძველ ოჯახს, არამედ ამავე დროს უდიდეს საფრთხეს უმზადებს ჩვენს საზოგადოებას. ვინაიდან გარდამავალ პერიოდში ძალაში რჩება დებულება, რომ დღეს-დღეობით „ოჯახის საკითხი იმავე დროს არის ადამიანთა მოდგმის გაგრძელების საკითხი, მომავალი თაობის საკითხი“.

მაგრამ შეუძლია თუ არა დღევანდელ პირობებში ჩვენ პროლეტარულ სახელმწიფოს თავისთავზე იკისროს მომავალი თაობის სრული აღზრდა-განვითარება. არ შეუძლია. ეს ჯერ კიდევ მომავლის საკითხია. მაშასადამე ჯერჯერობით „ჩვენს საზოგადოებაში ოჯახის ერთად-ერთი მართებული და მისაღები ფორმა არის წყვილისაგან შემდგარი და ხანგრძლივად შეკავშირებული ოჯახი. მაგრამ ამავე დროს ავტორი დაწვრილებით იხილავს თანამედროვე ოჯახის განსხვავებას ძველი ბურჟუაზიული ოჯახისაგან, ახალ კანონმდებლობას ქორწინებისა და განქორწინების შესახებ; ამ დახასიათებიდან აშკარა ხდება, რომ ჩვენ უკვე შევუდექით ყოფა-ცხოვრების სოციალიზაციას, მის რადიკალურ გადახალისებას.

საკმაოდ ხანგრძლივად ჩერდება ავტორი აგრეთვე ხულიგნობის დახასიათებაზე. ის ფართოდ არკვევს იმ საერთო ეკონომიურ და სოციალურ პირობებს, რომლის ნიადაგზე იფურჩქნება ისეთი არანორმალური მოვლენები, როგორიცაა ერთი მხრით პედანტიზმი, ჩინოვნიკობა, პარტფელიზმი, მეორე მხრით—პესიმიზმი, სევდა, თვითმკვლელობანი—რაც საბოლოო ანგარიშში გადადის ხულიგნობაში. ამ ბოჰემური თავაშვებულების, ბოჰემური რომანტიკის გაფურჩქვნას ავტორი უკავშირებს კერძოთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებას, საერთოდ კი მთელი ყოფა-ცხოვრების აშლილობას, უდიდეს გარდატეხას საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ დარგში.

შესანიშნავად აქვს გარკვეული ავტორს „**ესენინშჩინის**“ სოციალური ძირები, მისი გავრცელების მიზეზი. ამხ. ლუნაჩარსკის ანალიზი მთლიანად აგებულია ფაქტიური მასალის შესწავლაზე, ღრმა დაკვირვებაზე და წარმოადგენს ჩვენი ყოფა-ცხოვრების სერიოზულ მარქსისტულ მიმოხილვას. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ამ თემაზე ლიტერატურა შედარებით ძლიერ ღარიბია.

წიგნაკის თარგმნა ქართულ ენაზე მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. იგი საშუალებას მისცემს ბევრს გაერკვეს „საზოგადოებრივი მორალის“ კლასიურ ბუნებაში, მით უმეტეს რომ შინაარსი პოპულიარული ენითაა გადმოცემული.

თარგმანი თითქმის უნაკლოთაა შესრულებული.

მკითხველი.

რკინისგზებზე

ნავთის გადაზიდვის გადიდება

როგორც ა.-კ. რკ. გზ. გამგეობაში მიღებულ ცნობებიდან ჩანს, ნავთის სინდიკატს დეკემბერში განზრახული აქვს საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვის საგრძნობლად გადიდება.

ამის გამო რკ. გზა უკვე შეუდგა მუშაობას ამ გადაზიდვათა უზრუნველსაყოფად.

შემთხვევებთან მებრძოლ საგზაო კომისიაში

შემთხვევებთან მებრძოლ საგზაო კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა ცამეტი საქმე მატარებლების დაჯახების, ვაგონებს ლიანდაგიდან აცდენის, უბედურ შემთხვევების და სხვათა შესახებ.

საერთო ზარალი, მიყენებული გზისათვის ყველა ამ შემთხვევებისაგან უდრის 2.332 მანეთს.

თათბირი ანგარიშწარმოების განმარტივების შესახებ

21 ნოემბერს საბჭოთა კავშირის რკ. გზ. ცენტრალური სამმართველო მოსკოვში იწვევს თათბირს, გზების საექსპლოატაციო განყოფილებებში ანგარიშწარმოების განმარტივების შესახებ.

ამ.-კავკ. რკ. გზებს მიცემული აქვს წინადადება გაგზავნოს თათბირზე საჭირო მასალები.

გზის მუშაობა გაძლიერდა

წინასწარი ცნობებით ირკვევა, რომ ამ.-კავკ. რკ. გზ. მუშაობა 1926—27 წელში, წინა წლებთან შედარებით გადიდებულია.

გზის მუშაობა ტონო - კილომეტრებში გადიდებულია 21,6 პროც., ხოლო ომის წინა დროსთან შედარებით — 23 პროცენტით.

თუ ამ მუშაობას გადავიტანთ დატვირთულ ვაგონებზე და ცისტერნებზე დავინახავთ, რომ 1925—26 წელთან შედარებით გზის მუშაობა გადიდებულია 14.8 პროცენტით.

ნარევი

დაზღვევა მსახიობის „ტემპერამენტისაგან“

ამერიკაში შემოღებულია დაზღვევის ახალი სახე—დაზღვევა მსახიობის „ტემპერამენტის“ „შედეგებისაგან“: ანტრეპრენიორები თავს იზღვევენ წარმოდგენების და კონცერტების შესაძლებელ ჩაშლისაგან, რაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მსახიობის არ ყოფნას „გუნებაზე“. ასეთი სახის დაზღვევა შემოიღო ზ. **კოგრამმა**, შალიაპინის ცნობილმა ანტრეპრენიორმა, მას შემდეგ, რაც შალიაპინმა „გუნებაზე არყოფნის გამო“ ჩაუშალა მას ერთი კონცერტი. კოგრამმა დააზღვევა თავი შალიაპინის ორი კონცერტის წინ, რომელიც უნდა გამართულიყო ლონდონის ერთ-ერთ თეატრში.

პათოლოგიური ოჯახი

პროფ. **პელმანი** (გერმანია) აქვეყნებს საინტერესო ცნობებს მემკვიდრეობითი ალკოჰოლიზმის შედეგების შესახებ ერთ ოჯახში, რომლის წევრთა ცხოვრებაზე მან შეკრიბა ცნობები ორი საუკუნის მანძილზე.

ოჯახის წინაპარი არის ვინმე ლოთი და ქურდი ადა იურკე, რომელიც დაიბადა 1740 წ. ადა იურკემ დასტოვა მემკვიდრეები, რომლებიც მიმდინარე საუკუნისათვის გამრავლდენ 840 კაცამდე. 700 მათგანის ცხოვრება სისწორით იქნა გამორკვეული: 206 იყო პროფესიონალური მათხოვარი, 180—მეძავი, 76 ბოროტმოქმედი (7 მათგანს თავი მოჰკვეთეს მკვლელობისათვის). პროფ. პელმანის გამოანგარიშებით, ეს ოჯახი სახელმწიფოს დაუჯდა 2 ნახ. მილიონი მარკა, რაც დაიხარჯა ამ ოჯახის წევრების შენახვაზე ციხეში, გამაფრთხილებელ ზომებზე, მეძავთა და დეფექტიანების მკურნალობაზე და სხვა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სახელმწიფოს შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების საჯარო ვაჭრობის გაცემის პუბლიკაციის შესახებ

სახელმწიფოს შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების დებულების დანართად გამოცემული სახელმწიფოს შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების საჯარო ვაჭრობით გაცემის პუბლიკაციის წესების (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 28 №-რით, მუხ. 292) მე-2 მუხ. თანახმად—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1, განცხადება სახელმწიფოს შეკვეთით ნარდად მუშაობის და გაყიდვა-მიწოდების საჯარო ვაჭრობით გაცემის შესახებ ერთხელ უნდა იქნეს დაბეჭდილი, უკეთუ ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების ნავარაუდევი თანხა ასი ათას მან. არ აღემატება, გაზეთ „კომუნისტ“-ში არა უგვიანეს შვიდი დღისა სიტყვიერ შეჯიბრების დაწყებამდე; ხოლო, უკეთუ ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების ნავარაუდევი თანხა ასი ათას მანეთს აღემატება—განცხადება სიტყვიერ შეჯიბრებამდე თოთხმეტი დღით ადრე მაინც უნდა დაიბეჭდოს, გაზეთ „კომუნისტ“-ის გარდა, აგრეთვე „სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის „იზვესტია“-შიც.

2. აფხაზეთის სსრ-სა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება ეძლევათ განსაზღვრონ ის ბეჭდვითი ორგანო, რომელშიაც გარდა 1-ლ მუხლში აღნიშნულ ბეჭდვითი ორგანოებისა, აუცილებლად მოთავსებულ უნდა იქნეს განცხადება სახელმწიფოს შეკვეთით ნარდად მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების საჯარო ვაჭრობით გაცემის შესახებ, რასაც აღნიშნული რესპუბლიკის და ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მოახდენენ მათი ქვემდებარე დაწესებულებანი და საწარმონი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის თანაშ. მოვ. აღმს. ალ. გეგეჭკორი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართვ. მოვ. აღმსრ. ს. სტეფანოვი.

1927 წ. ნოემბრის 4.
თბილისი—სასახლე.

სავალდებულო დადგენილება

№ 0169

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა

აზარტიული თამაშის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

1927 წ. ოქტომბრის 31 დღესა, ქ. თბილისი

აზარტიული თამაშის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. აკრძალულია აზარტიული თამაშის (ბანქოს, რულეტკის, ლოტოს, ნარდის და სხვა ფასიან თამაშის) გახსნა და აგრეთვე მისი წარმოება რესტორანებში, სასადილოებში, სასტუმროებში, ყავახანებში და სხვა ამგვარ ადგილებში სათანადო ნებადაურთველად.

2. ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პირნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით:

ქალაქებში გაფრთხილებით; ჯარიმით 100 მანეთამდე, იძულებითი მუშაობით ან დაპატიმრებით ერთ თვემდე;

სოფლად — გაფრთხილებით, ჯარიმით 10 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობით ერთ კვირამდე.

3. ასეთივე სასჯელი დაედება იმ პირს, რომელიც [illegible] საეჭვო თავშესაფარს და სახლს, ბანქოს, რულეტკას, ლოტოს; ნარდის და სხვა ფასიან თამაშის მოსაწყობად და აგრეთვე პროფესიონალური მოთამაშეს, რომელიც ისეთ თავშესაფარში და სახლში იღებს. უკეთუ მათი მოქმედება არ შეიცავს იმ დანაშაულის ნიშნებს, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით.

4. მე-2-ე მუხლში აღნიშნული სასჯელის დადების უფლება ენიჭებათ სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსებს, მხოლოდ სადაც ამგვარი არ არის — მაზრის მილიციის უფროსებს, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. ივლისის 4-ს გამოცემულ დადგენილების № 62 თანახმად.

5. ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის თვალყურის დევნება ევალება მილიციის ორგანოებს.

6. აღნიშნული დადგენილება ვრცელდება ს. ს. ს. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის ორი კვირის შემდეგ დღიდან გამოქვეყნებისა.

შინ. საქმეთა სახალხო კომისარი— ლ. ბერია
შ. ს. ს. კ. ადმ: საქ: უფროსი რესპ. მილიუფროსი—ზერაძე

მარგანეცის ექსპორტი

საკონცესიო საზ-ბა „საქართველოს მარგანეცი“-ს მეთვალყურე სამმართველოს ცნობებით, ოქტომბრის განმავლობაში „საქართველოს მარგანეცი“-ს მიერ ფოთიდან საზღვარგარეთ გატანილი იქნა 36.952 ტონა ჭიათურის შავიქვა,—აქედან გატანილია ამერიკაში—32.442 ტონა, გერმანიაში — 3.005 ტონა, საფრანგეთში — 1.505 ტონა.

სექტემბერთან შედარებით მარგანეცის გატანა ოქტომბერში გაიზარდა — 11.288 ტონით.

ნოემბრის პირველი ნახევრის განმავლობაში საზოგადოების მიერ საზღვარგარეთ გატანილია 6.406 ტონა მარგანეცი. მთელი ეს რაოდენობა გაგზავნილია საფრანგეთში.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 17 ნოემბერი

დღეს, 17 ნოემბერს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო - სტუდიიდან გადაცემული იქნება:

პიონერთა გაზეთი — რუსულ ენაზე.
კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ — ქართულ ენაზე.
მოხსენება: ტრანსპორტი ამიერ - კავკასიაში და მისი მიღწევები—თურქულ ენაზე.
რადიო-მიღწევები.
ინდუსტრიალიზაციის სესხი.
ოპერის მუსიკალური ახსნა.
ოპერა „სადკოს“ ტრანსლიაცია.
ტექნიკური კონსულტაცია.
ამიერ - კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 17 ნოემბერს, შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ:

გონებრივ მუშაკთა პირველი სექცია: არჩილ ფარესაშვილს, სტეფანე ოტიანს, სოფიო კაპანაძეს, არმენაკ პაპიაშვილს, მიხეილ ავეტისოვს, აბას ალი-ზადეს, მიხეილ თატარინცევს, კონსტანტინე ოატიოვს, ბორის კოსტინს, გაიანე აკოფოვას, მამედ პირიევს, ვასილ კვალიაშვილს, ლეო კარახანოვს, სოსინს,. ბაგდასაროვს, აკოფ შადიროვს და ქრისტეფორე არუთინოვს.

მედ-მუშაკთა სექცია: იაკობ ალექსანდროვს.

რკ. გზელთა მე-7 სექცია: მიხეილ კულიკოვს, ალექსი ბალბანიკოვს, იოსებ ალი ბეგ აბას ოღლის და ოვანეს კამაროვს.

იურიდიული დახმარება

კითხვა

ვცხოვრობ დიდუბეში. ვმსახურობ ა.-კ. სახელმწიფო პოლიტ-სამმართველოში. ჯამაგირს თვიურად ვიღებ 99 მანეთს. რამდენი უნდა გადავიხადო ბინის ქირა.

სამუილი ანჯაფარიძე.

პასუხი

ბინის ქირას, როგორც ქალაქის განაპირა უბანში მცხოვრები, გადაიხდით ერთი ოცდა მეათედი ნაწილის დაკლებით. ე. ი. თითეულ კვ. მეტრზე გადაიხდით მხოლოდ 17 კაპიკს. (იხ. საბინაო ტარიფის მუხ .4 და 18).

კითხვა

პროფესიით ვარ მასწავლებელი (21 წლის განმავლობაში). 1926 წ. პირველ ნოემბრიდან 1927 წ. 3 ივნისამდის ავად ვიყავი, რის გამო დამზღვევი სალარო მაძლევდა დახმარებას. მიპასუხეთ, ვისგან უნდა მომეცეს დანარჩენი საზაფხულო ხელფასი, რადგან განათლების განყოფილება ამაზე უარს მეუბნება.

პასუხი

მას შემდეგ, რაც თქვენ მოიხსენით დამზღვევ სალაროდან, თქვენი ჯანმრთელობის გამოკეთების გამო (ე. ი. ა.-წ. 3 ივნისიდან) ხელფასი უნდა მოგეცეთ სწორედ განათლების განყოფილებიდან. თუ იგი ასეთს არ გაძლევთ, მიმართეთ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას ან და შრომის სასამართლოს.

პარტიული კალენდარი

— საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, **17 ნოემბერს, საღამოს სრულ 5 საათზე წითელ არმიისა და ფლოტის სახლში (რუსთაველის პროსპ. 10) შესდგება თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმის სხდომა რაიკომების პლენუმებთან და საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის აქტივთან ერთად.**

პლენუმზე მოწვეული არიან საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკას და საკ. ახ. ლ. კ. კ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრები.

დღის წესრიგშია:

1) მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გაერთიანებულ ოქტომბრის პლენუმის შედეგების შესახებ.

ბილეთების მიღება შეიძლება რაიკომში.

— **სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომ. უჯრედთა ბიურო** აცხადებს, რომ დღეს, (ხუთშაბათს) საღამოს 5 საათზე უნივერსიტეტის მთ. შენობაში მოწვეულია გაერთიანებულ კომ. უჯრედთა დახურული კრება.

პარტიის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 15 ნოემბერს გარდაიცვალა

სალომე თეიმურაზის ასული ციციშვილისა

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა ღრმათ დამწუხრებული მამა თეიმურაზ ქუმსის ძე, ძმა ალექსანდრე, რძლები ნინა და ლიუბა ორჯონიკიძეები. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე 17 ნოემბერს. გამოსვენება კამოს სახელობის საავადმყოფოდან დღის 3 საათზე. 478

უღრესათ დამწუხრებული შვილი ზურაბ კონსტანტინეს ძე, რძალი სოფიო ილიას ასული და შვილისშვილი თეიმურაზ ზურაბის ძე ციციშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი დედის

სალომე თეიმურაზის ასული ციციშვილის

უდროვოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე 17 ნოემბერს. გამოსვენება კამოს სახელობის საავადმყოფოდან დღის 3 საათზე. 476

ღრმათ დამწუხრებული და—მარიამ თეიმურაზის ასული, სიძე—ილია დიმიტრის ძე და დისწულები შოთა, თეიმურაზ და დათა თაქთაქიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროვოთ გარდაცვალებას ძვირფასი და დაუვიწყარი

სალომე თეიმურაზის ასული ციციშვილისას

დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე 17 ნოემბერს. გამოსვენება დღის 3 საათზე, კამოს სახელობის საავადმყოფოდან. 476

მუდამ ჟამს მწუხარებაში მყოფნი დედ-მამა ელენე დავითის ასული და მიხეილ მახარობლის ძე, დები თამარი და ეთერი, ძმები შოთა და აკაკი ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობს, რომ კვირას 20 ნოემბერს სრულდება ერთი წელი, რაც აღარა გვყავს ჩვენთვის ძვირფასნი და საყვარელნი

მეთო და თინა სიხარულიძეები

რომელთა ხსოვნის აღსანიშნავათ გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე, დღის 12 საათზე. 481

სამშაბათს, ნოემბრის 15, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კამოს სახელობის საავადმყოფოს თანამშრომელი

სალომე თეიმურაზის ასული ციციშვილი

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ მის ნაცნობ-მეგობრებს აღნიშნულ საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურენი. გამოსვენება ხუთშაბათს 17 ნოემბერს, სრულ 3 საათზე, საავადმყოფოს შენობიდან დიდუბე, კოოპერაციის ქ. № 15. 487

ღრმად მწუხარენი დარია თევდორის ასული მკურნალი, ელპიტა იოსების ასული ხოშტარია, ლევან თევდორეს ძე ხოშტარია, ანდრია ალექსის ძე მკურნალი ოჯახობით, ნიკოლოზ, გულნარა და გიორგი (გოგია) სოლომონის ძენი და ასული ხოშტარიები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ უეცრად გარდაიცვალა პირველ სამთათვის სიძე და უკანასკნელთა ბიძა

ნესტორ ზურაბის ძე გაბუნია

რომლის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 17 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება პეტროვის ქუჩის 1-ლი შესახვევი № 11, საკუთარ სახლიდან ვერის ახალ სასაფლაოზე. 480

თავზარდაცემული მშობლები: მარიამ და იაკობ გველესიანები, უდროოდ დაობლებული შვილები: ცუცა, ქეთო და ზურაბი, დები—თამარი და ნინო, სიძე—ტარასი ეზიაშვილი, ბაბუა იოთამი, ბიძები: ლავრენტი და ვანო გველესიანები ცოლშვილით, ბიცოლა ანასტასია შვილებით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს ძვირფასი და დაუვიწყარი

ოლია გველესიანი-დეკანოზიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას.

გამოსვენება შაბათს, 19 ნოემბერს, საღამოს 4 საათზე. ზესტაფონი, დილიკაურის ქ. საკუთარი სახლიდან—წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 5 საათზე.

ცირკი
„კოლოს“
ტელ. 16—67

ხუთშაბათს, 17 ნოემბერს, განსაკუთრებული სანახაობა
მონაწ. მთელი დასი, ატრაქციონები და დამსახ. არტ. ძმ. ტანტი
ჩინელების გუნდი შანხაიდან ლიუ-კუმ-ხაი
უკანასკნ. საიუბილეო დადგმა „X ოქტომბერი X“ 8 სურ. ლ. ტანტის.
კვირას 20 ნოემბერს დღისით—წარმოდგენა ბავშვებისათვის 2 საათ.
მოდიან განსაკუთრებული ატრაქციონები.
ნ. 223 1—1
დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნებული გროდზიცკი. ადმინისტრატ. ტადე.

ПРОМЫСЛОВОЕ КООПЕРАТИВНОЕ Т-во РАБОЧ. и СЛУЖАЩ.
Парфюмерной фабрики
быв. А. М. ОСТРОУМОВА
Москва, 33 Гжельский пер. 13.

Требуйте везде!

Крем Метаморфоза
Крем Чистотел
А. М. Остроумова

Требуйте везде!

КРЕМ, МЫЛО ПУДРА „МЕТАМОРФОЗА“
КРЕМ и МЫЛО „ЧИСТОТЕЛ“
МЫЛА:
1) Чередовое детское,
2) От головной перхоти
3) Рондо (круглое)
НОВОСТЬ!!! „Саломея“ „Мои Грезы“ ПУДРА
Остерегайтесь подделок!!!
Б. 225 3—1

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
0—10 ნ. 1388

დღეს და ყოველდღე საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული ფილმი
„იბრაგიმ და გოდერძი“
8 ნაწილად. დადგმა რეჟისორ შაქრო ბერიშვილის, ოპერატორი ა. პოლიკევიჩი, მთავარ როლებში: ლ. ყიფიანი, ი. ნაზარაშვილი, კახიძე, ძნელაძე, გვარაძე, კავსაძე, სვანი, ლვამიჩავა, კარიბშვილი.
პირველი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.
პირველად ეკრანზე, სეზონის ახალი სურათი
„В ТЕНИ НЕБОСКРЕБОВ“

ანონსი: მალე გრანდიოზული სურათი „პ ო ე ტ ი და მ ე ფ ე“

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—20

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
ქალთა სნეულება და მეანობა. მიღება საღამოს 5—7 ს.-დე ყოველდღე (გარდა ხუთშაბათისა), ბელგიის ქ. № 5 მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლათ. 25—

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ: ნაბერეჟნაია) № 7 ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

„მეჟრაბპომ-რუს“-ის წარმოება
ვ. მალინოვსკაია
ო. ჟიზნევა
ი. ბაკშეევი
სურათში
„ასეთი ქალი“
(„გარეშე“)
მალე კინო-თეატრებში
„მინიონი“ და „პალასი“
ნ. 224

კოოპ. ამხ-ბა „მ ე ბ ა ლ ე“
აცხადებს, რომ თანახმად წევრთა ა/წ. 13 ნოემბრის საზოგადო კრების დადგენილებისა, ხდება

ამხ-ბის ლიკვიდაცია

ყველა პირნი და დაწესებულებანი, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზიები ა ხ ბისადმი, ვალდებულნი არიან განაცხადონ ესე სალიკვიდაციო კომისიაში (სიონის ქ № 32) ა. წ. 22 ნოემბრამდე, რის შემდეგ შემოსული პრეტენზიები არ განიხილება.

ქვ. 483 სალიკვიდაციო კომისია.

საქართველოს ფინსახკომის სასინჯო სამმართველო
ამით აცხადებს, რომ მიმდ. წლის 15 გიორგობისთვიდან ოქროს ნაწარმოების

დაღალვა

იწარმოებს მეტრიულ სისტემით
ე. ი. სინჯები 56=583, 72=750, 92=958.
ნ. 222 სასინჯო სამმართვ. უფროსი ა. ნიშნიანიძე.

ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტში
ორჯონიკიძის ქუჩა (ყოფ. ანდრეევის) № 30. ტელეფონი 10—90
მიიღება ფასიანი ავადმყოფები
წყლით, ელექტრონით, სინათლით, რადიუმით, რენტგენით, ფინზენით და სხ. სამკურნალო კაბინეთებში. ავადმყოფების გასინჯვა სპეციალისტების მიერ, განსაკუთრებულ საათებში დღის 1-დან 3-მდე.
ყველა ცნობები მიიღება ინსტიტუტის რეგისტრატურაში
ინსტიტუტის დირექტორი მ. ზანდუკელი
25—1 ქვ. 288

ექიმი
ვლ. ა. თოხაძე
გადავიდა ალექსანდროვის ქუჩიდან ბესიკის (ყოფ. დავიდოვის) ქ. № 20.
ღებულობს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8. საათ პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1). 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“ პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—13

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ 25—7

ექიმი მ ე ზ რ ა ბ ი ა ნ ც ი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, ტლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონთოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ 2—5

სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტომატოლოგიურ
(კბილის სნეულებათა)
კლინიკაში
ავადმყოფების მიღება 1 ნოემბრიდან იწარმოებს
დილით 8—12 საათამდე
საღამ. 4— 6 საათამდე
საღამოობით რჩევა-დარიგება უფასოა, მკურნალობა დაკლებულ ფასებში
კლინიკასთან არსებობს რენტგენის კაბინეტი. მისამართი: პლეხანოვის გამზირი 126, ტელეფ. 25—34.

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1

დაკარგა პირადობის მოწმობა სალომე სოსიკოს ასულის ღუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. 496

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 1372 შალვა ქორფაშვილის სახელზე, ჩ. გ. 494

დაკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 6224 მარიამ ელიაძის სახელზე, ჩ. გ. 488

დაკარგა სიღარიბის და პირადობის მოწმობები, გაცემული გორის თემის აღმასკომის მიერ და სხვადასხვა ქვითარები დათიკო იობაძის სახელზე, ჩ. გ. 489

დაკარგა მუშკოოპის წიგნაკი № 22493 ტროფიმე ბერიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 490

დაკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი ვლადიმერ ჭყონიას სახელზე, ჩ. გ. 491

დაკარგა მუშკოოპის წიგნაკი ლეონინა ვანიძეს სახელზე, ჩ. გ. 447

დაკარგა განათლების მუშაკთა კავშირის საწევრო წიგნაკი დავით ევგენის-ძე ცაგარელის სახელზე, ჩ. გ. 497

დაკარგა პროფკავშირის წიგნაკი № 23733 და სხვადასხვა ხელწერილები, დაწესებულებიდან გაცემული ფულის მიღებაზე წითელ ქალაქის უფროს მილიციელის გიორგი თხელიძის სახელზე, ჩ. გ. 493

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 13898 არფ დავრეშის-ძე სულიევის სახელზე, ჩ. გ. 482

დაკარგა კავშირის წიგნაკი № 611 და პირადობის მოწმობა № 611 ალექსი დავითის-ძე უკანწყაროელის სახელზე, ჩ. გ. 484

დაკარგა ინვალიდობის მოწმობა № 477 პარმენ ბართლომეს-ძე ნუცუბიძის სახელზე, ჩ. გ. 486

დაკარგა პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის ფურცელი მოცემული რაჭის მაზრიდან მალაქია კერესელიძეს სახელზე, ჩ. გ. 485

დაკარგა დაზღვევის წიგნაკი № 109 პეტრე ელბაქიძეს სახელზე, ჩ. გ. 474

დაკარგა პასპორტი № 372 პელაგია ივანეს ასულ გუბინას სახელზე კრასნაზვეზდინსკოის მილიციიდან მოცემული, ჩ. გ. 477

დაკარგა სამხედრო საალრიცხვო ბარათი № 4374, გაცემული მე-6-სე ქართულ ლეგიონის შტაბის მიერ ანდრო სამსონის-ძე დოლიძეს სახელზე, ჩ. გ. 472

დაკარგა ზაკტპს წიგნაკი № 27384, გაცემული ვასილ ტატანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 475

დაკარგა მონადირეთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 16, გაცემული ახალ-სენაკის განყოფილებიდან იპოლიტე მელიტონის-ძე თოფურიას სახელზე, ჩ. გ.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68